პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 აგვისტო **ხუთშაბათი** 2013
№191 (14 107) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



10

## ბოლქვაძის ვერცხლმა სირცხვილს გადაგვარჩინა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებში

# თავისუფალი ვარდნა



2

## ვისთან გატეხა ყაზახეთმა ნავსი? რა თქმა უნდა, საქართველოსთან!

ლადო დვალიშვილმა (№14) მისთვის უჩვეულო მარცხენა ფლანგზე ითამაშა

## მეოთხე წუთზე დაწყებული 4:0

ჩივაძის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლატვიაში იყოჩაღა



2



12

## რევანში ბოსნიაში



## ექვსთვიანი გუნდებით ჩვენი ჩემპიონატის და ფეხბურთის განვითარება შეუძლებელია

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# თავისუფალი ვარდნა გრძელდება!

14.08. ასტანა. ასტანა არენა

ყაზახეთი 1

საქართველო 0

1:0 ხიჟნიჩენკო (19)

| ყაზახეთი | საქართველო |
|---|---|
| სიდელნიკოვი | რევიშვილი |
| მულდაროვი | კაშია |
| კისლიცინი | ხიზანიშვილი |
| ნურდაულეტოვი | ამისულაშვილი |
| დმიტრენკო | გრიგალავა |
| ჟუმასკალიევი | კანკავა |
| ბოგდანოვი | ს. კობახიძე |
| შომკო | თარგამაძე |
| ხიჟნიჩენკო | ანანიძე |
| კოროზაკინი | ოქრიაშვილი |
| შჩეტკინი | სირბილაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. ბერანეკი | თ. ქეცბაია |

**ყაზახეთი**

46. სიდელნიკოვი - **მოკინი**
46. მულდაროვი - **გურმანი**
62. ხიჟნიჩენკო - **ოსტაპენკო**
69. შჩეტკინი - **ენგელი**
78. ჟუმასკალიევი - **ბაიჟანოვი**
90. შომკო - **ურინი**

**საქართველო**

46. სირბილაძე - **მჭედლიძე**
46. ოქრიაშვილი - **დვალიშვილი**
46. ანანიძე - **ჯ. გრიგალაშვილი**
63. გრიგალავა - **კვირკველია**
68. თარგამაძე - **გელაშვილი**
81. კაშია - **შ. გრიგალაშვილი**

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ლორია, თომაშვილი*

არბიტრი: ს. ცინკევიჩი (ბელარუსი)

სტატისტიკა

| ყაზახეთი | | საქართველო |
|---|---|---|
| 10 | კარისკენ დარტყმა | 16 |
| 6 | კარში დარტყმა | 4 |
| 11 | ჯარიმები | 7 |
| 2 | თამაშგარე | 3 |
| 5 | კუთხურები | 10 |
| 36% | ბურთის ფლობა | 64% |



გურამ კაშია ბურთისთვის ბრძოლაში

ფოტო: sports.kz

...ვარდნა გრძელდება! სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო, სამაგიეროდ ჩვენს მეტოქეს უნდა მივულოცოთ: ყაზახეთის ნაკრებმა წლეულს პირველი შეხვედრა მოიგო! საერთოდაც, ყაზახები ნამდვილად არ ანებივრებენ თავიანთ გულშემატკივრებს ხშირ-ხშირი წარმატებებით: შარშანაც ერთადერთი მატჩი მოიგეს (ყირგიზეთთან), შარშანწინაც (აზერბაიჯანთან) და იმისწინაც (ომანთან). ანუ, წლევანდელი „გეგმა" უკვე შესრულებულია და ჩეხი სპეციალისტის **მიროსლავ ბერანეკის** გუნდმაც ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის 100-წლიანი იუბილე საქართველოს ნაკრებთან გამარჯვებით აღნიშნა. თანაც, ჩვენს გუშინდელ მეტოქეს ათმატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა, მაგრამ ნავსი ვისთან უნდა გაეტეხა, თუ არა - საქართველოს ნაკრებთან?

ეგ კი არა, ძალიან დიდი შანსი იყო, სულაც გამანადგურებელი ანგარიშით წაგვეგო: მეორე ტაიმში, როცა ტერიტორიულ უპირატესობას მთლიანად ჩვენი ნაკრები ფლობდა, მასპინძლებმა, სულ მცირე, ოთხი რეალურზე რეალური მომენტი შექმნეს, მაგრამ სამჯერ **ნუკრი რევიშვილმა** გადაგვარჩინა, ერთხელ კი - **დავით კვირკველიამ!** და, ჩვენ? სამწუხაროდ, ყაზახების ორივე მეკარე (**ანდრეი სიდელნიკოვი** და **ალექსანდრ მოკინი**), ფაქტობრივად, არც შეგვიწუხებია და, რასაც ნაღდი მომენტი ჰქვია, 90 წუთის განმავლობაში არც შეგვიქმნია! არ დავმალავთ: ძალიან მომაბეზრებელიც გახდა საქართველოს ნაკრების პერმანენტული წარუმატებლობების „გამართლება"!

ჰო, იქნებ, ვინმემ ისიც თქვას, გუშინდელი შეხვედრის ბელარუს არბიტრს აშკარაზე მეტი სიმპათია რომ ჰქონდა მასპინძლების მიმართ, ამ ყველაფერმა მატჩის საბოლოო შედეგზეც გავლენა იქონიაო? კი, ბატონო - მეორე ტაიმში რამდენიმე ისეთი ეპიზოდი იყო, მასპინძელთა საჯარიმოს სიახლოვეს ყაზახი ფეხბურთელები წესებს აშკარად რომ არღვევდნენ, მაგრამ მსაჯს განსხვავებული აზრი ჰქონდა; იყო ერთი-ორი ეპიზოდიც, როცა საკამათო „თამაშგარე მდგომარეობა" დაფიქსირდა, მაგრამ კიდევ ვიმეორებთ: უბრალოდ, არასერიოზული იქნება ჩვენი ნაკრების ზედიზედ მეოთხე მარცხის არბიტრებზე გადაბრალება...

...როცა ირლანდიის, დანიისა და განსაკუთრებით, საფრანგეთის ნაკრებებთან ვაგებდით, მეტოქის კარგად ორგანიზებულ თამაშსა თუ ცალკეული ინდივიდუალისტების გაბრწყინებასაც აღვნიშნავდით ხოლმე; სამწუხაროდ, გუშინდელ მეტოქეზე აღმატებულ ხარისხში როგორ უნდა ვილაპარაკოთ: ყაზახები ძალიან მარტივად თამაშობდნენ, უბრალოდ, მაქსიმალურად ცდილობდნენ მოედნის ცენტრი სწრაფად გადაელახათ და ერთი-ორი პასით ამას ახერხებდნენ კიდეც!

სხვათა შორის, ყაზახები ზედმეტს არაფერს აკეთებდნენ (ჩვენებისგან განსხვავებით) და როგორც კი იმათი ფეხბურთელი ბურთს მიიღებდა, მაშინათვე პარტნიორისკენ პასი კეთდებოდა; აი, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობას კი, ტრადიციულად, ბურთთან „განშორებაც" უჭირდა და რაიმე გააზრებულ კომბინაციაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

...პირველი ტაიმი მოსაწყენი კი არა, საერთოდაც, დამთრგუნველი აღმოჩნდა: **ჯანო ანანიძის** სახიფათოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმა და **დავით თარგამაძის** დარტყმა, - აი, სულ ეს შეიძლება ჩვენს ნაკრებს აქტივში რომ ჩავუთვალოთ. დანარჩენი დროის განმავლობაში, თუ ჩვენები მოედნის ცენტრს გადასცდებოდნენ, მაშინათვე აქცენტი კეთდებოდა მეტოქის საჯარიმოში მაღალ ჩაწოდებებზე - ალბათ, იმის იმედად, რომ ტანმაღალ **ირაკლი სირბილაძეს** საჰაერო „დუელი" მოეგო და ბურთიც ან კარში გადაეგზავნა, ან კიდევ - პარტნიორებისათვის დაეგდო.

სამწუხაროდ, ამ გათვლამ არ გაამართლა. არადა, ერთი შეხედვით, ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში ისეთი სამივე შემტევია (დავით თარგამაძე, ჯანო ანანიძე, **თორნიკე ოქრიაშვილი**), პლუს „საყრდენად" გამწესებული **სანდრო კობახიძე**, რომ ხანდახან უცნაურადაც გვეჩვენება ის ფაქტი, თუ როგორ ვერ ხერხდება ამ ახალგაზრდა ფეხბურთელების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება...

...ყაზახებმა გოლამდეც ერთი-ორჯერ სახიფათოდ შემოგვიტიეს, მაგრამ მართლაც ჩინებულ ფორმაში მყოფი ნუკრი რევიშვილი უშეცდომოდ თამაშობდა; ჩვენს მეკარეს გაშვებულ გოლში ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ: პოზიციური შეცდომა ჩვენებმა ჯერ მარცხენა ფლანგზე დაუშვეს, მერე დაცვის ცენტრში და **სერგეი ხიჟნიჩენკომაც** ბურთი ჯერ დაიმორჩილა, მერე შემოტრიალდა და ზუსტადაც დაარტყა!

...შესვენების შემდეგ **თემურ ქეცბაიამ** მოედანზე სამი ახალი ფეხბურთელი შემოიყვანა, თუმცა ჩვენი ნაკრების განლაგება (4-2-3-1) არ შეცვლილა და შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა, რომ პოლონეთის ჩემპიონისა და ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში გასული ვარშავის „ლეგიას" ცენტრფორვარდი **ლადო დვალიშვილი** აშკარად არაკომფორტულად გრძნობდა თავს... მარცხენა გარემარბის პოზიციაზე.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მეორე ტაიმმა, ფაქტობრივად, მთლიანად ჩვენების ტერიტორიული უპირატესობით ჩაიარა, ბურთიც მუდამ მეტოქის ნახევარზე იყო, მაგრამ სახიფათო მომენტებს... მასპინძლები ქმნიდნენ! თანაც, ისეთ(ებ)ს, უეჭველ საგოლეს რომ ეძახიან ხოლმე და რომ არა ჩვენი მეკარის, ნუკრი რევიშვილის უშეცდომო თამაში, ალბათ, უფრო დიდ სირცხვილსაც ვნახავდით. თუმცა, ასეთი უშინაარსო და რალაცნაირად „უგულო" თამაშის შემხედვარე, ალბათ, იმასაც აღარ ჰქონდა მნიშვნელობა ერთბურთიანი სხვაობით წავაგებდით თუ - უფრო მეტით.

მატჩის ბოლო ათ წუთში კი ჩვენი ნაკრების თავკაცი ვა-ბანკზეც წავიდა: მარჯვენა მცველი **გურამ კაშია** „მოხსნა" და ჩვენი გუნდი 3-4-3 ტაქტიკაზე გადაეწყო, თუმცა, სწორედ ამ პერიოდში იყო, მასპინძლებმა ორი უმწვავესი კონტრშეტევა რომ განახორციელეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ორივეჯერ ჩვენმა მეკარემ იყოჩაღა...

...წაგებას წაგება მოსდევს, ქართულ მედიასა თუ გულშემატკივრებში დაგროვილი უამრავი კითხვა კი ტრადიციულად, ალბათ, კვლავაც პასუხგაუცემელი დარჩება; ოღონდ, ერთადერთი ისღაა საინტერესო, ასეთი უიმედო სიტუაცია როდემდე უნდა გაგრძელდეს?..

**გია ტუხაშვილი**

U21. ამხანაგური მატჩი

# ჩივაძე შესარჩევს იშტაზე დაიწყებს



ალექსანდრე ჩივაძეს საფიქრალი მაინც ბევრი ექნება

გუშინ იურმალაში საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ლატვიელ თანატოლებს ამხანაგურ შეხვედრაში 4:0 მოუგო. ბალტიისპირელთა რბევა მე-4 წუთზე არნემის „ვიტესის" შემტევმა **ვაკო ყაზაიშვილმა** დაიწყო, მეორე გოლი მე-14 წუთზე გორის „დილას" მცველმა **მამუკა კობახიძემ** გაიტანა, ლატვიელები მესამედ ისევ ყაზაიშვილმა დაამწუხრა 25-ე წუთზე, წერტილი კი ორი წუთის შემდეგ დანიური „ორჰუსის" თავდამსხმელმა **დავით სხირტლაძემ** დასვა.

**ალექსანდრე ჩივაძემ** ასეთი შემადგენლობა ათამაშა: **ნადირაძე (46. მეშველიანი), ტვილდიანი, მ. კობახიძე, კვერკველია, უბილავა, კვეკვესკირი, პაპავა, პარუნაშვილი (46. გიგაური), ყაზაიშვილი (61. დეკანოიძე), ჭანტურია (72. ჩაფიძე), სხირტლაძე (57. კაჭარავა).** სათადარიგოები: **თედორე გრიგალაშვილი, ჭაჭიაშვილი.**

ევროშესარჩევს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შემოდგომაზე დაიწყებს - 5 სექტემბერს სტუმრად ლუქსემბურგს ეთამაშება, 9 სექტემბერს კი სლოვაკეთთან ექნება საგარეო შეხვედრა. მათ გარდა, ჯგუფში ჩვენი 21-წლამდელების მეტოქეები შოტლანდია და ჰოლანდია არიან.

**დავით თავართქილაძე**

ტრავმა



ლაშა დვალი (№3)

# დვალი ისრაელში მიდის

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლატვიასთან სტუმრად ამხანაგური შეხვედრა გამართა. **ალექსანდრე ჩივაძემ** გუნდში 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მცველი **ლაშა დვალიც** გამოიძახა, მაგრამ ის არც შემადგენლობაში გვინახავს და არც განაცხადში. ცხადია, დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ დვალი ტრავმირებულია.

*„ისრაელში მივდივარ, რადგან ტრავმამ შემაწუხა. ბავშვობაში რომ მტკიოდა ფეხი, სამი დღის წინ თავი ისევ შემახსენა. ამის გამო გამოვტოვე ლატვიის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრა, ვარჯიშიც აღარ შემეძლო და ყველაზე სამწუხარო რაც არის, ახალგაზრდულ ნაკრებს ამხანაგურ შეხვედრაში ვერ დავეხმარე. თვის ბოლოს ისრაელში მივდივარ, იქ გამოკვლევას ჩამიტარებენ. ბოლო თაობის ტექნიკა აქვთ და იმედია, დროულად და ოპერაციის გარეშე გადამიჭრიან პრობლემას. სავარაუდოდ, მკურნალობისთვის სამი თვე დამჭირდება, თუმცა ეს მაინც ორგანიზმზეა დამოკიდებული"*, - ამბობს დვალი.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# ლევან კობიაშვილი: გამოსათხოვარ მატჩს მე მივხედავ

## ჰერტას ქართველი მცველი იმედოვნებს, რომ ზე რობერტოს რეკორდს მოხსნის

**„ოლიმპიაშტადიონზე“ წაუგებელი მატჩების სერია „ჰერტას“ ბუნდესლიგაშიც არ შეუწყვეტია. იოს ლუჰუკაის ხელმძღვანელობით, ბერლინელებმა ბუნდესლიგაში დაბრუნება ფრანკფურტის „აინტრახტთან“ გამანადგურებელი გამარჯვებით აღნიშნეს - 6:1. სამწუხაროდ, ლევან კობიაშვილი არც „ჰერტას“ ძირითად შემადგენლობაში იყო და არც სათადარიგოთა შორის. მას გერმანიაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ. ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, რა აზრისაა მრავლისმნახველი კობიაშვილი ჩვენი ფეხბურთის პრობლემებზე...**

**- ცხადია, ჯერ პირველ ტურში თქვენი უთამაშებლობის მიზეზი გვაინტერესებს...**

- ეს იყო ბუნდესლიგაში პირველი შეხვედრა, მე კი სეზონის დაწყებამდეც ვიცოდი, რომ ყველა თამაშის ჩატარება არ მომიწევდა. რაც უნდა იყოს, მაინც ბოლო სეზონია, ალბათ... თანაც, პირველი მატჩი ასეთი ანგარიშით რომ მოვიგეთ, დიდი ალბათობით, მეორე იდეა-ფიქსი. თუ დავრჩები, ხომ კარგი, თუ არა და, სხვა კუთხით ვიმუშავებ.

**- სეზონი დაიწყო, მაგრამ შევიტყვეთ, რომ თბილისში იმყოფებოდით...**

- დიახ, ორიოდე დღით საქმეებზე ჩამოვედი. თანაც, შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვი და „დინამო“-„სტიაუას“ შეხვედრასაც დავესწარი, „დილას“ თამაშებიც ვნახე და არ შემიძლია, ამ გუნდისა და მისი მწვრთნელის მიმართ აღტაცება არ გამოვხატო. ყოჩაღ, დევდარიანს! ძალიან კარგი გუნდი ჩამოუყალიბებია. „ჰაიდუკთან“ გორელების პირველი თამაშიც ვნახე და იცით, რამ გამაოცა? ასეთი დალაგებული, აზრიანი და ტაქტიკურად გამართული ქართული გუნდი არ მახსენდება. თბილისში ხომ ძალიან კარგად ითამაშეს, მაგრამ უფრო დიდი შთაბეჭდილებების ქვეშ სპლიტის მატჩის შემდეგ ვიყავი, რადგან გუნდის კლასი სწორედ გასვლით შეხვედრაში ჩნდება. გულახდილად ვიტყვი - „დილას“ ფეხბურთით ძალიან ვისიამოვნე. მოთამაშეებმა ზუსტად იცოდნენ, ვის რა, როგორ და როდის უნდა გაეკეთებინა.

**- თუ გაქვთ წარმოდგენა, რა გუნდი კიდევ რომ გვყავდეს. ამით ჩვენი ფეხბურთის დონე აიწევდა და ნაკრებსაც ძალიან დაეხმარებოდა.**

**- თქვენი აზრით, საქართველოში რამდენიმე ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება შესაძლებელია?**

- შესაძლებელი იქნება, თუ კლუბებს სტაბილურად დააფინანსებენ. წლებია, გერმანიაში ვთამაშობ და აქაური გადასახედიდან ძალიან ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება გუნდები სეზონს ისე იწყებდნენ, რომ წინასწარ არ იცოდნენ, რა შემადგენლობა ეყოლებათ, სად მოემზადებიან, ექნებათ თუ არა ბიუჯეტი და თუ ექნებათ - რამდენი. ეს არასტაბილურობაა სწორედ იმის მიზეზი, რომ ჩვენი ფეხბურთი არ ვითარდება.

**- იმაზე რას იტყვით, რომ ეგრეთ წოდებულ სახელმწიფო კლუბებში მოთამაშეებს მხოლოდ 6-თვიან კონტრაქტებს უფორმებენ, რაც შემადგენლობების მუდმივ ცვლას იწვევს? სხვათა შორის, „დილაშიც“ ასეა...**

- ...და ეს ძალიან ცუდია. „დილას“ და ასეთ გუნდებს მიხედვა სჭირდებათ. ისე არ მინდა, რომ ვინმემ ჭკუის დარიგებად



ლევან კობიაშვილი

შეხვედრასაც გამოვტოვებ - მოგებულ შემადგენლობას არ ცვლიან. ისედაც, ბუნდესლიგაში გადასვლის შემდეგ, იოს ლუჰუკაიმ შემადგენლობა გარკვეულწილად გადაახალისა, ოთხი ახალი ფეხბურთელი დაიმატა, კაპიტან პიტერ ნიმაიერსაც მოუნახა შემცვლელი.

**- გუნდს რომ არ სჭირდებოდეთ, კონტრაქტს ხომ არ გაგიფორმებდნენ?**

- სეზონი დიდია და ცხადია, თამაშები მექნება.

**- მოტივაციაც გაქვთ, ბუნდესლიგაში 334 მატჩი ჩაატარეთ, რეკორდსმენი ბრაზილიელი ზე რობერტო კი მხოლოდ ორი თამაშით გისწრებთ...**

- მე ყველა მატჩს ვერ ვითამაშებ, მაგრამ წესით, ეს რეკორდი უნდა გავაუმჯობესო. ალბათ, ჩემი გამოცდილება გუნდს სადღაც დასჭირდება.

**- როგორც ვიცით, „ჰერტასთან“ გაქვთ შეთანხმება, რომ კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ კლუბში დასაქმდებით...**

- დიახ, ასეთი შეთანხმება ნამდვილად გვაქვს. „ჰერტა“ ვალდებულებას იღებს, რომ კლუბის სტრუქტურაში ვიმუშავებ. სხვათა შორის, ერთი კვირის წინათაც ვილაპარაკეთ, რა მიმართულებით შეიძლებოდა ჩემი დასაქმება.

**- ...და რა შემოგთავაზეს?**

- ლაპარაკია, რომ მენეჯმენტში ან საფეხბურთო აკადემიაში დამასაქმებენ, მწვრთნელობაზე კი თავად ვთქვი უარი, ეს საქმე არ მიზიდავს. მაგრამ ამაზე ჯერ არ დავკონკრეტებულვართ. სეზონის დასრულების შემდეგ უფრო კონკრეტულად ვილაპარაკებთ. თუმცა ისიც მინდა გითხრათ, რომ მაინცდამაინც გერმანიაში დარჩენაც არ არის ჩემთვის

**დია პლეი-ოფში მისი ამჟამინდელი მეტოქე ვენის „რაპიდი“?**

- „ჰაიდუკზე“ ოდნავ ძლიერია. საკმაოდ კარგ ჩემპიონატში რომ თამაშობს, ესეც ბევრს ნიშნავს. მაგრამ „დილამ“ იმდენად დამაიმედა, რომ მჯერა, ამ ბარიერის გადალახვას შეძლებს, თუ ბიჭები მოედანზე მობილიზებულები გავლენ.

**- ანუ, „დილას“ შანსებს ხედავთ?**

- შანსებს 50/50-ზე შევაფასებდი. გეტყვით, რატომ აქვს „დილას“ რთული ამოცანა - მას პირველი ორი მეტოქე მაინც ზემოდან უყურებდა. ეტყობა, ფიქრობდნენ, რომ ქართული გუნდია და ადვილად გავივლითო. მაგრამ „ოლბორგს“ და „ჰაიდუკს“ რომ მოუგებ, ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს და ავსტრიელებიც სერიოზულად განეწყობიან. მათ უკვე იციან, რომ სოლიდური მეტოქე ჰყავთ. ამიტომ ვთქვი, რომ თავად გორელები უნდა იყვნენ მაქსიმალურად მობილიზებულები, რომ ასეთი მეტოქე დაამარცხონ. მთავარია, წინა თამაშების მსგავსად მოეკიდონ მეტოქეს და არ ჩათვალონ, რომ „რაპიდის“ მოგებაც იოლი იქნება. თუ გორელები ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდებიან, ეს ქართული ფეხბურთისთვის უდიდესი წარმატება იქნება. ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ეს ძალიან სჭირდება. კარგი იქნება, „დილასა“ და „დინამოს“ მსგავსი 2-3

> „ოლბორგს და ჰაიდუკს რომ მოუგებ, ავსტრიელებიც დარწმუნდებიან, რომ სერიოზული მეტოქე ჰყავთ“

მიიღოს, მაგრამ სახელმწიფო ფინანსები უფრო გონივრულად უნდა დაიხარჯოს და დარწმუნებული ვარ, ამ საქმეს ადრე თუ გვიან მოევლება. ადრე ისეთი ინერცია იყო, თითქოს მუნიციპალიტეტებში ერთი სული ჰქონდათ, ოღონდ რაიმე თანხა მიეგდოთ კლუბებისთვის და ხელები დაებანათ. არადა, სახელმწიფო სახსრები რომ იდება, ბევრად უფრო გააზრებული და მიზანმიმართული პოლიტიკა უნდა იყოს, ეს ხომ ინვესტიციაა და მას შედეგი უნდა მოჰყვეს. 6-თვიანი გუნდებით კი ჩვენი ჩემპიონატი და ფეხბურთი ვერ განვითარდება, შესაბამისად, ფეხბურთელებიც ვერ გაიზრდებიან.

**- ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ნაკრებიდან წასული მოთამაშეებისთვის გამოსამშვიდობებელ შეხვედრას გამართავენ. ეს ყველაფერი თქვენ გამო ითქვა. როდის გაიმართება ეს მატჩი?**

- მას შემდეგ არავინ შემხმიანებია და სიმართლე გითხრათ, არც დავინტერესებულვარ - ეს თემა ჩემთვის დახურულია. კიდევ ერთი წელი ვითამაშებ და გამოსათხოვარ მატჩს თავად მივხედავ, ორგანიზებასაც გავუკეთებ და ყველაფერს ჩემი სახსრებით გავაკეთებ.

**მერაბ მამულაშვილი**

მომავალი



გიორგი აბურჯანია

# ნიჭიერთა ავან-ჩავანი

**ქართულ გუნდებს წლევანდელ ევროსარბიელზე გამოსვლა არ დაუსრულებიათ, თუმცა ამ ევროთამაშებმა ბევრი საინტერესო რამ დაგვანახვა, მაგალითად, საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელები...**

გორის „დილას“ წარმატებები ყველამ ყბად იღო. 21 წლის **გიორგი ილურიძე** უკვე ვარსკვლავივით თამაშობს **გიორგი დევდარიანის** გუნდში. „დილას“ გაუმართლა, რომ **მამუკა ჯულელმა** ცხრა მთას იქით არ გააქანა ეს ნიჭიერი თავდამსხმელი. ზოგს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ ჯულელმა კეთილი ნება გამოიჩინა და ამიტომ არ წაჰგვარა ილურიძე „დილას“. შესაძლოა, ასეც იყო, თუმცა ჯულელი გამოცდილი მენეჯერია და, როგორც მენეჯერი, ისიც იზრდება. „ვოლგა“, „კრასნოდარი“, „ანჟი“ თუ „სკა ენერგია“ ისეთია, ფულს რომ გაშოვნინებს, მაგრამ მოთხოვნები იზრდება, რადგან სამყარო განვითარებას ვერ შეწყვეტს.

ილურიძე დღეს უკვე კარგად რეკლამირებული ფეხბურთელია, რომელმაც ევროტურნირზეც გამოიჩინა თავი. ასეთი მოთამაშე კი უფრო ძვირად ფასობს სატრანსფერო ბაზარზე, ვიდრე უწინდელი ილურიძე, ვისაც ჯერ „დილას“ ძირითადში არ ჰქონდა ფეხი მყარად მოკიდებული.

რა თქმა უნდა, 20 წლის შემტევი **მიხაილ გორელიშვილიც** წლევანდელი ევროასპარეზის შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო გახდა სატრანსფეროდ.

**მამუკა კობახიძე** წლების განმავლობაში ითვლებოდა პერსპექტიულ მცველად, თუმცა ვერც „ზესტაფონში“ და ვერც ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ვერ ახერხებდა ისე გახსნას, რომ მისი ეფექტური თამაში გვენახა. ახლა კი ის უკვე შემდგარი ფეხბურთელია, ვისაც საერთაშორისო მატჩებშიც დაეყრდნობი - შეუპოვარი და აგრესიული, გონიერი და ტექნიკური, თუ საჭირო გახდა, მეტოქის ნახევარზეც გადავა შეტევაში ჩასართველად. კობახიძე უკვე სტრატეგიულად საინტერესო მცველიც კი გახდა - ფაქტია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დაცვაშიც აქვს სერიოზული პრობლემები და არა მგონია, მომდევნო შესარჩევ ციკლში ეროვნულ გუნდს იმავე შემადგენლობის დაცვა ჰყავდეს. კობახიძეს 23 აგვისტოს შეუსრულდება 21 წელი.

...და სად წავლენ ეს ფეხბურთელები გორის „დილადან“? რაც არ უნდა წარმატებულად გააგრძელოს სვლა გუნდმა ევროპალიგაზე, ამ სამეულთან (ილურიძე, გორელიშვილი, კობახიძე) განშორება მაინც მალე მოუწევს - ცხადია, პროგნოზი საკამათოა, მაგრამ მაინც ასე მგონია.

„ვოლგა“, „კრასნოდარი“, „სკა ენერგია“, „ალანია“ - ვინაიდან ამ ახალგაზრდებმა უკვე გამოიჩინეს თავი ევრომატჩებში, იმის ვარაუდის უფლებაც გვაქვს, რომ ასეთ გუნდებში არ მოხვდებიან. უკვე დადგა ის მომენტი, რომ ჯულელსაც და ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელებსაც მეტი მოეთხოვებათ.

**გია ცეცაძემ** 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არ წაიყვანა **გიორგი აბურჯანია,** არადა, „დილას“ საყრდენი ნახევარმცველი ძალიან დამაჯერებლად გამოიყურებოდა „ოლბორგთან“ ორივე შეხვედრაში. ამ ნახევარმცველს ქართული საფეხბურთო მილეთი ადრეც იცნობდა, ახლა კი უფრო დარწმუნდა მის შესაძლებლობებში.

„სტიაუასთან“ საგარეო შეხვედრაში ძალიან სასიამოვნო იყო **გიორგი პაპავას** გაბედული თამაში. დინამოელი პაპავა 20 წლის გახლავთ, ახმახი, ღონიერი და ალღოიანი ნახევარმცველია, ზონებს კარგად და დროულად ავსებს, ბურთის ფლობაც იცის და ორთაბრძოლაში შესვლაც. არ ვიცი, რას ფიქრობს მასზე **დუშან უჰრინი,** გარედან კი ისე ჩანს, რომ მალე უნდა გახდეს „დინამოს“ ხერხემალი. როცა დევდარიანი იყო „დინამოს“ თავკაცი, ერთხელ თქვა კიდეც - „დინამოს“ ზოგიერთ ლეგიონერს კლასით უკვე სჯობია ახალგაზრდა პაპავაო.

ახალგაზრდა ფეხბურთელის წინსვლისთვის აუცილებელია, მოხვდე კარგი მწვრთნელის ხელში და მოწესრიგებულ კლუბში. პაპავას გაუმართლა, რომ გამართულ კლუბშია, მის ყოფილ თანაგუნდელებზე კი რა მოგახსენოთ - პაპავას კბილა **არჩილ ტვილდიანი** და **ლაშა პარუნაშვილი** „დინამომ“ ბოლნისის „სიონში“ გაანათხოვრა. როგორც გავიგე, ამ ნიჭიერი ახალგაზრდების წაყვანა ერთ-ერთ მოწინავე, „სიონზე“ უფრო ამბიციურ ქართულ გუნდს სურდა, თუმცა ტრანსფერი არ გამოვიდა.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ქვეყნის ბობოლა გუნდი ნიჭიერ ახალგაზრდებს კონკურენტ გუნდებში არ უშვებს და ურჩევნია, ისინი ნახევრად მაჩანჩალა გუნდებში გაანათხოვროს. ასეთ დროს ბობოლა კლუბი რაღაცით მოგებული რჩება, ფეხბურთელი კი ყველანაირად წამგებიან სიტუაციაშია, საიდანაც თავის დაღწევა ძალიან ძნელია...

ამ თვალსაზრისში ჩამოთვლილი ფეხბურთელების მომავალი მართლაც საინტერესოა, ეს ის ხალხია, ვისაც მალე ეროვნული ნაკრები უნდა დაეყრდნოს და ამის გამო ერთხელაც მიმოვიხილეთ მათი ავან-ჩავანი.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## ლაშა გვალია

# გული მწყდება, რომ ფოთში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა იკარგება

2012 წელს, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მოთამაშე ფოთის „კოლხეთის“ კაპიტანი ლაშა გვალია იყო. „კოლხეთის“ ძირითად შემადგენლობაში ის 17 წლიდან თამაშობდა, 21 წლისა კი გუნდის კაპიტნად აირჩიეს, რაც მის პიროვნულ თვისებებზე მიუთითებდა - ის გახლდათ უმაღლეს ლიგაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, რომელსაც კაპიტნის სამკლავური ეკეთა. მაშინ მას გულშემატკივარი კარგად არ იცნობდა, ახალგაზრდულ ნაკრებშიც მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ნათამაშები და ისიც - ამხანაგურ მატჩში. მაგრამ ვისაც ფეხბურთელის შერჩევის უნარი გააჩნია, პლეიმეიქერ გვალიას შესაძლებლობებს კარგად ხედავდა.

შარშან, მის ტრანსფერზე დიდი ამბები ატყდა. გადამწყვეტი სიტყვა გორის „დილას“ მენეჯერმა ლევან სილაგაძემ და ცნობილმა აგენტმა მამუკა ჯუღელმა თქვეს. 2012 წლის ზაფხულში „კოლხეთის“ კაპიტანი „დილაში“ გადავიდა. იმავე პერიოდში, მას უკრაინის პრემიერლიგაში დაბრუნების მსურველი ვინიცას „ნივა“, თბილისის „დინამო“ და რუსთავის „მეტალურგიც“ ინვევდნენ. სხვათა შორის, 2011 წლის გაზაფხულზე რუსთაველები შეუთანხმდნენ კიდეც გვალიას, რომ „მეტალურგს“ ევროპალიგაზე უნდა დახმარებოდა, მაგრამ... ფოთელებს 300 ათასი დოლარი ვერ გადაუხდეს.

უცნობი მოთამაშის კვალობაზე, ლაშას „დინამოც“ მშვენიერ პირობებს სთავაზობდა, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ დაუკავშირდნენ, როცა ფეხბურთელი „დილასთან“ უკვე შეთანხმებული იყო.

პლეიმეიქერი გვალია გორში საყრდენად გარდაქმნეს. ერთ წელიწადში სათადარიგო ფეხბურთელი გუნდის წამყვან მოთამაშედ იქცა. ევროპალიგაზე „დილა“ აზრიანად რომ თამაშობს და საქართველოში ყველაზე დინამიური და მოქნილი ნახევარდაცვა რომ ჰყავს, ეს გვალიას დამსახურებაც არის.

მისი პროგრესი არც თემურ ქეცბაიას გამორჩა და ყაზახეთის ნაკრებთან გუშინდელი ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებულიც ჰყავდა. მაგრამ გვალია ასტანაში ვერ წავიდა - „ჰაიდუკთან“ შეხვედრის დროს კუნთი დაეჭიმა. მაგრამ არა უშავს, ფაქტი ერთია და ამას ბევრი აღიარებს - საქართველოს საინტერესო ცენტრალური ნახევარმცველი ეზრდება...



ლაშა გვალია ჰაიდუკის ფეხბურთელთა გარემოცვაში

**- მართალია, ნაკრებს ყაზახეთში ვერ გაჰყევით, მაგრამ ეროვნულ გუნდში გამოძახება მაინც მნიშვნელოვანია...**

- რა თქმა უნდა, ეს ყველა ფეხბურთელის მიზანია. სამწუხაროდ, ტრავმა მივიღე, მაგრამ იმედია, შანსი მომავალშიც მომეცემა.

**- ფოთის „კოლხეთში“ გამოჩნდით, მაგრამ განსაკუთრებულ პროგრესს „დილაში“ მიაღწიეთ. რა იყო ამ პროგრესის ხელშემწყობი ფაქტორი?**

- კვირკველიას, სალუქვაძის, გოგუას, ვანაძისა და სხვა გამოცდილი მოთამაშეების გვერდით რომ ითამაშებ, შეუძლებელია, პროგრესი არ დაგეტყოს. გასული წელი ჩემთვის სწორედ ამით იყო მნიშვნელოვანი. თანაც, ამბიციურ კლუბში ფეხბურთელს სხვაგვარი მენტალიტეტი უყალიბდება. თუმცა ჯერ 22 წლის ვარ და ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, რომ ყველაფერი ვიცი. კარგია „დილას“ ძირითად შემადგენლობაში თამაში და ნაკრებში გამოძახება, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, სასწავლი და დასახვეწი ბევრი მაქვს. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

**- მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებში გამოგიძახეს, გულშემატკივარი ჯერ კარგად არ გიცნობთ. ფეხბურთში თქვენს პირველ ნაბიჯებზე მოგვიყევით...**

- ფოთის საფეხბურთო სკოლაში ზურაბ თოფურიასთან ვვარჯიშობდი. მერე რამდენიმე წელი თბილისის „ოლიმპში“ ზაზა ბაკურაძესთან ვიყავი, თუმცა, მიზეზთა გამო, ისევ ფოთში დავბრუნდი. არასოდეს დამავიწყდება, რა როლი ითამაშეს ჩემს ზრდაში „კოლხეთმა“ და უშუალოდ მისმა ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფილიამ. 17 წლის ბიჭი უმაღლეს ლიგაში რომ ითამაშებ, ეს პატარა საქმე არ არის. ბევრია გამოცდილი ფეხბურთელი და ფილიას შეეძლო, ისინი დაეყენებინა ძირითადში, მაგრამ მას უყვარს ახალგაზრდების დაწინაურება და ამიტომაც მენდო. ეს გზა რომ გავიარე, სწორედ ამ პრაქტიკის დამსახურებაა და მოვხვდი კიდეც „დილაში“. აქვე უნდა ვთქვა, რომ გამიმართლა კიდეც - რომ იცოდეთ, ფოთში ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია და მათ ყურადღება აკლიათ. ბევრი ისეთი თამაშობდა ჩემს გვერდით, დღეს რომ არ ჩანს, ან საერთოდ - უკვე აღარ თამაშობს. ამაზე ძალიან მწყდება გული.

**- რაიონში ტალანტები რატომ იკარგებიან?**

- ბევრ კლუბში დაფინანსება არასტაბილურია, რაც გუნდზეც ცუდად მოქმედებს და ფეხბურთელებზეც. ჩემს ამბავს გეტყვით - სულ გაურკვევლობაში ვიყავით, სეზონის ან რომელიმე წრის დაწყებამდე ერთი თვით ადრეც არ ვიცოდით, ვინ ვიქნებოდით გუნდში და თუ დავრჩებოდით, გვექნებოდა თუ არა სავარჯიშო პირობები, ხელფასები და ასე შემდეგ... ბუნებრივია, ამას ბევრი გაურბის. არადა, „კოლხეთი“ უძველესი ქართული კლუბია და როგორც მის ყოფილ მოთამაშეს და, უბრალოდ, ფოთელს, დიდი სურვილი მაქვს, ძლიერი და ამბიციური „კოლხეთი“ ვიხილო. კიდევ ერთხელ გეუბნებით - იქ ახლაც ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა, პოტენციალიც აქვთ და დარწმუნებული ვარ, კარგ პირობებში ვარჯიშით, ჩემპიონატშიც გამოიჩენენ თავს და ეროვნულ ნაკრებშიც მოხვდებიან.

**- გორის „დილაზეც“ ვთქვათ. გუნდი აზრიან ფეხბურთს თამაშობს, არადა, სულ ორი თვეა, რაც გიორგი დევდარიანმა ახალი შემადგენლობა შეკრიბა...**

- ჩვენთან ისეთი მწვრთნელი და მოთამაშეები შეიკრიბნენ, ლოგიკურიცაა, შინაარსიან ფეხბურთს რომ ვთამაშობთ. გუნდში ერთსულოვნებაა და შედეგზე ეს აუცილებლად აისახება.

**- პლეი ოფში „დილას“ მეტოქე ვენის „რაპიდზე“ რა ინფორმაცია გაქვთ?**

- „ჰაიდუკზე“ ოდნავ ძლიერი გუნდი მგონია. ავსტრიის ჩემპიონატი ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის და მძიმე თამაშებიც გველის, მაგრამ დიდი სურვილი გვაქვს, გულშემატკივარი კიდევ ერთხელ გავახაროთ და ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდეთ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნება ეს ქართული ფეხბურთისთვის?!

**- მართალია, თითქოს კარიერას რუსეთში გააგრძელებთ?**

- ჯერ ზუსტად ვერაფერს გეტყვით. „დილასთან“ კონტრაქტი ზამთარში მიმთავრდება და არ ვიცი, მერე სად ვითამაშებ.

**- შარშან „დინამო“ გიწვევდათ. ახლაც ხომ არ გეხმიანებიან?**

- ახლა არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია. ყველამ ვიცით, რასაც ნიშნავს ეს გუნდი ჩვენი ხალხისთვის და იქ თამაშზე უარს არავინ იტყვის. თუ „დილადან“ წასვლა მომიწევს, ყველაზე მეტად სწორედ „დინამოში“ თამაში გამახარებდა.

**მერაბ მამულაშვილი**

U 19

# ახლა მეტია საჭირო

12 და 14 აგვისტოს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პოლონელ თანატოლებთან ამხანაგურად ორჯერ ითამაშა, ოღონდ, „მიხეილ მესხზე“ გამართულ ამ დაპირისპირებებს სიტყვა „ამხანაგური“ ნაკლებად შეეფერებოდა.

პირველი მატჩის დასრულების შემდეგ, რომელშიც **ვასილ მაისურაძის** გაწვრთნილებმა 3:0 მოიგეს, ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ერთმანეთზე გაიწიეს. გუშინ მსგავსი არაფერი მომხდარა, მაგრამ იმ გაწევ-გამოწევის ექო მაინც იგრძნობოდა და შეხვედრაც დაძაბულად წარიმართა. ჯერ კიდევ მისალმების დროს, პოლონელთა მეკარემ ქართველ კოლეგას ხელი არ ჩამოართვა. ასეთი „სპორტული სულისკვეთებით“ გააგრძელეს სტუმრებმა და საკმაოდაც უხეშობდნენ, განსაკუთრებით - მეორე ტაიმში. შეხვედრის არბიტრ **გიორგი ყრუაშვილს** იმ ჯიბიდან, სადაც ბარათებს ინახავდა, ხელი არ ამოუღია - ათამდე „ყვითელს“ ბოლოს „წითელიც“ მოაყოლა...

ამჯერად, მაისურაძემ შემადგენლობა შეცვალა, სასტარტოში წინა მატჩის სათადარიგოები ათამაშა, ძირითადები კი შეცვლაზე შეიყვანა. შეხვედრა ქართველების უპირატესობით დაიწყო და რამდენიმე საგოლე მომენტიც შეიქმნა: მე-20 წუთზე **ნიკა ახვლედიანი** საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა, მცველი ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა და დაარტყა - პოლონელები ძელმა იხსნა. მალე ახვლედიანმა საჯარიმოსთან **გიორგი თევზაძე** მოძებნა, ამან ძლიერად და ზუსტად დაარტყა, მაგრამ მეკარე **ოსკარ პოგორელჩეკმა** საიმედოდ ითამაშა.

ახვლედიანმა 38-ე წუთზეც სცადა მეტოქის კარის აღება, კვლავ ეფექტური მოძრაობებით დააბნია მცველები, თუმცა მიზანს ამჯერადაც ააცილა.

მეორე ტაიმის დასაწყისში პოლონელებმა უხეშობას უმატეს. 51-ე წუთზე „ჯვაროსანთა“ ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, ტექნიკურ და მწვავე შემტევ **გიორგი ბერიძეს** ისე ეუხეშნენ, ამ უკანასკნელს მოედნის დატოვებამ მოუწია. შემდეგ შევიტყვეთ, რომ ბერიძეს ტრავმა ორი კვირით დაასვენებს - მას კოჭი დაუზიანდა. ამ ეპიზოდის შემდეგ უკვე ახვლედიანს მოსცხეს და კიდევ კარგი, ტრავმას ის მაინც გადაურჩა...

ამასობაში, მაისურაძემ მოედანზე რამდენიმე შემტევი შეუშვა. **დავით ჯიქიამ და ლუკა ზარანდიამ** თამაში გაამწვავეს, ფლანგიდან იერიშებში კარგად ერთვებოდა მარჯვენა მცველი **ოთარ კაკაბაძეც**. ჯიქიასა და ზარანდიას პოლონელთა კარის აღებაც შეეძლოთ, მაგრამ მასპინძლები საჯარიმოში ეფექტურად და სწრაფად ვერ თამაშობდნენ, ან დარტყმის დროს სიზუსტე აკლდათ.

პოლონელებმა კი უხეშობა ვერ მოიშალეს. თუმცა მატჩის მიწურულს ორი საკმაოდ მწვავე შეტევაც განახორციელეს - ორივეჯერ გოლის გატანას **მარეკ პრჟებურდსკი** ცდილობდა და მეკარე **ნიკა შერმადინიც** გვარიანად შეაწუხა.

მატჩის მიწურულს, პოლონელთა აფრიკული წარმოშობის მოთამაშე **პაველ დავიდოვიჩს** არბიტრმა მეორე ყვითელი ბარათი აჩვენა და მოედანი დაატოვებინა, რაზეც სტუმართა მთავარი მწვრთნელი **მარტინ შაშალი** ისე ანერვიულდა, გასახდელისკენ გავარდა. თუმცა მერე შეჩერდა და გამოსასვლელიდან მიადევნა თვალი დარჩენილ წუთებს, რომლის დროსაც ასევე არაფერი შეცვლილა - 0:0.

ის ფაქტი, რომ პოლონეთი საქართველოსთან საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდა, დამაიმედებლად ჩანს. ჰოდა, სწორედ იმის იმედი გვაქვს, რომ ვასილ მაისურაძის შეგირდები ამ ციკლშიც ისევე გაგვახარებენ, როგორც 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშით. თუმცა საამისოდ, ახლა გაცილებით მეტი მონდომება დასჭირდებათ, რადგან ორი წლით უფროსებში საქმე გაცილებით რთულდება.

**საქართველო-პოლონეთი 0:0**

14.08. მიხეილ მესხი

საქართველო: **შერმადინი - ქებურია, გაბაძე, გურეშიძე, კუსიანი - გოროზია, აბურჯანია - ახვლედიანი, შენგელია, ბერიძე - მზევაშვილი.** შეცვლაზე: **კაკაბაძე, ჭანტურია, ტაბიძე, თევზაძე, ცინცაძე, ზარანდია, კიკაბიძე, პაპუნაშვილი, ჯიქია.**

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

# თავისუფლება და ჯარიმა

ლანჩხუთის მაგისტრატმა სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, წვრილმან ხულიგნობაში ბრალდებულ „გურიის“ ან უკვე ყოფილ ოთხ მოთამაშეს 100-ლარიანი ჯარიმები გამოუწერა. **გიგა კვერენჩხილაძის, კობა შალამბერიძის, გიორგი ძაძამიას** და **ლაშა ჯანგიძის** საქმეში მოსამართლე **მარინა კიკნაძემ** დამამძიმებელი გარემოებები ვერ გამოავლინა. მობურთალებმა აღნიშნული თანხა ერთი კვირის ვადაში უნდა გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება საალსრულებლო ბიუროს გადაეცემა.

მოგეხსენებათ, ზემონახსენებმა ოთხეულმა **ალექსანდრე შენგელიასთან, ვიტალი დარჩიძესა** და **ივანე კილაძესთან** ერთად ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე დატოვეს გუნდი სახელფასო დავალიანებისა და მანამდე „გურიიდან“ წასული კიდევ ერთი შვიდეულის სოლიდარობის ნიშნად. კლუბი მათ დასჯას აპირებდა, რადგან პირველად წასული შვიდეულისგან განსხვავებით, კონტრაქტზე ჰქონდათ ხელი მოწერილი, მაგრამ საბოლოოდ მხარეები მშვიდობიანად დაშორდნენ - კლუბმა შვიდივე მოთამაშეს გათავისუფლების ფურცელი გადასცა.

თუმცა აქედან ერთი - შენგელია, ჩვენი ინფორმაციით, გუნდში ბრუნდება. შევიტყვეთ, რომ გურულთა კაპიტანი და მთავარმეგოლე კვერენჩხილაძე ახლა უკვე ბათუმის „დინამოსთან“ ერთად შეეცდება უმაღლეს ლიგაში გადასვლას. ჯანგიძე და კილაძე კი, სავარაუდოდ, ტყიბულის „მეშახტეში“ ითამაშებენ, ძაძამიაც ერთ-ერთ თბილისურ კლუბში (ოღონდ, პირველლიგელში) გეგმავს ფორმის შენარჩუნებას.

ამ ეტაპზე გაურკვეველია, სად გააგრძელებენ კარიერას **სევასტი თოდუა, ზურაბ მენთეშაშვილი, ზაალ ელიავა, რევაზ გოცირიძე, მიხეილ ალავიძე, ალექსანდრე ინწკირველი** და **ედიკ საჯაია** - მათ „გურიის“ დატოვებამ ჩემპიონატის განახლებამდე ერთი კვირით ადრე მოუწიათ.

*„ჯერ არსად არ ვართ. რაღაც ვარიანტი, შესაძლოა, დარჩეს, თუმცა ლანჩხუთში ისე მოგვექცნენ, ფეხბურთზე გული საერთოდ ამიცრუვდა“,* - გვითხრა თოდუამ.

**მათე გურული ლანჩხუთიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. რეკორდები

# ბუნდესლიგის რეკორდები

**ვაგრძელებთ ევროპის წამყვანი ჩემპიონატების რეკორდებზე საუბარს. დღეს გერმანიის ჩემპიონატის ჯერია, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი რეკორდები კონკრეტულად ბუნდესლიგის მიღწევებია და არა მთლიანად გერმანიის ჩემპიონატის. მიუხედავად იმისა, რომ საუბარი მხოლოდ ბუნდესლიგის რეკორდებზე გვექნება, აქვე გერმანიის ყველა ჩემპიონის ვინაობას შემოგთავაზებთ.**

### გერმანიის ჩემპიონები

23 - „ბაიერნი"
9 - „ნიურნბერგი"
8 - „ბორუსია" (დორტმუნდი)
7 - „შალკე"
6 - „ჰამბურგი"
5 - „შტუტგარტი", „ბორუსია" (მიონხენგლადბახი)
4 - „ვერდერი", „კაიზერსლაუტერნი"
3 - „კიოლნი", „ლაიპციგი", „ფიურტი"
2 - „ჰერტა", „ვიქტორია 89", „დრეზდნერი", „ჰანოვერი"
1 - „კარლსლრუე", „კილი", „მიუნხენ 1860", „ფორტუნა" (დიუსელდორფი), „აინტრახტი" (ფრანკფურტი), „ბლაუვაისი", „აინტრახტი" (ბრაუნშვაიგი), „როტ-ვაისი", „ფრაიბურგერი", „ფიონიქს კარლსრუე", „რაპიდი" (ვენა), „ვოლფსბურგი".

„ანშლუსის" გამო, 1938 წლიდან მოყოლებული ავსტრიული კლუბები გერმანიის ჩემპიონატში თამაშობდნენ და ვენის „რაპიდმა" 1938 წელს გერმანიის თასი მოიგო, სამი წლის შემდეგ კი ქვეყნის ჩემპიონიც გახდა.

### ბუნდესლიგის ჩემპიონები
### 1963-2013

22 - „ბაიერნი"
5 - „ბორუსია" (მიონხენგლადბახი), „ბორუსია" (დორტმუნდი)
4 - „ვერდერი"
3 - „ჰამბურგი", „შტუტგარტი"
2 - „კიოლნი", „კაიზერსლაუტერნი"
1 - „მიუნხენ 1860", „აინტრახტი" (ბრაუნშვაიგი), „ნიურნბერგი", „ვოლფსბურგი"

აქვე, აღმოსავლეთ გერმანიის ჩემპიონებს შემოგთავაზებთ:

### გდრ-ის ობერლიგის ჩემპიონები
### 1948-1991

10 - „დინამო" (ბერლინი) - ზედიზედ: 1979-1988 წლებში
8 - „დინამო" (დრეზდენი)
6 - „ფორვერტს ბერლინი"
4 - „ვისმუტ კარლ მაქს შტადტი" (დღეს: ერცგებირგის აუე)
3 - „კარლ ცაისი" (იენა), „მაგდებურგი"
2 - „ხემი ლაიპციგი", „ტურბინე ჰალე", „ტურბინე ერფურტი", „ჰორხ ცვიკაუ"
1 - „ჰანზა" (როსტოკი), „კარლ მარქს შტადტი" (დღეს: „ხემნიცერი")

### მწვრთნელები
### ჩემპიონები

8 - უდო ლატეკი
7 - ოტმარ ჰიტცფელდი
4 - ჰენეს ვაისვაილერი
3 - იუპ ჰაინკესი, ფელიქს მაგათი, ოტო რეჰაგელი

### ჩემპიონი ფეხბურთელის და მწვრთნელის რანგში

ჰელმუტ ბენტჰაუსი (1-ელ ფეხბურთელის რანგში - 1-ელ მწვრთნელი რანგში), იუპ ჰაინკესი (4-3), ფრანც ბეკენბაუერი (5-1), მატიას ზამერი (3-1), თომას შააფი (2-1), ფელიქს მაგათი (3-3)

### ყველაზე მეტი მატჩი

1. ოტო რეჰაგელი - 832 თამაში
2. იუპ ჰაინკესი - 642
3. ერიხ რიბეკი - 569
4. უდო ლატეკი - 522
5. ფელიქს მაგათი - 495

### ყველაზე მეტჯერ ბუნდესლიგიდან გავარდა:

7 - ფრიდჰელმ ფუნკელი
5 - კუნო კლიოცერი

### ყველაზე მეტჯერ გუნდი ბუნდესლიგაში გადაიყვანა

5 - ფრიდჰელმ ფუნკელი და ოტო რეჰაგელი
4 - მანფრედ კრაფტი

### ფეხბურთელები
### ჩემპიონები

8 - ოლივერ კანი, მეჰმეთ შოლი
7 - კლაუს აუგენტალერი, ლოთარ მათეუსი, ალექსანდრ ციკლერი
6 - იენს იერემისი, სამუელ კუფური, ლუდვიგ კიოგლი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ჰასან სალიჰამიჯიჩი, ბასტიან შვაინშტაიგერი

### თამაშები
### ყველაზე მეტი მატჩი ბუნდესლიგაში

1. კარლ-ჰაინც კიორბელი - 602 თამაში
2. მანფრედ კალცი - 581
3. ოლივერ კანი - 557
4. კლაუს ფიხტელი - 552
5. მიროსლავ ვოტავა - 546
6. კლაუს ფიშერი - 535
7. აიკე იმელი - 534
8. ვილი ნოიბერგერი - 520
9. მიხაელ ლამეკი - 518
10. ული შტაინი - 512

ყველაზე მეტი მატჩი ზედიზედ ლეგენდარულმა ზეპ მაიერმა ჩაატარა - 442 (სერია 1966/67 წლების სეზონის დასაწყისიდან, 1978/79 წლების სეზონის ბოლომდე გრძელდებოდა). ბუნდესლიგაში მაიერმა მხოლოდ ის სამი თამაში გამოტოვა, რომელიც „ბაიერნმა" 1966 წელს, სეზონის სტარტზე ჩაატარა. იქიდან მოყოლებული, კარიერის დასრულებამდე მაიერს ერთი თამაშიც არ გამოუტოვებია.

### მოქმედი ფეხბურთელები

1. კლაუდიო პისარო - 353 თამაში
2-3. ლევან კობიაშვილი, ზე რობერტო - 336
4. ჰანო ბალიტჩი - 329
5. ჯერალდ ასამოა - 323
6. სტივ ჩერუნდოლო - 300
7. ბასტიან შვაინშტაიგერი - 299

### ლეგიონერები

1. კლაუდიო პისარო - 353 თამაში
2-3. **ლევან კობიაშვილი**, ზე რობერტო - 336
4. სერგეი ბარბარესი - 330
5. ოლე ბიონმოსე - 323
6. დედე - 322
7. ჰასან სალიჰამიჯიჩი - 321
8. დავიდ იაროლიმი - 318
9. ბუმ კუნ ჩა - 308
10. ზვონიმირ სოლდო - 301

ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელები: 1. ნური შაჰინი (16 წლის და 335 დღის), 2. იურგენ ფრიდლი (17 წლის და 25 დღის), 3. იბრაჰიმ ტანკო (17 წლის და 60 დღის)

ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელები: 1. კლაუს ფიხტელი (43 წლის და 183 დღის), 2. ული შტაინი (42 წლის და 170 დღის), 3. ტონი შუმახერი (42 წლის და 73 დღის)

### გოლები
### ყველაზე მეტი გოლი ბუნდესლიგაში

1. გერდ მიულერი - 365 გოლი
2. კლაუს ფიშერი - 268
3. იუპ ჰაინკესი - 220
4. მანფრედ ბურგსმიულერი - 213
5. ულფ კირსტენი - 182
6. შტეფან კუნცი - 179
7-8. კლაუს ალოფსი, დიტერ მიულერი - 177
9-10. ჰანეს ლიორი, კლაუდიო პისარო - 166
11. კარლ-ჰაინც რუმენიგე - 162

დორტმუნდის „ბორუსიას" და ბრემენის „ვერდერის" ლეგენდა მანფრედ ბურგსმიულერი, საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ამერიკულ ფეხბურთში გადავიდა და 1996-2002 წლებში, „რაინ ფაიერის" რიგებში ე.წ. „კიკერის" პოზიციაზე თამაშობდა. ბურგსმიულერი სპორტის ამ სახეობის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი მოთამაშეა (52 წლის). 1998 და 2000 წლებში მისმა გუნდმა World Bowl მოიგო. ცნობისთვის, World Bowl ამერიკული Super Bowl-ის ევროპული ვარიანტი იყო.

### მოქმედი ფეხბურთელები

1. კლაუდიო პისარო - 166 გოლი
2. მარიო გომესი - 138
3. მიროსლავ კლოზე - 121
4-5. კევინ კურანი, შტეფან კისლინგი - 111

### ლეგიონერები

1. კლაუდიო პისარო - 166 გოლი
2. ჯოვანი ელბერი - 133
3-4. სტეფან შაპუიზა, აილტონი - 106

### ერთ შეხვედრაში გატანილი გოლები

6 გოლი - დიტერ მიულერი (1977 წლის 17 აგვისტო, „კიოლნი"-"ვერდერი" 7:2)

5 გოლი - გერდ მიულერი (4-ჯერ); ფრანც ბრუნგსი, ლუდოლფ ბრუნენმაიერი, მანფრედ ბურგსმიულერი, ატლი ედვალდსონი, ფრანკ ჰარტმანი, იუპ ჰაინკესი, დიტერ ჰიონესი, იურგენ კლინსმანი, კლაუს შეერი, კარლ-ჰაინც ტიელენი, მიხაელ ტიონისი (ყველა თითოჯერ)

4 გოლი (პოკერი) - გერდ მიულერი (10-ჯერ); კლაუს ფიშერი და დიტერ მიულერი (3-3); ერიხ ბეერი, მარიო გომესი, კარლ-ჰაინც რუმენიგე და ფრიც ვალტერი (ლეგენდარულ ფრიც ვალტერში არ აგერიოთ, ეს ფეხბურთელი 80-90-იან წლებში თამაშობდა და 1992 წელს ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა) (2-2)

3 გოლი (ჰეთთრიქი) - გერდ მიულერი (18-ჯერ); მანფრედ ბურგსმიულერი, მარიო გომესი, კლაუს ფიშერი (9-9); იუპ ჰაინკესი (8).

2 გოლი (დუბლი) - გერდ მიულერი (55-ჯერ); იუპ ჰაინკესი (41); მანფრედ ბურგსმიულერი (34); კლაუს ფიშერი (32); კლაუს ალოფსი (30).

### ყველაზე მეტი სუფთა ჰეთთრიქი (მიყოლებით გატანილი სამი გოლი)

7 - გერდ მიულერი
5 - კლაუს ფიშერი
3 - მანფრედ ბურგსმიულერი, დიტერ მიულერი

ყველაზე ახალაზრდა გოლის ავტორი: 1. ნური შაჰინი (17 წლის და 2 თვის), 2. იულიან დრაქსლერი (17 წლის და 6 თვის), 3. ლარს რიკენი (17 წლის და 7 თვის)

ყველაზე ასაკოვანი გოლის ავტორი: 1. მიროსლავ ვოტავა (40 წლის და 4 თვის), 2. მანფრედ ბურგსმიულერი (39 წლის და 6 თვის), 3. მორტენ ოლსენი (39 წლის დ 5 თვის)

### ყველაზე მეტი გოლი პენალტით

1. მანფრედ კალცი - 53 (60 ცდიდან)
2. გერდ მიულერი - 51 (63)
3. მიხაელ ცორკი - 49 (57)
4. ჰორსტ-დიტერ ჰიოტეგსი - 40 (48)
5-7. ვილფრიდ ჰანესი, პაულ ბრაიტნერი და გეორგ ფოლკერტი - 31 (38)

### ყველაზე მეტი გოლი ცვლილებაზე გამოსვლის შემდეგ

1. კრისტიან ციკლერი - 18 გოლი
2-3. ჰანს-იორგ კრინსი და მეჰმეთ შოლი - 14
4-6. შტეფან კონი, ფრანკ ორდენევიცი, გიუნტერ თილე - 13

### ყველაზე მეტი ავტოგოლი

6 - მანფრედ კალცი და ნიკოლჩე ნოვესკი
5 - პერ რიონტვედი

### მოქმედი ფეხბურთელები

6 - ნიკოლჩე ნოვესკი
4 - პერ მერტეზაკერი, მარკო რეუსი
3 - სტივ ჩერუნდოლო, მაიკ ფრანცი, კარიმ ჰაგი

2005 წლის 19 ნოემბერს, „მაინცი"-"აინტრახტის" შეხვედრაში, ნოვესკიმ მატჩის პირველ 6 წუთში საკუთარ კარში ორი გოლი გაიტანა, მოგვიანებით კი მეტოქის კარიც აილო და ანგარიში 1:2 გახადა. საბოლოოდ, შეხვედრა 2:2 დასრულდა, ნოვესკიმ კი განაცხადა: „რაც არ უნდა იყოს, ეს ჩემთვის კარიერაში პირველი ჰეთთრიქი იყო".

სხვა ფეხბურთელები, ვინც ერთ შეხვედრაში 2 ავტოგოლი მიითვალა: დიტერ ბასტი, პერ რიონტვედი, გერდ ციმერმანი, დიტერ პულტერი და ქარიმ ჰაგი.

### დისციპლინა
### ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი

1. შტეფან ეფენბერგი - 114 ყვითელი
2. დავიდ იაროლიმი - 96
3. ბერნდ ჰოლერბახი - 95
4. ტორსტენ ფრინგსი - 92
5. ფრანკ გრაინერი - 89



მარცხნიდან: გერდ მიულერი - ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი, ზეპ მაიერი - ზედიზედ ყველაზე მეტი მატჩის ჩამტარებელი და უბრალოდ „კაიზერი"

### ყველაზე მეტი ყვითელ-წითელი ბარათი

1-2. მარსელო ბორდონი და მარტინ ვაგნერი - 6
3-6. მიხაელ ბალაკი, თომას ბერთოლდი, ბერნჰარდ ტრარესი, ტომაშ ვალდოხი - 5

### ყველაზე მეტი წითელი

1-4. მაურიციო გაუდინიო, ფერნანდო მეირა, იენს ნოვოტნი, ტორსტენ ვოლერტი - 5
5-10. სერგეი ბარბარესი, ფრანკ ფარენჰორსტი, ვოლფგანგ ფუნკელი, სამუელ კუფური, იოაკიმ ფილიპკოვსკი, კრისტიან ვიორნსი - 4

### მეკარეები
### ყველაზე მეტი მშრალი მატჩი

1. ოლივერ კანი - 204
2. ოლივერ რეკი - 176
3. ეიკე იმელი - 148
4. ული შტაინი - 146
5. ზეპ მაიერი - 137

### ყველაზე ხანგრძლივი მშრალი სერია

ტიმო ჰილდებრანდი - 884 წუთი („შტუტგარტი", 2003 წლის 25 მაისიდან, 4 ოქტომბრამდე)

### საუკეთესო ბომბარდირი მეკარეებს შორის

26 გოლი - ჰანს-იორგ ბუტი (ყველა პენალტით) - „ჰამბურგში" თამაშის დროს, 1998/99 წლების სეზონში ბუტმა 7 გოლი გაიტანა, მომდევნო წელს კი 9.

### თამაშიდან გოლი გაიტანეს

იენს ლემანმა („ბორუსია" დორტმუნდი-"შალკე", 1997 წლის 19 დეკემბერი) და ფრანკ როსტმა („ვერდერი"-"ჰანზა", 2002 წლის 31 მარტი)

ლემანმა, თავის მომავალ კლუბს, დორტმუნდის „ბორუსიას" უკანასკნელ წუთზე გაუტანა და შეხვედრა ფრედ დასრულდა.

### სხვადასხვა გუნდური რეკორდი

ყველაზე მეტი ქულა სეზონში - 91, „ბაიერნი" (2012/13)

ყველაზე ცოტა ქულა სეზონში - 10, ბერლინის „ტასმანია" (1965-66)

ყველაზე მეტი ქულა პირველ წრეში - 44, „ბაიერნი" (2005/06)

ყველაზე ცოტა ქულა პირველ წრეში - 4, „ტასმანია" (1965/66)

ყველაზე მეტი ქულა მეორე წრეში - 49, „ბაიერნი" (2012/13)

ყველაზე ცოტა ქულა მეორე წრეში - 6, „ტასმანია" (1965/66)

ყველაზე მეტი მოგება სეზონში - 29, „ბაიერნი" (2012/13)

ყველაზე ნაკლები წაგება სეზონში - 1, „ბაიერნი" (2012/13)

ყველაზე მეტი გოლი სეზონში - 101, „ბაიერნი" (1971/72)

ყველაზე ცოტა გოლი სეზონში - 15, „ტასმანია" (1965/66)

ყველაზე ცოტა გაშვებული გოლი სეზონში - 18, „ბაიერნი" (2012/13)

ყველაზე მეტი გაშვებული გოლი სეზონში - 108, „ტასმანია" (1965/66)

ზედიზედ მოგებული მატჩები - 15, „ბაიერნი" (2004/05 სეზონის 26-ე ტურიდან, 2005/06 სეზონის მე-6 ტურის ჩათვლით)

ზედიზედ მოგებული მატჩები ერთ სეზონში - 14, „ბაიერნი" (2012/13 სეზონი, 18-31 ტურები)

ყველაზე ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერია - 36, „ჰამბურგი" (1982 წლის 30 იანვრიდან, 1983 წლის 22 იანვრამდე)

სეზონის სტარტზე დაუმარცხებელი სერია - 24, „ბაიერი" (2009/10) - მიუხედავად ამისა, „ბაიერი" მე-4 ადგილზე გავიდა.

ყველაზე ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერია შინ - 73, „ბაიერნი" (1970 წლის 11 აპრილი - 1974 წლის 14 სექტემბერი)

ყველაზე ხანგრძლივი სერია მოგების გარეშე - 31, „ტასმანია" (1965/66 სეზონის 2-32 ტურები)

ყველაზე მეტი მარცხი ზედიზედ - 11, „ნიურნბეგი" (1983/84 სეზონის ბოლო 10 ტური და 1985/86 სეზონის პირველი ტური) - „ნიურნბერგი" 1984 წელს გავარდა და ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა)

ყველაზე მეტი წუთი გოლის გარეშე - 1 034, „კიოლნი" (2001/02 სეზონის მე-14 ტურის 31-ე წუთიდან, 25-ე ტურის 75-ე წუთამდე)

ერთადერთი გუნდი, რომელიც ჩემპიონი ისე გახდა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ერთი ტური ლიდერობდა: მიუნხენის „ბაიერნი", 1985/86 სეზონი.

ბუნდესლიგაში გადავიდა და გაჩემპიონდა: „კაიზერსლაუტერნი" (1998/99)

გაჩემპიონდა და ბუნდესლიგიდან გავარდა: „ნიურნბერგი" (ჩემპიონი: 1967/68, გავარდა: 1968/69)

ყველაზე მეტი სეზონი ბუნდესლიგაში: 50, „ჰამბურგი" - „ბუნდესლიგის უკანასკნელი დინო" - „ჰამბურგი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც ბუნდესლიგის ყველა გათამაშებაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

**ტატო ბაციკაძე**

● არგენტინა. ტორნეო ინისიალი. I ტურის გამოტოვებული მატჩი


ვიქტორ აკინოს შესანიშნავი დაბრუნება გამოუვიდა

# ჩემპიონმა მოგებით დაიწყო

არ გაგიკვირდეთ და ტორნეო ინისიალის მსვლელობისას ჩემპიონად ორი გუნდი უნდა მოვიხსენიოთ: „ნიუელს ოლდ ბოისი" და „ველეს სარსფილდი". არგენტინის ჩემპიონატის უცნაური სტრუქტურის და მეტადრე, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციაში დასაქმებული ჭკუამხიარული ხალხის (**ხულიო გრონდონას** წინამძღოლობით) გამო, ქვეყანას ორი მოქმედი ჩემპიონი ჰყავს - „ნიუელს" ტორნეო ფინალის გამარჯვებულია, „ველესი" კი სეზონის ჩემპიონია.

ერთ-ერთმა ჩემპიონმა, ტორნეო ფინალის გამარჯვებულმა „ნიუელსმა", ახალი სეზონი გამარჯვებით დაიწყო. I ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში, „ძველი ბიჭები" „ბომბონერაზე" ჩავიდნენ და იქიდან სამი ქულა წაიღეს.

ორივე გუნდში ძალიან ბევრი ცვლილება განხორციელდა. **კარლოს ბიანკიმ** ძირითადში მხოლოდ ორი ახალწვეული: **ემილიანო ინსუა** და **დანიელ „კატა" დიასი** დააყენა. პირველი გუნდში იჯარის შემდეგ დაბრუნდა, აი, დიასი კი „ბოკამ" მადრიდის „ატლეტიკოდან" გადაიყვანა და ვეტერანი მცველი ჯერჯერობით შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს - 2 შეხვედრაში „კატამ" 2 გოლი გაიტანა.

მოგეხსენებათ, „ნიუელსი" **ხერარდო მარტინომ, სანტიაგო ვერხინიმ** („ესტუდიანტესში" გადავიდა) და **იგნასიო სკოკომ** („ინტერნასიონალი") დატოვეს. მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ალფრედო ბერტი** დაინიშნა, სკოკოს შემცვლელად კი გუნდში **დავიდ ტრეზეგე** მივიდა, მაგრამ ვეტერანს არ უთამაშია. სტუმართა რიგებში, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კიდევ ერთი ახალწვეული, **ვიქტორ აკინო** გამოჩნდა, რომელმაც წინა სეზონი იჯარით „ბელგრანოში" გაატარა. პარაგვაელის დაბრუნება ტრიუმფალური გამოდგა - აკინომ მეორე ტაიმის პირველ 5 წუთში ორი გოლი გაიტანა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა.

„ბოკას" „ნიუელსთან" უკვე 5 მატჩია არ მოუგია. მეტიც, სანამ თამაშის მე-5 წუთზე **ნიკოლას ბლანდი** ანგარიშს არ გახსნიდა, მასპინძლებს მეტოქის კარში გოლი 360 წუთის განმავლობაში არ ჰქონდათ გატანილი.

**ბოკა-ნიუელსი 2:3**

**გოლები:** 1:0 ბლანდი (5), 1:1 კასკო (16), 2:1 კატა დიასი (31), 2:2 ვ. აკინო (46), 2:3 ვ. აკინო (51)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ლორენსო | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ატლ. რაფაელა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. ველესი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4. ესტუდიანტესი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 5. ლანუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 6. ნიუელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 7. გოდოი კრუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 8. როსარიო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 9. ხიმნასია ლპ | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 10. ბოკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 11. არ. ხუნიორსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 12. რივერი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 13. კილმესი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 14. არსენალი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 15. ოლიმპო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 16. ტიგრე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 17. ოლ ბოისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 18. კოლონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 19. რასინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 20. ბელგრანო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

● ჩემპიონთა ლიგა

# მეტალისტი ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთეს!

გუშინ უეფას სააპელაციო ინსტანციამ ხარკოვის „მეტალისტის" საკითხი სკულპულოზურად განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება, კლუბი 1 წლით ჩამოაშოროს ევროთასებს.

შეგახსენებთ, რომ „მეტალისტს" 2008 წლის მატჩის („კარპატის" წინააღმდეგ) ჩაწყობა დაუმტკიცდა და სწორედ ამის გამო ისჯება.

კლუბს ჯერ კიდევ აქვს დრო საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივროს უეფას გადაწყვეტილება.

21 და 27 აგვისტოს „მეტალისტს" გერმანულ „შალკესთან" პლეი ოფის რაუნდში უნდა გაერკვია, რომელი გუნდი გადავიდოდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე და რომელი ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე.

უეფა ჯერ არ ჩამოყალიბებულა, როგორ მოიქცეს „მეტალისტის" დისკვალიფიკაციის შემდეგ. სავარაუდოდ, „შალკეს" ბერძნული პაოკ-ი შეხვდება, რომელიც „მეტალისტმა" III საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოაგდო.

თავის მხრივ თელ ავივის „მაქაბი" ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს უბრძოლველად მიიღებს.

არის მეორე ვარიანტიც, თუმცა ნაკლებად სავარაუდო - „შალკე" პირდაპირ დაუშვან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ხარკოვის მეტალისტი ევროპის მიღმა დარჩა

● პრემიერლიგა

# პრემიერლიგის ასეული კენიელმა ვიქტორ ვანიამამ შეკრა

## 5 წელია, იქ ქართველს არ უთამაშია

2013/14 წლების სეზონის ინგლისური პრემიერლიგა, ისევე როგორც წინა, კვლავ მსოფლიოს ერთა ნაკრები იქნება. 17 აგვისტოს ჩემპიონატი იწყება და 20 კლუბის განაცხადებში 67 სხვადასხვა ქვეყნის შვილს ამოიკითხავთ. სამწუხაროა, რომ მათ შორის ქართველი არც ერთია. ბოლო ქართველი, ვინც პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო საკლუბო პირველობაზე მონაწილეობდა, **ზურაბ ხიზანიშვილია**, რომელიც ახლა 31 წლისაა და თურქულ „ქაისერისპორში" თამაშობს. 2008/09 წლების პრემიერლიგაში მან „ბლექბერნ როვერსის" შემადგენლობაში 5 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

2 სექტემბრამდე (როცა სატრანსფერო ფანჯარა იხურება) სიტუაცია ყოველდღიურად იცვლება, ასე რომ, მულტინაციონალურ ჩემპიონატს ჯერ კიდევ შეიძლება დაემატოს რომელიმე სხვა ერის შვილი.

როდესაც „საუთჰემპტონში" დებიუტი ექნება, **ვიქტორ ვანიამა** გახდება პირველი კენიელი ფეხბურთელი, ვინც პრემიერლიგაში ითამაშებს. 22 წლის ნაირობელი ინგლისში „სელტიკიდან" 12,5 მილიონი ფუნტი სტერლინგის სანაცვლოდ გადავიდა.

კენია გახდება მე-100 უცხოური ქვეყანა, რომელსაც ისტორიაში ერთი წარმომადგენელი მაინც ეყოლება პრემიერლიგაში. ბუნებრივია, ამ ჩამონათვალში არ მოხვდნენ ოთხი ბრიტანული ქვეყანა ინგლისი, უელსი, შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია.

ინგლისის ჩემპიონატი პრემიერლიგად 1992/93 წლების სეზონში გადაკეთდა და მას მერე ამ ტურნირზე 99 უცხოური ქვეყნის წარმომადგენელმა ითამაშა.

ინგლისელები ჯერჯერობით მაინც ჭარბობენ სხვებს საკუთარ ლიგაში, თუმცა უმრავლესობაში აღარ არიან - 566 ფეხბურთელიდან 207 ინგლისელია (36,6 %). მომდევნო ადგილებზე არიან ესპანელები და ფრანგები - 32-32 ფეხბურთელი (5,7%). შემდეგ მოდიან: ირლანდიელები - 29; შოტლანდიელები - 24; უელსელები - 21; ჰოლანდიელები - 15; ბელგიელები - 14; ბრაზილიელები - 14; ჩრდილო ირლანდიელები - 11; გერმანელები - 10 და ასე შემდეგ, 67-ვე ქვეყანას ნამდვილად ვერ ჩამოვთვლით.

სხვათა შორის, უცხოელებს ახასიათებთ კომპაქტურად რომელიმე კლუბის „ათვისება". ასე მაგალითად ყველაზე დიდი ესპანური „სათვისტომო" „სუონსიშია", სადაც 7 ესპანელი თამაშობს. ყველაზე მეტი ფრანგი კი „ნიუკასლშია" - 11, იქ ფრანგები ინგლისელებზე (9) მეტნი არიან.

### ქართველები პრემიერლიგაში

როგორც უკვე ვთქვით, 5 წელიწადია ჩვენებურს ინგლისის უმაღლეს ლიგაში არ უთამაშია. პირველი მერცხალი კი **გიორგი ქინქლაძე** იყო - ზუსტად 18 წლის წინ, 1995 წლის 19 აგვისტოს ქართველის დებიუტი შედგა პრემიერლიგაში, კერძოდ „მანჩესტერ სიტიში" („ტოტენჰემის" წინააღმდეგ). „ქართველი ჯადოქარი" „ნისლიან ალბიონზე" 2 მილიონი ფუნტი სტერლინგის სანაცვლოდ გადავიდა თბილისის „დინამოდან". ქინქლაძემ პრემიერლიგაში „სიტის" და „დერბის" მაისურით ითამაშა.

„მანჩესტერ სიტიში" უთამაშია **მიხეილ ყაველაშვილს**, „ბლექბერნის" მაისურით კი - ზურაბ ხიზანიშვილს. სამი სეზონი გაატარა „ნიუკასლში" **თემურ ქეცბაიამ**.


ვიქტორ ვანიამა (საუთჰემპტონი) მე-100 ქვეყნის წარმომადგენელი იქნება პრემიერლიგის ისტორიაში

### იცით თუ არა, რომ...

* 566 ფეხბურთელიდან 463 ევროპის 32 ქვეყანას წარადგენს.

* 42 ფეხბურთელი აფრიკის 15 ქვეყნიდანაა.

* 32 ფეხბურთელი სამხრეთ ამერიკის 8 ქვეყნიდან.

* 14 ფეხბურთელი კონკაკაფის რეგიონის 6 ქვეყანას წარმოადგენს.

* 9 აზიელი სულ 4 ქვეყნიდანაა.

* 6 ფეხბურთელი ავსტრალაზიის 2 ქვეყნიდანაა.

* ყველაზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი თამაშობს „ფულჰემში" - 19.

* ყველაზე ნაკლები ქვეყნის წარმომადგენელი თამაშობს „ნორვიჩში" - 9.

* ყველაზე ცოტა ინგლისელი „ფულჰემს" ჰყავს განაცხადში - სულ 4.

* „არსენალში" სულ 5 ინგლისელია, „ჩელსიში" - 7, „მანჩესტერ სიტიში" - 9.

* საოცარია, მაგრამ ყველაზე მეტი ინგლისელი პრემიერლიგის უელსურ კლუბს ჰყავს - „კარდიფში" 16 ინგლისელი და მხოლოდ 1 უელსელი თამაშობს.

* გრანდებიდან ინგლისელების სიმრავლეს „მანჩესტერ იუნაიტედი (14) და „ლივერპული" (13) დაიკვეხნიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● პრემიერლიგა 2013/

## მანჩესტერ იუნაიტედი

დაარსდა: 1878 წ.
სტადიონი: "ოლდ ტრეფორდი" - 75731

| მეკარეები: | |
|---|---|
| 1. დავიდ დე ხეა (ესპ) | 07.11.1990 |
| 13. ანდერს ლინდეგორი (დან) | 13.04.1984 |
| 40. ბენეიმოსი | 10.04.1990 |

| მცველები: | |
|---|---|
| 2. რაფაელი (ბრ) | 09.07.1990 |
| 3. პატრის ევრა (საფ) | 15.05.1981 |
| 4. ფილ ჯონსი | 21.02.1992 |
| 5. რიო ფერდინანდი | 07.11.1978 |
| 6. ჯონი ევანსი (ჩრ. ირლ) | 03.01.1988 |
| 12. კრის სმოლინგი | 22.11.1989 |
| 15. ნემანია ვიდიჩი (სერ) | 21.10.1981 |
| 22. ფაბიო (ბრ) | 09.07.1990 |
| 28. ალექსანდერ ბიუტნერი (ჰოლ) | 11.02.1989 |
| გილერმო ვარელა (ურ) | 24.03.1993 |

| ნახევარმცველები: | |
|---|---|
| 8. ანდერსონი (ბრ) | 13.04.1988 |
| 11. რაიან გიგზი (უელ) | 29.11.1973 |
| 16. მაიკლ კერიკი | 28.07.1981 |
| 17. ნანი (პორ) | 17.11.1986 |
| 18. ეშლი იანგი | 09.07.1985 |
| 23. ტომ კლევერლი | 12.08.1989 |
| 24. დარენ ფლეტჩერი (შოტ) | 01.02.1984 |
| 25. ანტონიო ვალენსია (ეკვ) | 04.08.1985 |
| 26. შინჯი კაგავა(იაპ) | 17.03.1989 |
| 44. ადნან იანუზაი (ბელ) | 05.02.1995 |
| ნიკ პაუელი | 23.03.1994 |

| თავდამსხმელები: | |
|---|---|
| 10. უეინ რუნი | 24.10.1985 |
| 14. ხავიერ ერნანდესი (მექ) | 01.06.1988 |
| 19. დენი უელბეკი | 26.11.1990 |
| 20. რობინ ვან პერსი (ჰოლ) | 06.08.1983 |
| 21. ანხელო ენრიკესი (ჩილ) | 13.04.1994 |
| 27. ფედერიკო მაკედა (იტ) | 22.08.1991 |
| 29. უილფიდ ზაჰა | 10.11.1992 |
| 33. ბებე | 12.07.1990 |
| მთ.მწვრთნ: დევიდ მოიესი (შოტ) | 25.04.1963 |

## მანჩესტერ სიტი

დაარსდა: 1880 წ.
სტადიონი: "ეტიჰადი" - 47 726

| მეკარეები: | |
|---|---|
| 1. ჯო ჰარტი | 19.04.1987 |
| 29. რიჩარდ რაიტი | 05.11.1977 |
| 30. კოსტელ პანტილიმონი (რუმ) | 01.02.1987 |

| მცველები: | |
|---|---|
| 2. მიკა რიჩარდსი | 24.06.1988 |
| 4. ვენსან კომპანი (ბელ) | 10.04.1986 |
| 5. პაბლო საბალეტა (არგ) | 16.01.1985 |
| 6. ჯოლეონ ლესკოტი | 16.08.1982 |
| 13. ალექსანდარ. კოლაროვი (სერ) | 10.11.1985 |
| 22. გაელ კლიში (საფ) | 26.07.1985 |
| 28. კოლო ტურე (კოტ) | 19.03.1981 |
| 33. მატია ნასტასიჩი (სერ) | 28.03.1993 |
| 38. დედრიკ ბოიატა (ბელ) | 28.11.1990 |

| ნახევარმცველები: | |
|---|---|
| 7. ჯეიმს მილნერი | 04.01.1986 |
| 8. სამირ ნასრი (საფ) | 26.06.1987 |
| 11. სკოტ სინკლერი | 25.03.1989 |
| 14. ხავი გარსია (ესპ) | 08.02.1987 |
| 15. ხესუს ნავასი (ესპ) | 21.11.1985 |
| 17. ჯეკ როდუელი | 11.03.1991 |
| 18. გარეთ ბარი | 23.02.1981 |
| 21. დავიდ სილვა (ესპ) | 08.01.1986 |
| 25. ფერნანდინიო (ბრ) | 04.05.1985 |
| 42. იაია ტურე (კოტ) | 13.05.1983 |
| 62. აბდულ რაზაკი (კოტ) | 11.11.1992 |

| თავდამსხმელები: | |
|---|---|
| 9. ალვარო ნეგრედო (ესპ) | 20.08.1985 |
| 10. ედინ ჯეკო (ბოს) | 17.03.1986 |
| 16. სერხიო აგუერო (არგ) | 02.06.1988 |
| 35. სტევან იოვეტიჩი (მონტ) | 02.11.1989 |
| 60. ჯონ გვიდეტი (შვედ) | 15.04.1992 |
| მთ.ი მწვრი: მანუელ პელეგრინი (ჩილ) | 16.09.1953 |

## ჩელსი

დაარსდა: 1905 წ.
სტადიონი: "სტემფორდ ბრიჯი" - 41 837

| მეკარეები: | |
|---|---|
| 1. პეტრ ჩეხი (ჩეხ) | 20.05.1982 |
| 23. მარკ შვარცერი (ავსტ) | 06.10.1972 |
| 40. ენრიკე ილარიო | 21.10.1975 |

| მცველები: | |
|---|---|
| 2. ბრანისლავ ივანოვიჩი (სერ) | 22.02.1984 |
| 3. ეშლი კოული | 20.12.1980 |
| 4. დავიდ ლუისი (ბრ) | 22.04.1987 |
| 24. გარი კეჰილი | 19.12.1985 |
| 26. ჯონ ტერი | 07.12.1980 |
| 27. სემ ჰატჩინსონი | 03.08.1989 |
| 28. სესარ ასპილიკუეტა (ესპ) | 28.08.1989 |
| 33. ტომაშ კალაში | 15.05.1993 |
| 34. რაიან ბერტრანი | 05.08.1989 |
| 39. კრისტიან კუევასი | 02.03.1995 |

| ნახევარმცველები: | |
|---|---|
| 5. მიკაელ ესიენი (განა) | 03.12.1982 |
| 7. რამირესი (ბრ) | 24.03.1987 |
| 8. ფრენკ ლემპარდი | 20.06.1978 |
| 10. ხუან მატა (ესპ) | 28.04.1988 |
| 11. ოსკარი (ბრ) | 09.09.1991 |
| 12. ჯონ ობი მიკელი (ნიგ) | 22.04.1987 |
| 16. მარკო ვან გინკელი (ჰოლ) | 01.12.1992 |
| 17. ედენ აზარი (ბელ) | 07.01.1991 |
| 37. ბერტრან ტრაორე | 06.09.1995 |
| კევინ დე ბრუინი (ბელ) | 28.06.1991 |
| ჯოშუა მაკეხრანი | 01.03.1993 |

| თავდამსხმელები: | |
|---|---|
| 9. ფერნანდო ტორესი (ესპ) | 20.03.1984 |
| 13. ვიქტორ მოზესი (ნიგ) | 12.12.1990 |
| 14. ანდრე შიურლე (გერ) | 06.11.1990 |
| 19. დემბა ბა | 25.05.1985 |
| 36. ისლამ ფერუზი (შოტ) | 10.09.1995 |
| ულისეს დავილა (მექს) | 13.04.1991 |
| რომელუ ლუკაკუ (ბელ) | 13.05.1993 |
| მთ. მწვრ: ჟოზე მოურინიო (პორ) | 26.01.1963 |

## არსენალი

დაარსდა: 1886 წ.
სტადიონი: "ემირეიტსი" 60361

| მეკარეები: | |
|---|---|
| 1. ვოიცეხ შჩესნი (პოლ) | 18.04.1990 |
| 21. ლუკაშ ფაბიანსკი (პოლ) | 18.04.1985 |
| 36. დამიან მარტინესი (არგ) | 02.09.1992 |
| 68. დეიან ილიევი (მაკ) | 25.02.1995 |

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დების განაცხადები

### მცველები:

3. ბაკარი სანია (საფ) 14.02.1983
4. პერ მერტესაკერი (გერ) 29.09.1984
5. ტომას ვერმალენი (ბელ) 14.11.1985
6. ლორან კოშელნი (საფ) 10.09.1985
17. მანო მონრეალი (ესპ) 26.02.1986
25. კარლ ჯენკინსონი 08.02.1992
28. კირან გიბსი 26.09.1989

### ნახევარმცველები:

2. აბუ დიაბი (საფ) 11.05.1986
7. ტომაშ როსიცკი (ჩეხ) 04.10.1980
8. მიკელ არტეტა (ესპ) 26.03.1982
10. ჯეკ უილშირი 01.01.1992
14. თეო უოლკოტი 16.03.1989
15. ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი 15.08.1993
16. აარონ რემსი (უელ) 26.12.1990
19. სანტი კასორლა (ესპ) 13.12.1984
22. ფრანსის კოკლენი (საფ) 13.05.1991
23. კრისტოფერ ოლსონი (შვედ) 30.06.1995
26. ემანუელ ფრიმპონგი (განა) 10.01.1992
31. რიო მიაიჩი (იაპ) 14.12.1992
35. გედიონ ზელალემი (გერ) 26.01.1997
46. თომას აისფელდი 18.01.1993
47. სერჟ ნიარგი (გერ) 14.07.1995

### თავდამსხმელები:

9. ლუკას პოდოლსკი (გერ) 04.06.1985
12. ოლივიე ჟირუ (საფ) 30.09.1986
22. იაია სანოგო (საფ) 27.01.1993
30. ჩუ-იუნგ პარკი (ს. კორ) 10.07.1985
39. ზაკ ანსა 04.05.1994
52. ნიკლას ბენდტნერი (დან) 16.01.1988
67. ჩუბა აკპომი 09.10.1995
მთავარი მწვრ: არსენ ვენგერი (საფ) 22.10.1949

## ფოქსენჰემი

დაარსდა: 1882 წ.
სტადიონი: "უაით ჰარტ ლეინი" – 36310

### მეკარეები:

1. ეურელიო გომეში (ბრ) 15.02.1981
24. ბრედ ფრიდელი (აშშ) 18.05.1971
25. უგო ლორისი (საფ) 26.12.1986

### მცველები:

3. დენი როუზი 02.07.1990
4. იუნეს კაბული (საფ) 04.01.1986
5. იან ვერტონგენი (ბელ) 24.04.1987
16. კაილ ნაუტონი 11.11.1988
20. მაიკლ დოუსონი 18.11.1983
28. კაილ უოლკერი 28.05.1990
32. ბენუა ასუ-ეკოტო (კამ) 24.03.1984
36. ბონგანი ხუმალო (ს. აფრ) 06.01.1987

### ნახევარმცველები:

6. ტომ ჰადლსტოუნი 28.12.1986
7. აარონ ლენონი 16.04.1987
8. სკოტ პარკერი 13.10.1980
11. გარეთ ბეილი (უელ) 16.07.1989
15. პაულინიო (ბრ) 25.07.1988
19. მუსა დემბელე (ბელ) 16.07.1987
22. გილფი სიგურდსონი (ის) 08.09.1989
23. ლუის ჰოლტბი (გერ) 18.09.1990
27. იაგო ფალკე (ესპ) 04.01.1990
29. ჯეიკ ლივერმორი 14.11.1989
30. რანიერ სანდრო (ბრ) 15.03.1989
46. ტომ კეროლი 28.05.1992
რაიან ფრედერიკსი 10.10.1992
კევინ სტიუარტი 07.09.1993

### თავდამსხმელები:

9. რობერტო სოლდადო (ესპ) 27.05.1985
10. ემანუელ ადებაიორი (ტოგო) 26.02.1984
18. ჯერმეინ დეფო 07.10.1982
21. ნასერ შადლი (ბელ) 02.09.1989
მთავარი მწვრთ: ანდრე ვილაშ ბოაში (პორ) 17.10.1977

## ევერტონი

დაარსდა: 1878 წ.
სტადიონი: "გუდისონ პარკი" - 40 157

### მეკარეები:

1. ხოელ რობლესი (ესპ) 17.06.1990
24. ტიმ ჰოვარდი (აშშ) 06.03.1979
46. მეისონ სპრინსტორპი 01.11.1994

### მცველები:

2. ტონი ჰიბერტი 20.02.1981
3. ლეიტონ ბეინსი 11.12.1984
5. ჯონ ჰეიტინგა (ჰოლ) 15.11.1983
6. ფილ იაგიელკა 17.08.1982
8. ბრაიან ოვიედო (კოსტ) 18.02.1990
15. სილვენ დისტენი (საფ) 06.12.1977
23. შეიმუს კოულმენი (ირლ) 11.10.1988
26. ჯონ სტოუნზი 28.05.1994
32. ანტოლინ ალკარასი (პარ) 30.07.1982
34. შეინ დაფი (ირლ) 01.01.1992
42. ლუკ გარბუტი 21.05.1993

### ნახევარმცველები:

4. დარონ გიბსონი (ირლ) 25.10.1987
11. კევინ მირალიაში (ბელ) 05.10.1987
14. სტივენ ნეისმიტი (შოტ) 14.09.1986
20. როს ბერკლი 05.12.1993
21. ლეონ ოსმანი 17.05.1981
22. სტივენ პიენაარი (სარ) 17.03.1982
25. მარუან ფელაინი (ბელ) 22.11.1987
33. ჯონ ლუნდსტრამი 18.02.1994

### თავდამსხმელები:

7. ნიკიცა იელავიჩი (ხორ) 27.08.1985
9. არუნა კონე (კ. დივ) 11.11.1983
10. ჟერარდ დეულოფეუ (ესპ) 13.03.1994
19. მაგაი გუიე (სენ) 06.07.1990
27. აპოსტოლოს ველიოსი (საბ) 08.01.1992
28. ვიქტორ ანიჩებე (ნიგ) 23.04.1988
მთ. მწვრ.: რობერტო მარტინ. (ესპ) 13.07.1973

## ლივერპული

დაარსდა: 1892 წ.
სტადიონი: "ენფილდ როუდი" — 45 522

### მეკარეები:

1. ბრედ ჯონსი (ავსტრ) 19.03.1982
22. სიმონ მინიოლე (ბელ) 06.03.1988

### მცველები:

2. გლენ ჯონსონი 23.08.1984
3. ხოსე ენრიკე (ესპ) 23.01.1986
4. კოლო ტურე (კ. დივ) 19.03.1981
5. დანიელ აგერი (დან) 12.12.1984
16. სებასტიან კოატესი (ურუ) 07.10.1990
34. მარტინ კელი 27.04.1990
37. მარტინ შკრტელი (სლოვ) 15.12.1984
47. ანდრე უისდომი 09.05.1993

### ნახევარმცველები:

6. ლუის ალბერტო (ესპ) 28.11.1992
8. სტივენ ჯერარდი 30.05.1980
10. ფილიპე კოუტინიო (ბრა) 12.06.1992
11. უსამა ასაიდი (მარ) 15.08.1988
14. ჯორდან ჰენდერსონი 17.06.1990
21. ლუკას ლეივა (ბრა) 09.01.1987
24. ჯო ალენი (უელ) 14.03.1990
31. რაჰემ სტერლინგი 08.12.1994

### თავდამსხმელები:

7. ლუის სუარესი (ურუ) 24.01.1987
9. იაგო ასპასი (ესპ) 01.08.1987
15. დენიელ სტარიჯი 01.09.1989
30. სუსო (ესპ) 19.11.1993
29. ფაბიო ბორინი (იტა) 29.03.1991
51. ჟორდან აიბი 08.12.1995
36. სამედ იესილი (გერ) 25.05.1994
დანი პაჩეკო (ესპ) 05.01.1991
მთ. მწვ: ბრენდან როჯერსი (ჩ. ირლ) 26.01.1973

## ვესტ ბრომვიჩი

დაარსდა: 1878 წ.
სტადიონი: "ჰაუტორნსი" – 26272

### მეკარეები:

1. ბენ ფოსტერი 03.04.1983
13. ოლივერ მაიჰილი (უელ) 09.11.1982
19. ლუკ დენიელსი 05.01.1988

### მცველები:

2. სტივენ რიდი (ირლ) 10.03.1981
3. იონას ოლსონი (შვედ) 10.03.1983
4. გორან პოპოვი (მაკ) 02.10.1984
6. ლაიამ რიჯუელი 21.07.1984
14. დიეგო ლუგანო (ურ) 02.11.1980
23. გარეთ მაკაული (ჩრ. ირლ) 05.12.1979
25. კრეიგ დოუსონი 06.05.1990
28. ბილი ჯონსი 24.03.1987
30. გაბრიელ ტამაში (რუმ) 09.11.1983

### ნახევარმცველები:

5. კლაუდიო იაკობი (არგ) 18.07.1987
7. ჯეიმს მორისონი (შოტ) 25.05.1986
11. კრის ბრანტი 14.12.1984
15. ჯორჯ ტორნი 04.01.1993
17. გრემ დორანსი (შოტ) 05.05.1987
21. იუსუფ მულუმბუ (კონგო) 25.01.1987
22. ზოლტან გერა (უნგ) 22.04.1979

### თავდამსხმელები:

8. მარკუს როსენბერგი (შვედ) 27.09.1982
9. შეინ ლონგი (ირლ) 22.01.1987
20. მატეი ვიდრა (ჩეხ) 01.05.1992
24. პიტერ ოდემვინგე (ნიგ) 15.07.1981
39. ნიკოლას ანელკა (საფ) 14.03.1979
მთ. მწვრ: სტივ კლარკი (შოტ) 29.08.1963

## სუონსი

დაარსდა: 1912 წ.
სტადიონი: "ლიბერთი სტედიუმი" – 20750

### მეკარეები:

1. მიხელ ვორმი (ჰოლ) 20.10.1983
25. გერჰარდ ტრემელი (გერ) 16.11.1978
45. გრეგორ ზაბრეტი (სლოვ) 18.08.1995

### მცველები:

2. ხორდი ამატი (ესპ) 21.03.1992
3. ნილ ტეილორი (უელ) 07.02.1989
4. ჩიკო ფლორესი (ესპ) 06.03.1987
6. ეშლი უილიამსი (უელ) 23.08.1984
16. გარი მონკი 06.03.1979
22. ანხელ რანხელი (ესპ) 28.10.1982
23. დარნელ შიტუ (საფ) 18.03.1992
28. კერტის ობენგი 14.02.1989
33. ბენ დევისი (უელ) 24.04.1993
35. დენიელ ალფეი (უელ) 23.02.1992
37. სკოტ ტენკოკი (უელ) 29.12.1993

### ნახევარმცველები:

7. ლეონ ბრიტონი 16.09.1982
8. ჯონჯო შელვი 27.02.1992
11. პაბლო ერნანდესი (ესპ) 11.04.1985
12. ნათან დაიერი 29.11.1987
15. უეინ რუტლეჯი 07.01.1985
17. სუნ-იუნ კი (ს. კორ) 24.01.1989
20. ჯონათან დე გუზმანი (ჰოლ) 13.09.1987
21. გილერმო კანიასი (ესპ) 27.05.1987
24. ალეჯს პოსუელო (ესპ) 20.09.1991
29. ჯაზ რიჩარდსი (უელ) 12.04.1991
30. ჯოშ შეანი (უელ) 30.03.1995
31. ლი ლუკასი (უელ) 10.06.1992
39. კერტის მარჩი 30.04.1993
47. ალექსანდროს გოგიჩი (კვიპ) 13.04.1994
48. ჯერდან მიდი 25.10.1992

### თავდამსხმელები:

9. მიგელ მიჩუ (ესპ) 21.03.1986
10. ვილფრიდ ბონი (კ. დივ) 10.12.1988
14. როლან ლამა (ბელ) 31.12.1987
18. ლეროი ლიტა 28.12.1984
19. ლუკ მური 13.02.1986
36. ჯეიმს ლოვერიჯი (უელ) 16.05.1994
41. რორი დონელი (ჩ. ირლ) 18.02.1992
მთავარი მწ: მიკაელ ლაუდრუპი (დან) 15.06.1964

## ვესტ ჰემი

დაარსდა: 1895 წ.
სტადიონი "ბოლეინ გრაუნდი" – 35016

### მეკარეები:

13. ადრიანი (ესპ) 03.01.1987
22. იუსი იესკელაინენი (ფინ) 19.04.1975
25. სტივენ ჰენდერსონი 02.05.1988
30. რაფაელ შპიგელი (შვეიც) 19.12.1992

### მცველები:

2. უინსტონ რიდი (ახ. ზელ) 03.07.1988
3. ჯორჯ მაკარტნი (ჩრ. ირლ) 29.04.1981
5. ჯეიმს ტომკინსი 29.03.1989
8. რაზვან რაცუ (რუმ) 26.05.1981
17. ჯოი ობრაიენი (ირლ) 17.02.1986
19. ჯეიმს კოლინზი (უელ) 23.08.1983
20. გი დემელი (კოტ) 13.06.1981
27. ჯორდან სპენსი 24.05.1990

### ნახევარმცველები:

4. კევინ ნოლანი 24.06.1982
7. მეტიუ ჯარვისი 22.05.1986
10. ჯეკ კოლისონი (უელ) 02.10.1988
14. მეთიუ ტეილორი 27.11.1981
16. მარკ ნობლი 08.05.1987
21. მომო დიამე (სენ) 14.06.1987
23. ალუ დიარა 15.07.1981
26. ჯო კოული 08.11.1981
სტიუარტ დაუნინგი 22.07.1984
რაველ მორისონი 02.02.1993
დენი უაიტჰედი 23.10.1993

### თავდამსხმელები:

9. ენდი კეროლი 06.01.1989
11. მოდიბო მაიგა (მალი) 03.09.1987
12. რიკარდუ ვაზ ტე (პორ) 01.10.1986
მთ. მწვრთნელი: სემ ელერდაისი 19.10.1954

## ნორვიჩი

დაარსდა: 1902 წ.
სტადიონი: "კეროუ როუდი" — 27 250

### მეკარეები:

1. ჯონ რადი 24.10.1986
13. კარლო ნეში 13.09.1973
16. მარკ ბანი 16.11.1984

### მცველები:

2. რასელ მარტინი (შოტ) 04.01.1986
3. სტივენ უიტაკერი (შოტ) 16.06.1984
5. სებასტიან ბასონგი (კამ) 09.07.1986
6. მაიკლ ტერნერი 09.11.1983
18. ხავიერ გარიდო (ესპ) 15.03.1985
20. ლეონ ბარნეტი 30.11.1985
23. მარტინ ოლსონი (შვედ) 17.05.1988
24. რაიან ბენეტი 06.03.1990
26. დანიელ აიალა 07.11.1990

### ნახევარმცველები:

4. ბრედლი ჯონსონი 28.04.1987
7. რობერტ სნოდგრასი (შოტ) 07.09.1987
8. ჯონათან ჰაუსონი 21.05.1988
10. ლეროი ფერი (ჰოლ) 05.01.1990
12. ენტონი პილკინგტონი 06.06.1988
14. ვესლი ჰულაჰანი (ირლ) 20.05.1982
15. დევიდ ფოქსი 13.12.1983
17. ელიოტ ბენეტი 18.12.1988
21. ჯეიკობ ბატერფილდი 10.06.1990
22. ნათან რეიმონდი 06.03.1994
27. ალექსანდერ ტეტი (ნორვ) 04.04.1986

### თავდამსხმელები:

9. რიკი ვან ვოლფსვინკელი (ჰოლ) 27.01.1989
19. ლუსიანო ბეკიო (არგ) 28.12.1983
28. გარი ჰუპერი 26.01.1988
მთ. მწვრთ.: კრის ჰიუტონი (ირლ) 11.12.1958

## ფულჰემი

დაარსდა: 1879 წ.
სტადიონი: "ქრევენ კოტეჯი" — 25 700

### მეკარეები:

1. მაარტენ სტეკელენბურგი (ჰოლ) 22.09.1982
13. დევიდ სტოკდეილი 20.09.1985
38. ნილ ეტერიჯი (ფილიპ) 07.02.1990

### მცველები:

3. იონ არნე რიისე (ნორ) 24.09.1980
4. ფილიპ სენდეროსი (შვეიც) 14.02.1985
5. ბრედ ჰანგელანდი (ნორვ) 20.06.1981
17. მეტიუ ბრიგსი 19.03.1991
18. აარონ ჰიუზი (ჩრ. ირლ) 08.11.1979
25. სტანისლავ მანოლევი (ბულ) 16.12.1985
27. საშა რიტერი (გერ) 23.03.1983
35. ფერნანდო ამორებიეტა 29.03.1985
40. ალექს სმიტი 31.10.1991

### ნახევარმცველები:

7. სტივ სიდუელი 14.12.1982
8. პაიტიმ კასამი (შვეიც) 02.06.1992
14. გეორგიოს კარაგუნისი (საბ) 06.03.1977
15. კირან რიჩარდსონი 21.10.1984
16. დემიენ დაფი (ირლ) 02.03.1979
19. ადელ ტაარაბტი 24.05.1989
21. კარიმ ფრაი (თურ) 19.11.1993
23. დერეკ ბოატენგი 02.05.1983
24. აშკან დეჟაგა (ირ) 05.07.1986
31. ალექს კაჩანიკლიჩი (შვედ) 13.08.1991
ადელ ტაარაბტი (მარ) 24.05.1989

### თავდამსხმელები:

9. დიმიტარ ბერბატოვი (ბულ) 30.01.1981
11. ბრაიან რუისი (კოსტ) 18.08.1985
20. უგო როდალიეგა (კოლ) 25.07.1985
მარსელ ტროტა (იტ) 29.09.1992
მთავარი მწვრ: მარტინ იოლი (ჰოლ) 16.01.1956

## სტოკ სიტი

დაარსდა: 1863 წ. სტადიონი: "ბრიტანია სტედიუმი" — 27 740

### მეკარეები:

1. ასმირ ბეგოვიჩი (ბოს) 20.06.1987
29. ტომას სორენსენი (დან) 12.06.1976
ჯეკ ბატლენდი 10.03.1993

### მცველები:

2. ჯეფ კემერონი 11.07.1985
3. ერიკ პიტერსი (ჰოლ) 07.08.1988
4. რობერტ ჰუთი (გერ) 18.08.1984
5. მარკ მუნიესა (ესპ) 27.03.1992
12. მარკ უილსონი (ირლ) 17.08.1987
17. რაიან შოუკროსი 04.10.1987
28. ენდი უილკინსონი 06.08.1984
30. რაიან შოტონი 30.09.1988
?. ალექს გრანტი (ავსტრ) 23.01.1994

### ნახევარმცველები:

6. გლენ უელანი (ირლ) 13.01.1984
7. ჯერმეინ პენანტი 15.01.1983
8. ვილსონ პალასიოსი (ჰონ) 29.07.1984
11. ბრეკ ში (აშშ) 28.02.1990
13. მორის ედუ (აშშ) 18.04.1986
14. ჯეიმი ნესი (შოტ) 02.03.1991
15. სტივენ ნზონზი (საფ) 15.12.1988
16. ჩარლი ადამი (შოტ) 10.12.1985
21. მაიკლ კაიტლი 24.01.1986
26. მეთიუ ეთერინგტონი 14.08.1981

### თავდამსხმელები:

9. კენუაინ ჯონსი (ტრინ) 05.10.1984
19. ჯონათან უოლტერსი (ირლ) 20.09.1983
25. პიტერ კრაუჩი 30.01.1981
33. კემერონ ჯერომი 14.10.1986
მთავარი მწვრ.: მარკ ჰიუზი (უელ) 01.11.1963

## საუთჰემპტონი

დაარსდა: 1885 წ. სტადიონი: "სენტ მერი" — 32 689

### მეკარეები:

1. კელვინ დევისი 29.09.1976
12. პაულო გასანიგა (არგ) 02.01.1992
31. არტურ ბორუცი (პოლ) 20.02.1980

### მცველები:

3. მაია იოშიდა (იაპ) 24.08.1988
5. დეიან ლოვრენი (ხორ) 05.07.1989
6. ჟოზე ფონტე (პორ) 22.12.1983
13. დენიელ ფოქსი (შოტ) 29.05.1986
23. ლუკ შოუ 12.07.1995
26. იოს ჰოიველდი (ჰოლ) 22.04.1983
26. ჯეკ სტივენსი 27.01.1994
აარონ მარტინი 29.09.1989

### ნახევარმცველები:

4. მორგან შნაიდერლინი (საფ) 08.11.1989
8. სტივენ დევისი (ჩრ. ირლ) 01.01.1985
10. გასტონ რამირესი (ურუ) 02.12.1990
12. ვიქტორ ვანიამა (კენ) 25.06.1991
16. ჯეიმს უორდ-პრაუსი 01.11.1994
18. ჯეკ კორკი 25.06.1989
20. ადამ ლალანა 10.05.1988
21. გილერმო დო პრადო (ბრა) 31.12.1981
27. რიჩარდ ჩაპლოუ 02.02.1987
33. სტივენ დე რიდერი (ბელ) 25.02.1987
42. ჯეისონ პანჩეონი 26.06.1986
დინ ჰემონდი 07.03.1983

### თავდამსხმელები:

7. რიკი ლამბერტი 16.02.1982
9. ჯეი როდრიგესი 29.07.1989
24. ემანუელ მაიუკა (ზამ) 21.11.1990
ლი ბერნარდი 18.07.1984
ჯონათან ფორტე (ბარბ) 25.07.1986
ტადანარი ლი (იაპ) 19.12.1985
ბილი შარპი 05.02.1986
მთ. მწვ: მაურისიო პოჩეტინო (არგ) 02.03.1972

## ასტონ ვილა

დაარსდა: 1874 წ.
სტადიონი: "ვილა პარკი" – 42788

### მეკარეები:

1. ბრედ გუზანი (აშშ) 09.09.1984
13. იედ შტეერი 23.09.1992
35. შეი გივენი (ირლ) 20.04.1976

### მცველები:

2. ნათან ბეიკერი 23.04.1991
3. ჯო ბენეტი 28.03.1990
4. რონ ვლაარი 16.02.1985
5. ჟორეს ოკორე (დან) 11.08.1992
6. კირან კლარკი (ირლ) 26.09.1989
14. ანტონიო ლუნა (ესპ) 17.03.1991
34. მეტიუ ლოუტონი 09.06.1989
37. ენდა სტივენსი (ირლ) 09.07.1990
41. ალან ჰატონი (შოტ) 30.11.1984

### ნახევარმცველები:

7. ლეანდრო ბაკუნა 28.08.1991
8. კარიმ ელ-აჰმადი (მარ) 27.01.1985
12. მარკ ოლბრაიტონი 18.11.1989
16. ფაბიან დელფი 21.11.1989
15. ეშლი ვესტვუდი 01.04.1990
17. კრის ჰერდი (ავსტრ) 04.04.1989
18. იაკუბა სილა (საფ) 29.11.1990
22. გარი გარდნერი 29.06.1992
24. ალექსანდარ ტონევი (ბულგ) 03.02.1990
31. კრის ჰერდი (ავსტრ) 04.04.1989
36. შარლ ნზოგბია (საფ) 28.05.1986
40. სტივენ აირლანდი (ირლ) 22.08.1986
42. ბარი ბენანი (შოტ) 01.12.1989

### თავდამსხმელები:

9. ნიკლას ჰელენიუსი (დან) 08.05.1991
10. ანდრეას ვაიმანი (ავს) 05.08.1991
11. გაბრიელ აგბონლაჰორი 13.10.1986
20. კრისტიან ბენტეკე (ბელ) 03.12.1990
21. ჯორდან ბაუერი 02.07.1991
26. ანდრეას ვაიმანი (ავსტ) 05.08.1991
36. გრემ ბურკი (ირლ) 21.09.1993
38. ნათან დელფუნესო 02.02.1991
39. დარენ ბენტი 06.02.1984
მთავარი მწ: პოლ ლამბერტი (შოტ) 07.08.1969

## ნიუკასლი

დაარსდა: 1892 წ.
სტადიონი: "სენტ ჯეიმს პარკი" — 52 404

### მეკარეები:

1. ტიმ კრული (ჰოლ) 03.04.1988
21. რობერტ ელიოტი 30.04.1986
42. ჯეკ ელვაიკი 17.06.1993

### მცველები:

2. ფაბრისიო კოლოჩინი (არგ) 22.01.1982
3. დავიდე სანტონი (იტა) 02.01.1991
6. მაიკ უილიამსონი 08.11.1983
13. მაპუ იანგა-მბივა (საფ) 15.05.1989
16. რაიან ტეილორი 19.08.1984
19. მასადიო აიდარა (საფ) 02.12.1992
26. მატიო დებუში (საფ) 28.07.1985
27. სტივენ ტეილორი 23.01.1986
33. კერტის გუდი (ავსტრ) 23.03.1993

### ნახევარმცველები:

4. იოან კაბაი (საფ) 14.01.1986
7. მუსა სისოკო (საფ) 16.08.1989
8. ვურნონ ანიტა (ჰოლ) 04.04.1989
10. ატემ ბენ არფა (საფ) 07.03.1987
17. რომენ ამალფიტანო (საფ) 27.08.1989
18. ხონას გუტიერესი (არგ) 05.07.1983
20. გაელ ბიგირიმანა (ბურ) 22.10.1993
22. სილვენ მარვო (საფ) 15.04.1986
24. შეიკ ტიოტე (კოტ) 21.06.1986
25. გაბრიელ ობერტანი (საფ) 26.02.1989
31. შეინ ფერგიუსონი (ჩრ. ირლ) 12.07.1991
38. ბრადენ ინმანი (შოტ) 10.12.1991

### თავდამსხმელები:

9. პაპის სისე (სენ) 03.06.1985
11. იოან გუფრანი (საფ) 25.05.1986
23. შოლა ამეობი (ნიგ) 12.10.1981
28. სემი ამეობი 01.05.1992
29. ჰარის ვუკჩიჩი (სლოვ) 21.08.1992
ლოიკ რემი (საფ) 02.01.1987
მთ. მწ.: ალან პარდიუ 18.07.1961

## სანდერლენდი

დაარსდა: 1879 წ.
სტადიონი: "სტედიუმ ოფ ლაითი" — 49 000

### მეკარეები:

20. კირან ვესტვუდი (ირლ) 23.10.1984
25. ვიტო მანონე (იტ) 02.03.1988

### მცველები:

2. ფილ ბერდსლი (შოტ) 28.06.1985
5. ვეს ბრაუნი 13.10.1979
16. ჯონ ოში (ირლ) 30.04.1981
24. კარლოს კუელიარი (ესპ) 23.08.1981
29. ვალენტინე როზერში (საფ) 09.06.1987
ონდრეი ჩელუსტკა (ჩეხ) 18.06.1989
მოდიბო დიაკიტე (საფ) 02.03.1987

### ნახევარმცველები:

6. ლი კატერმოული 21.03.1988
7. სებასტიან ლარსონი (შვედ) 06.06.1985
8. კრეიგ გარდნერი 25.11.1986
14. ჯეკ კოლბეკი 24.10.1989
15. დევიდ ვონი (უელ) 18.02.1983
21. ადამ ჯონსონი 14.07.1987
22. ელ ჰაჯი ბა (საფ) 05.03.1993
28. სტეფან სესინიონი (ბენინი) 01.06.1984
33. ემანუელე ჯაკერინი 05.05.1985
ადილსონ კაბრალი (შვეიც) 22.10.1988

### თავდამსხმელები:

10. კონორ უიკემი 31.03.1993
17. ჟოზი ალტიდორი (აშშ) 06.11.1989
30. მიკაელ ლანდრონი 11.10.1994
19. დევიდ მოზერგ-კარლსონი (შვედ) 20.03.1994
26. სტივენ ფლეტჩერი (შოტ) 26.03.1987
36. სკოტ ჰარისონი 03.09.1993
დანკან უოტმორი 08.03.1994
მთავარი მწვ.: პაოლო დი კანიო (იტ) 09.07.1968

## კარდიფ სიტი

დაარსდა: 1899 წ.
სტადიონი: "კარდიფ სიტი სტედიუმი" — 26 828

### მეკარეები:

1. დევიდ მარშალი (შოტ) 05.03.1985
32. ჯო ლუისი 06.10.1987

### მცველები:

2. კევინ მაკნაუტონი (შოტ) 28.08.1982
3. ენდრიუ ტეილორი 01.08.1986
5. მარკ ჰადსონი 30.03.1982
6. ბენ ტერნერი 21.08.1988
12. მეტიუ კონოლი 24.09.1987
16. კრეიგ ნუნი 17.11.1987
35. ადედეჯი ოშილაჯა 16.07.1993
ჯონ ბრეიფორდი 29.12.1987
სტივენ კოლკერი 29.12.1991

### ნახევარმცველები:

4. ფილიპ კისი (სლოვ) 13.10.1990
7. პიტერ უიტინგჰემი 08.09.1984
8. დონ კოუი (შოტ) 15.02.1983
11. კრეიგ კონვეი (შოტ) 02.05.1985
13. ბო კუნ-კიმი (ს. კორ) 06.10.1989
17. არონ გუნარსონი (ისლ) 22.04.1989
18. ჯორდონ მუტჩი 02.12.1991
19. კადემ ჰარისი 08.06.1993
21. ჯო როლსი 13.10.1993
24. საიმონ ლაპინი (შოტ) 25.01.1983
38. ტომი ოზალივანი 18.01.1995
გარი მედელი (ჩილე) 03.08.1987

### თავდამსხმელები:

9. ანდრეას კორნელიუსი (დან) 16.03.1993
14. ტომი სმიტი 22.05.1980
15. რუდი გესტედე (ბენინი) 10.10.1988
20. ჯო მეისონი (ირლ) 13.05.1991
23. ნიკი მეინარდი 11.12.1986
27. ფრეიზერ კემპბელი 13.09.1987
39. კრეიგ ბელამი (უელ) 13.07.1979
მთავარი მწვ: მალკი მაკაი (შოტ) 19.02.1972

## კრისტალ პალასი

დაარსდა: 1905 წ.
სტადიონი: "სელჰარსტ პარკი" — 26 309

### მეკარეები:

1. ხულიან სპერონი (არგ) 18.05.1979
34. ლუის პრაისი 19.07.1984
40. როს ფიტცსიმონსი 28.05.1994

### მცველები:

2. ჯოელ ვორდი 29.10.1989
4. ჯონათან პარი (ნორ) 21.10.1988
5. პედი მაკარტი (ირლ) 31.05.1983
21. დინ მოქსი 14.01.1986
27. დემიენ დელენი (ირლ) 20.07.1981
19. დენიელ გებიდონი (უელ) 08.08.1979
28. პიტერ რემეიჯი 22.11.1983
36. ალექს ვინტერი 16.09.1993

### ნახევარმცველები:

6. ხოსე კამპანია (ესპ) 31.05.1993
7. იანიკ ბოლასი (კონგო) 24.05.1989
8. კაგიშო დიკგაჩოი (ს. აფრ) 24.11.1984
10. ოუენ გარვანი (ირლ) 29.01.1988
12. სტიუარტ ოკიფი 04.03.1991
14. ჯერომ ტომასი 23.03.1983
15. მაილ ჟედინაკი (ავსტ) 03.08.1984
20. ჯონათან უილიამსი (უელ) 09.10.1993
24. ელიოტ გრანდინი (საფ) 17.10.1987
25. დარსი ბლეიკი 13.12.1988
35. კაილ დე სილვა 29.11.1993

### თავდამსხმელები:

9. კევინ ფილიპსი 25.07.1973
11. სტივენ დობი (შოტ) 05.12.1982
16. დუაიტ გეილი 20.10.1990
17. გლენ მარი 25.09.1983
18. აარონ უილბრეჰემი 21.10.1979
29. მარუან შამახი (მარ) 10.01.1984
32. კევსი აპია 12.08.1990
მთავარი მწვრთნელი: იან ჰოლოვეი 12.03.1963

## ჰალ სიტი

დაარსდა: 1904 წ.
სტადიონი: "ქეი სი სტედიუმი" — 25 586

### მეკარეები:

1. ელდინ იაკუპოვიჩი (შვეიც) 02.10.19840
35. ჯო კრეკნელი 05.06.1994
სტივ ჰარპერი 14.03.1975
ალან მაკგრეგორი (შოტ) 31.01.1982

### მცველები:

2. ლაიამ როსენიორი 09.07.1984
5. ჯეიმს ჩესტერი 23.01.1989
15. პოლ მაკშეინი 06.01.1986
19. ჯო დაჯეონი (ჩ. ირლ) 26.11.1990
23. აბდულაი ფაიე (სენ) 26.02.1978
27. აჰმედ ელ-მოჰამადი (ეგვ) 09.09.1987
28. ალექს ბრუსი (ირლ) 28.09.1984
32. კონორ ტაუნსენდი 04.03.1993
კერტის დევისი 15.03.1985
მეინორ ფიგეროა (ჰონდ) 02.05.1983

### ნახევარმცველები:

7. კემერონ სტიუარტი 08.04.1991
10. რობერტო კორენი (სლოვ) 20.09.1980
29. სტივენ ქუინი (ირლ) 01.04.1986
30. რობი ბრეიდი (ირლ) 14.01.1992
31. დევიდ მეილერი (ირლ) 29.05.1989
37. ჯორჯ ბოიდი (შოტ) 02.10.1985

### თავდამსხმელები:

9. აარონ მაკლინი 25.05.1983
12. მეტი ფრაიტი 05.03.1986
24. სონი ალუკო (ნიგ) 19.02.1989
33. ნიკ პროშვიტცი (გერ) 28.11.1986
დენი გრემი 12.08.1985
იანიკ საგბო (კ. დივ) 12.07.1988
მთავარი მწვრთნელი: სტივ ბრუსი 31.12.1960

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. მარიო გომესი


მარიო გომესს იტალიაში თამაში ბავშვობიდან სურდა

# მარიო გომესის არჩევანი

## მედლებზე უფრო მნიშვნელოვანი...

ლეგენდარული **დინო ძოფის** თქმით, ამ ზაფხულის იტალიური ტრანსფერებიდან ყველაზე გამოსარჩევი **მარიო გომესის** „ფიორენტინაში" გადაბარგებაა. მართალია, „იუვენტუსმა" **კარლო ტევესი** და **ფერნანდო ლორენტე** დაიმატა, „ნაპოლიმ" კი **გონსალო იგუაინი**, მაგრამ ძოფის მსგავსად, ბევრი უპირატესობას სწორედ გომესს ანიჭებს. შესაძლოა იმიტომ, რომ მარიოს ჩავარდნა პრაქტიკულად არ ჰქონია და სტაბილურად გაჰქონდა ყველგან და ყოველთვის, როცა მოედანზე გასვლის საშუალება ეძლეოდა. მოკლედ, გომესი იტალიაში გადასვლისთანავე მოექცა ყურადღების ცენტრში და შესაბამისად, ჟურნალისტებთან ურთიერთობაც ხშირად უწევს. 28 წლის თავდამსხმელი „კორიერე დელო სპორტს" საინტერესო თემებზე ესაუბრა...

### ფლორენციული არჩევანი

ბევრს გაუკვირდა, როდესაც ევროპის უძლიერესი გუნდი დავტოვე და ფლორენციაში გადმოვბარგდი, თუმცა მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. მიუნხენელები კონტრაქტის სამი წლით გახანგრძლივებას მთავაზობდნენ, თუმცა სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის გარანტიები არ მქონდა. შემეძლო ამ სამ სეზონში სამი ვერცხლის სინი, სხვადასხვა თასი და თუნდაც ჩემპიონთა ლიგა მომეგო, მაგრამ ამ ყველაფერში მეორეხარისხოვანი წვლილი შემეტანა. გადავწყვიტე მიმეღო ახალი გამოწვევა, გავიზარდო როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება. ვეზიარო ახალ კულტურას, ვისწავლო ახალი ენა, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ შესაძლოა უფრო გამომადგეს, ვიდრე მედლები. ამასთან, იტალიაში თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ბედნიერი ვარ, რომ სურვილი ამიხდა.

### განვლილი გზა

მადლობელი ვარ იმის, რაც ცხოვრებამ მარგუნა და ვერც განვლილი კარიერით ვიქნები უკმაყოფილო. არაერთ დიდ ტურნირში გავიმარჯვე, გასულ სეზონში კი ყველაფერი მოვიგე. ვარ გერმანიის ეროვნული ნაკრების კანდიდატი და მიზნად მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა მაქვს დასახული. ეს ყველაფერი სიამაყის გრძნობას მმატებს, მაგრამ ამასთან, მგონია, რომ მეტი შემიძლია. სტატისტიკას რომ გადავხედოთ, თანამედროვე ფორვარდებისგან პრაქტიკულად არაფრით გამოვირჩევი, თუმცა ამას ცოტა თუ აფასებს. ბევრი გაცილებით უფრო ცნობილი და დაფასებული თავდამსხმელი შემიძლია ჩამოვთვალო, რომელიც ჩემზე ორჯერ უფრო ნაკლებ გოლს იტანს. რეკლამირებული ფეხბურთელების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ხშირად მიკვირს თუ როგორ ახერხებენ ისინი მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნას.

პირადად მე, შესაძლებლობების დამტკიცებას ყოველთვის მოედანზე ვცდილობ და ეს გამომდის კიდეც. მიუნხენის „ბაიერნში" 115 თამაშიდან 75 გოლი გავიტანე და მიუხედავად ამისა, სათადარიგოთა სკამისთვის გამიმეტეს. ნაწყენი არავიზე ვარ, უბრალოდ, ლოგიკას ვერ ვხედავ... როგორც ჩანს, 115 მატჩიდან 200 გოლი უნდა გამეტანა. „ბაიერნს" წარმატებებს ვუსურვებ, მე კი „ფიორენტინაში" შევეცდები შესაძლებლობების რეალიზებას.

### ფიორენტინა

ფლორენციელი გულშემატკივრები მონატრებულნი არიან დიდ გამარჯვებებს და როდესაც ამაზე ვფიქრობ, მოტივაცია მიათმაგდება. ერთად უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ „ვიოლა" ევროპული ფეხბურთის გრანდი გახდეს - დიახ, კლუბის მესვეურთა გეგმა სწორედ ასეთია და ბედნიერი ვარ, რომ მეც ამ გეგმის ნაწილი ვარ.

იტალიის ჩემპიონატი განვითარებისთვის იდეალური ადგილია, რადგან სხვა ტოპ ჩემპიონატებისგან განსხვავებით, აქ მაღალი ადგილებისთვის ბევრი გუნდი იბრძვის. მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას ერთბაშად შვიდ-რვა გუნდს უწინასწარმეტყველებენ, ასეთ კონკურენციაში კი რთულია არ გაიზარდო და არ გაძლიერდე. ერთი სული მაქვს როდის შევხვდებით „იუვენტუსს", „ინტერს", „მილანს", „ნაპოლის", „რომას", „ლაციოს" და სხვა ძლიერ გუნდებს, რომლებიც არაფრის დათმობას არ აპირებენ.

გვჯერა ჩვენი შესაძლებლობების და ვფიქრობთ, რომ თუნდაც ამ კონკურენციაში სამეულში ადგილის მოპოვება ხელგვეწიფება. სკუდეტო? - ჯუზეპე როსის კომენტარს გავეცანი და ვიცი, რომ ის მხოლოდ სკუდეტოს უმიზნებს, მაგრამ მე ასე კატეგორიული არ ვიქნებოდი... წინ რთული სეზონია, ჩვენი მიზანი კი თითოეულ შეხვედრაში გამარჯვება უნდა იყოს.

პოზიცია

# ძველი თუ ახალი ნაპოლი?

„ნაპოლი" იტალიური სპორტული პრესის ყურადღების ცენტრშია მოქცეული - კლუბის მესვეურები ტრანსფერს ტრანსფერზე ჩარხავენ და გუნდიც ძლიერდება. ამ ზაფხულს, სამხრეთელებმა უკვე გადაიბირეს **პეპე რეინა, რაფაელი, რაულ ალბიოლი, დრის მერტენსი, ხოსე კალეხონი** და **გონსალო იგუაინი**, თუმცა, როგორც პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** გვპირდება, ეს ჯერ კიდევ არაა დასასრული. მოკლედ, ნეაპოლში საფეხბურთო ბუმია, მაგრამ ექსპერტთა ნაწილს ჯერ კიდევ მიაჩნია, რომ **ედინსონ კავანის** ღირსეული შემცვლელი ნეაპოლში არ გამოჩენილა და თუ ცოტა წარსულშიც გადავიჭრებით, **ლავეცი**-კავანის ტანდემი სულ სხვა დონის იყო და იმ პერიოდთან შედარებით, „ნაპოლის" დღევანდელი შეტევა სუსტად გამოიყურება. „გაძეტა დელო სპორტმა" საინტერესო ხერხს მიმართა და ამ თემაზე სწორედ ედინსონ კავანის და ესეკილ ლავეცის დაეკითხა...

### ესეკილ ლავეცი

ძალიან გამახარა იმ ფაქტმა, რომ „ნაპოლიში" გონსალო იგუაინი გადავიდა. რამდენიმე წუთი ველაპარაკე მას და საჭირო რჩევები მივეცი. მოტივირებულია და ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელოდება. გონსალო არგენტინელია, ჩემი ახლო მეგობარია და მინდა მას დიდი წარმატება ვუსურვო. იგივე შემიძლია ვთქვა კარლოს ტევესზეც, მაგრამ რადგან გონსალო „ნაპოლიში" ითამაშებს, მას უფრო მეტად ვუგულშემატკივრებ. მჯერა, რომ იგუაინი უფრო კარგად ითამაშებს, ვიდრე მე და მას უფრო მეტად შეიყვარებენ ტიფოზები, ვიდრე მე.

ნეაპოლი ფანტასტიკური ქალაქია, ძალიან ჰგავს არგენტინას და გონსალოს ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები ნამდვილად არ შეექმნება. რაც შეეხება დღევანდელი და ორი წლის წინანდელი „ნაპოლის" შედარებას, ვფიქრობ, რომ გუნდი უფრო ძლიერდება და წარმატების მიღწევის მეტი შანსი აქვს. მართალია, „ნაპოლი" ედინსონ კავანიმ დატოვა, მაგრამ იმავე იგუაინს მისი ღირსეული შეცვლა შეუძლია. მე, უპირატესობას ამ „ნაპოლის" მივანიჭებდი.

### ედინსონ კავანი

ამ თემაზე უფრო დეტალურად, ალბათ, სეზონის ბოლოს უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ ისე, „ნაპოლი" უფრო ძლიერდება, ვიდრე სუსტდება. ჩემი და ლავეცის ტანდემი ურიგო ნამდვილად არ იყო, მაგრამ ექსტრა-კლასის შემტევები არც რაფაელ ბენიტესს აკლია. ამასთან, მას ვარირების მეტი საშუალება აქვს, რადგან სხვადასხვა ყაიდის ბევრი შემტევი ჰყავს. მაგალითად, ლორენცო ინსინიეს, გორან პანდევს და ხოსე კალეხონს ფლანგზეც შეუძლიათ თამაში და ცენტრშიც, გონსალო იგუაინი კი სიღრმიდანაც კარგად უტევს და არც იერიშების დაგვირგვინება ეშლება. დარწმუნებული ვარ, „ნაპოლი" სკუდეტოსთვის იბრძოლებს და შესაბამისად, ამ გუნდის დასუსტებაზე ლაპარაკი აბსურდია. პირიქით, მომდევნო სეზონში ნეაპოლელებს არნახულად ძლიერი გუნდი ეყოლებათ.


ძველი ნეაპოლელები

კომენტარი


ფერნანდო ლორენტე ახალ ტაქტიკას ჯერ ვერ შეეგუა

# ლორენტე: დრო მჭირდება

ტურინის „იუვენტუსის" გულშემატკივრები **ფერნანდო ლორენტეზე** დიდ იმედებს ამყარებენ და ბუნებრივია, რომ 28 წლის ესპანელი ფორვარდი ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამხანაგურ შეხვედრებში ფერნანდომ თავი ვერაფრით გამოიჩინა და მთლიანობაში, მეტად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. ამის მიზეზებზე თავად ლორენტემ ისაუბრა:

„ამხანაგურ შეხვედრებში შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოვავლინე, თუმცა ამას აქვს თავისი მიზეზები. ტურინში 3-5-2 სქემით ვთამაშობთ, სადაც ერთ-ერთი თავდამსხმელის ფუნქცია მაკისრია... მწვრთნელი ისეთ დავალებებს მაძლევს, რომელიც აქამდე უცხო იყო ჩემთვის და შესაბამისად, ადაპტაციისთვის გარკვეული დროა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ახალ ტაქტიკას ალლოს მალე ავუღებ და ისეთ ლორენტეს იხილავთ, როგორსაც ელოდებით. ჩემი მიზანი სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრება და „იუვენტუსის" წარმატებებში წონადი წვლილის შეტანაა".

რომა

# ახალი კონტრაქტი ტოტის

არაერთხელ გაცნობეთ, რომ **ფრანჩესკო ტოტის** კარიერის დასრულება აქვს განზრახული და როგორც თავად აცხადებს, ეს სეზონი უკანასკნელი იქნება მისთვის. მიუხედავად კაპიტნის ასეთი განცხადებისა, კლუბის მესვეურები დანებებას არ აპირებენ და ფრანჩესკოს ახალ, 2-წლიან კონტრაქტს სთავაზობენ. რაც მთავარია, ტოტი მოლაპარაკების დაწყებას დათანხმდა, რამაც გუნდის გულშემატკივართა აღფრთოვანება გამოიწვია - ამ თემაზე კომენტარი კლუბის გენერალურმა დირექტორმა **მაურო ბალდისონიმ** გააკეთა:

„ფრანჩესკო 37 წლისაა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის კიდევ რამდენიმე სეზონი ითამაშებს უმაღლეს დონეზე. ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ მას 2-წლიანი კონტრაქტი შევთავაზოთ და ამით გადავაფიქრებინოთ კარიერის დასრულება. სასიამოვნოა, რომ ფრანჩესკო მოლაპარაკებაში ჩაება და საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ შეთანხმებას მივაღწიოთ. გულშემატკივრებს ვპირდები, რომ კაპიტანთან კონტრაქტის გასახანგრძლივებლად ყველაფერს გავაკეთებ. მჯერა, მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება".


გადაიფიქრებს კარიერის დასრულებას ტოტი?

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

კვირა ციფრებში

# სარეკორდო დებიუტი და ჰეთთრიქები

**ევროპის ბევრ ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატები დაიწყო. დღევანდელ სტატისტიკურ მიმოხილვაში ვისაუბრებთ იმ ფეხბურთელებზე, რომლებმაც კონტინენტის სხვადასხვა წერტილში თავის გამოჩენა მოახერხეს...**

17 - წლის და 196 დღის ასაკში, **ზაქარია ბაკალი** გახდა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვინც ერედივიზიეს შეხვედრაში ჰეთთრიქი შეასრულა. „პსვ ეინდჰოვენის" ბელგიელმა გარემარბმა **რუუდ გეელსის** (17 წლის და 235 დღის) რეკორდი დაამხო, რომელიც 1966 წელს იყო დამყარებული. მაშინ, „ტელსტარის" ფეხბურთელმა „მაასტრიხტი" დაამწუხრა (3:1).

ბაკალიმ ჰოლანდიის ჩემპიონატში სულ მეორე მატჩი ჩაატარა, მაგრამ ბელგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ვილმოტსმა** ის ეროვნულ გუნდში უკვე გამოიძახა. საბოლოოდ, პსვ-მ „ნაიმეგენს" 5:0 მოუგო და რაც ნამდვილად გასაოცარია, ეინდჰოვენელთა შემადგენლობის საშუალო ასაკი 20 წელი და 216 დღე იყო!

7 - გოლი „უიგანთან" გამართულ ბოლო 6 შეხვედრაში - **რობინ ვან პერსიმ** „ატლეტიკს" კვირასაც გაუტანა და მისი დუბლის წყალობით „მანჩესტერ იუნაიტედმა" ინგლისის სუპერთასი მოიგო. ვან პერსი გახდა პირველი ჰოლანდიელი **რუუდ ვან ნისტელროის** შემდეგ, რომელმაც „ქომუნითი შილდზე" გოლი გაიტანა. ვან ნისტელროიმ თავის გამოჩენა 12 წლის წინ მოახერხა.

ვან პერსის ერთი ბურთი დააკლდა ჰეთთრიქამდე. უკანასკნელი მოთამაშე, ვინც სუპერთასზე სამი გოლი გაიტანა, **ერიკ კანტონა** გახლავთ - ფრანგმა, რომელიც მაშინ „ლიდსის" ღირსებას იცავდა, „ლივერპული" დაჩაგრა და საკუთარ გუნდს დასამახსოვრებელი გამარჯვება მოუტანა - 4:3

3 - ჯერ შეარხია „აუგსბურგის" კარის ბადე **პიერ-ემერიკ ობამეიანგმა** და ბუნდესლიგაში დებიუტი ჰეთთრიქით აღნიშნა. „სენტ ეტიენის" ყოფილი ფეხბურთელი მხოლოდ მეექვსე მოთამაშეა, ვინც გერმანიის ჩემპიონატის პირველივე შეხვედრაში სამი გოლი შეაგდო. ბოლოს ასეთი რამ 5 წლის წინ **მარტინ ფენინმა** შეძლო, ვინც 2008 წლის თებერვალში ფრანკფურტის „აინტრახტში" გამოჩნდა.

ბევრი გოლი გაიტანა ბერლინის „ჰერტამაც" - დედაქალაქელებმა ფრანკფურტის „აინტრახტს" 6:1 მოუგეს. 6 გოლი „ჰერტამ" ბოლოს 2004 წელს, მიონხენგლადბახის „ბორუსიას" გაუტანა და მეტოქეს 6:0 მოუგო. საბოლოო ჯამში, ბუნდესლიგის I ტურში 37 ბურთი გავიდა.


პიერ-ემერიკ ობამეიანგი

2 - წუთი იყო გასული „გენგამთან" მატჩის დაწყებიდან, როდესაც **ანდრე-პიერ ჟინიაკმა** „მარსელი" დააწინაურა. მიუხედავად ამისა, ყურადღების ცენტრში მაინც სხვა ფეხბურთელი მოხვდა. **დიმიტრი პაიემ** დუბლი შეასრულა და **ლორან ბლანის** შემდეგ, გახდა „მარსელის" პირველი დებიუტანტი, ვინც პირველ ოფიციალურ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა. პსჟ-ს თავკაცს „ოლიმპიკში" დებიუტი 1997 წელს ჰქონდა.

„მარსელმა" შეხვედრის პირველ ტაიმში მეტოქის კარი სამჯერ აილო, ასეთი რამ კი საფრანგეთის 9-გზის ჩემპიონს უკანასკნელად 5 წლის წინ ჰქონდა გაკეთებული.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## ბეილი: ტოტენჰემში აღარ ვითამაშებ

თბილისის „დინამოს" ფანებს შვებით შეუძლიათ ამოისუნთქონ, როგორც ინგლისური პრესა წერს, „ტოტენჰემის" უელსელ უნივერსალ **გარეთ ბეილს** სანაკრებო შეკრებაზე განუცხადებია, რომ ლონდონურ კლუბში აღარ დაბრუნდება, შესაბამისად ის არც „დინამოს" დაუპირისპირდება ევროპალიგის პლეი ოფში.

შეგახსენებთ, რომ ბეილის ყიდვა მადრიდის „რეალს" სურს და მასში 100-120 მილიონ ევროს იხდის, რაც ფეხბურთელის ტრანსფერში მსოფლიოს რეკორდია.

სხვათა შორის, ამას წინათ, **ფლორენტინო პერესმაც** თავის გარემოცვას განუცხადა, რომ ბეილის ტრანსფერზე მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს.

როგორც ჩანს, უელსელ სუპერვარსკვლავს თბილისში ვერ ვიხილავთ

## რონალდინიოს ოპერაცია

ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროს" ვარსკვლავმა **რონადლინიომ** კბილების კოსმეტიკური ოპერაცია გაიკეთა.

ფეხბურთელი, რომლის გარეგნობის დამახასიათებელი ნიშანი სწორედ წინ შესამჩნევად გამოწეული კბილები იყო, როგორც იქნა, დათანხმდა ოპერაციაზე.

ვეტერან ბრაზილიელს სპეციალური მოწყობილობები ჩაუდგეს, რომლის საშუალებით ზედა ყბაზე კბილები გაუსწორეს.

შეგახსენებთ, რომ რონალდინიო ინტერვიუებში ყოველთვის აცხადებდა, რომ წინ წამოწეული ზედა კბილები მისი სავიზიტო ბარათია და არასოდეს დათანხმდება ოპერაციაზე.

## არსენალის კრახი

მას მერე, რაც **ლუის სუარესმა** მოულოდნელად განაცხადა, რომ „ლივერპულში" რჩება და ახალ კონტრაქტსაც გააფორმებს, ლონდონის „არსენალის" მესვეურები ახალ სამიზნეებზე გადაერთვნენ.

**არსენ ვენგერმა** მორიგი მარცხი განიცადა სატრანსფერო ბაზარზე. ინგლისური პრესის ცნობით, ახლა ლონდონური კლუბი „მანჩესტერ სიტის" **ედინ ჯეკოსა** და „სუონსის" მიგელ მიჩუს შეძენაზე გადაერთვება. ინფორმაციის წყარო „დეილი მირორია".

შეგახსენებთ, რომ „არსენალმა" ვერ შეძლო ამ ზაფხულს ვერც **გონსალო იგუაინის** ყიდვა, ვერც **დავიდ ვილიასი** და ვერც **სტევან იოვეტიჩის**.

ამასობაში „არსენალმა" შესაძლოა, ვერც **ლუის გუსტავო** შეიძინოს, რადგან ბრაზილიელის დამატების სურვილი „ბარსელონამაც" გამოთქვა.

ლონდონის „არსენალის" სატრანსფერო პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა

## დე გუზმანი სიკვდილს გადაურჩა

სამშაბათს ჰოლანდიის ნაკრების ვარჯიშზე კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. საჰაერო ორთაბრძოლისას ერთმანეთს ჰაერში ორი ჰოლანდიელი ფეხბურთელი შეეჯახა - **ჯონათან დე გუზმანი** და **დირკ კუიტი**. ეპიზოდი განსაკუთრებულად ცუდად დე გუზმანისთვის დასრულდა, რომელმაც გონება დაკარგა. დე გუზმანი კლინიკაში გადაიყვანეს.

საავადმყოფოში დე გუზმანს მსუბუქი კონტუზია დაუდგინდა, რაც ნიშნავს, რომ „სუონსის" ფეხბურთელი 2 კვირას ვერ ითამაშებს.

## სიტის პეპე ისევ მოუნდა

როგორც ჩანს, მანუელ პელეგრინი ისევ ფიქრობს, რომ შეძლებს პორტუგალიელი **პეპეს** შეძენას. პირველი უშედეგო ცდის შემდეგ „მანჩესტერ სიტიმ" კიდევ ერთხელ მიმართა მადრიდის „რეალს".

ახლახან „სიტის" **მატიას ნასტასიჩი** დაემტვრა, რომელიც უახლოესი 6 კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს და მანჩესტერულ კლუბშიც მწვავედ დადგა მცველის საკითხი.

**მანუელ პელეგრინი** კარგად იცნობს პეპეს შესაძლებლობებს, რადგან 2009/10 წლების სეზონში „რეალში" წვრთნიდა მას.

ივლისში ინგლისელებს ესპანელებმა პეპეს სანაცვლოდ 30 მილიონ ევროზე უთხრეს უარი.

## დიეგო კოშტამ კონტრაქტი გააგრძელა

მადრიდის „ატლეტიკოს" ბრაზილიელმა ფორვარდმა **დიეგო კოშტამ** კლუბთან ხელშეკრულება 2018 წლამდე გააგრძელა.

24 წლის ტექნიკური ფორვარდი დარჩება მადრიდში, არადა, ბოლო დროს ბევრს საუბრობდნენ მის ტრანსფერზე „ლივერპულში".

სავარაუდოდ კოშტას დარჩენის მიზეზი ის არის, რომ **ლუის სუარესმა** გადაწყვიტა აღარ წავიდეს „ლივერპულიდან" „არსენალში".

კონტრაქტის ახალი პირობები არ ხმაურდება. გასულ სეზონში დიეგო კოშტამ 20 გოლი გაიტანა და ბრაზილიის ნაკრებში დებიუტიც ჰქონდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამხანაგურები და ერთიც ოფიციალური

# ირლანდიური ხაფანგი მაესტროსთვის

გუშინ საღამოს მხოლოდ ერთი ოფიციალური და რამდენიმე ათეული ამხანაგური მატჩები გაიმართა. სტატუსიდან გამომდინარე, მოდი, ჯერ პირველზე ვთქვათ ძალიან მოკლედ. რუსებმა 90 წუთის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოახერხეს მეტოქის მეკარის შეწუხება. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე **ფაბიო კაპელომ** გულწრფელად აღიარა, რომ მისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა **მაიკლ ონილის** მიერ მატჩისთვის შერჩეული ტაქტიკა. "მაესტროს" დასკვნა ასეთია: წაგებაში მთელი გუნდი თანაბრად არის დამნაშავე. რაც შეეხება საკონტროლო მატჩებს: მორიგი უსახური თამაში ჩაატარა გერმანიამ. როგორც ჩანს, **იოახიმ ლიოვს** იდეების კრიზისი აქვს. მარტო ანგარიშის მიხედვით ნუ იმსჯელებთ გერმანელთა უკანა ხაზზე. ის ბევრად უფრო ცუდი იყო, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

წუხანდელი მოვლენებიდან არ უნდა გამოგვრჩეს **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** პოკერი და ამერიკელი **ჟოზი ალტიდორის** ჰეთთრიკი.

## მუნდიალი 2014

**ჩრდ. ირლანდია-რუსეთი 1:0**

**გოლი:** 1:0 პატერსონი (43)

**ჩრდ. ირლანდია** (4-2-3-1): კეროლი – ჰიუზი, მაკაული, კეტკარტი, ლაფერტი – ნორვუდი, ვორდი – ფერგიუსონი, ს. დევისი, მაკგინი (83. ევანსი) – პატერსონი (86. გრიგი)

**რუსეთი** (4-3-3): აკინფეევი – ანიუკოვი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, კომბაროვი – შიროკოვი, დენისოვი, ფაიზულინი – ბისტროვი, კერჟაკოვი (46. ძიუბა), ძაგოევი (46. ჩერიშევი – 52. სამედოვი)

**გაფრთხილება:** ლაფერტი, პატერსონი - ვ. ბერეზუცკი

**კარში დარტყმა:** 12-11 (4-0) **კუთხური:** 2-5 **თამაშგარე:** 6-0 **ჯარიმა:** 9-7 **ბურთის ფლობა:** 38%-62%

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 12-6 | 14 |
| 2. რუსეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-2 | 12 |
| 3. ისრაელი | 6 | 3 | 2 | 1 | 15-8 | 11 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| 5. აზერბაიჯანი | 7 | 0 | 4 | 3 | 3-9 | 4 |
| 6. ლუქსემბურგი | 6 | 0 | 3 | 3 | 3-13 | 3 |

**მომდევნო ტური:**

**6 სექტემბერი**

რუსეთი–ლუქსემბურგი
ჩრდ. ირლანდია-პორტუგალია

**7 სექტემბერი**

ისრაელი-აზერბაიჯანი

## ამხანაგური მატჩები

**იაპონია-ურუგვაი 2:4**

**გოლები:** 0:1 ფორლანი (27), 0:2 ფორლანი (29), 0:3 სუარესი (53), 1:3 კაგავა (55), 1:4 ა. გონსალესი (58), 2:4 ჰონდა (72)

**ს. კორეა-პერუ 0:0**

**ბელარუსი-ჩერნოგორია 1:1**

**გოლები:** 1:0 კორნილენკო (16), 1:1 ვუჩინიჩი (62)

**ესტონეთი-ლატვია 1:1**

**გოლები:** 1:0 კრუგლოვი (68), 1:1 ზიუზინსი (74)

**ფინეთი-სლოვენია 2:0**

**გოლები:** 1:0 მოისანდერი (35), 2:0 ჰამალაინენი (83)

**ჩილე-ერაყი 6:0**

**გოლები:** 1:0 მენა (8), 2:0 ა. სანჩესი (22), 3:0 ა. სანჩესი (28), 4:0 ბოსეჟური (37), 5:0 ბოსეჟური (45), 6:0 ა. ენრიკესი (80)

**მოლდოვა-ანდორა 1:1**

**გოლები:** 0:1 სონეიე (16), 1:1 დედოვი (42)

**ლუქსემბურგი-ლიტვა 2:1**

**გოლები:** 0:1 მატულავიჩუსი (15), 1:1 იოახიმი (49), 2:1 ბენსი(80)

**აზერბაიჯანი-მალტა 3:0**

**გოლები:** 1:0 დადაშოვი (5), 2:0 ალიევი (62), 3:0 დადაშოვი (71)

**კოლუმბია-სერბეთი 1:0**

**გოლი:** 1:0 გუარინი (89)

**რუმინეთი-სლოვაკეთი 1:1**

**გოლები:** 1:0 სტანკუ (43), 1:1 სესტაკი (57)

**შვედეთი-ნორვეგია 4:2**

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (2), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (28), 2:1 აბდელაუი (38), 2:2 იოჰანსენი (43), 3:2 იბრაჰიმოვიჩი (57), 4:2 იბრაჰიმოვიჩი (75)

**თურქეთი-განა 2:2**

**გოლები:** 1:0 ილმაზი (7), 2:0 ბულუთი (28), 2:1 ასამოა (62), 2:2 ასამოა (76)

**უკრაინა-ისრაელი 2:0**

**გოლები:** 1:0 როტანი (29), 2:0 სელეზნიოვი (71)

**ლიხტენშტაინი-ხორვატია 2:3**

**გოლები:** 0:1 ედუარდო (21), 1:1 კრისტენი (31), 1:2 რებიჩი (67), 2:2 პოლვერინო (77), 2:3 ედუარდო (86)

**ს. აფრიკა-ნიგერია 0:2**

**გოლები:** 0:1 კალუ უჩე (49), 0:2 კალუ უჩე (68)

**ავსტრია-საბერძნეთი 0:2**

**გოლები:** 0:1 მიტროგლუ (40), 0:2 მიტროგლუ (67)

**ბოსნია-აშშ 3:4**

**გოლები:** 1:0 ჯეკო (8), 2:0 რაჰიმიჩი (30), 2:1 ჯონსონი (55), 2:2 ალტიდორი (59), 2:3 ალტიდორი (84), 2:4 ალტიდორი (90), 3:4 ჯეკო (90)

**უნგრეთი-ჩეხეთი 1:1**

**გოლები:** 0:1 კოზაკი (22), 1:1 ჯუჯაკი (57-პენ)

**ალბანეთი-სომხეთი 2:0**

**გოლები:** 1:0 რამა (21), 2:0 კაჩე (67)

**მაკედონია-ბულგარეთი 2:0**

**გოლები:** 1:0 იბრაიმი (82-პენ), 2:0 ტრაიკოვსკი (86)

**გერმანია-პარაგვაი 3:3**

**გოლები:** 0:1 ნუნიესი (10), 0:2 პიტონი (13), 1:2 გიუნდოგანი (18), 2:2 მიულერი (31), 2:3 სამუდიო (45), 3:3 ლ. ბენდერი (75)

**გერმანია** (4-2-3-1): ნოიერი – ლამი, ჰუმელსი, მერტეზაკერი (46. ბოატენგი), შმელცერი (82. მ. იანსენი) – გიუნდოგანი (27. ლ. ბენდერი), ხედირა – როისი (62. პოდოლსკი), იოზილი, მიულერი (81. შიურლე) – კლოზე (54. გომესი)

**იტალია-არგენტინა 1:2**

**გოლები:** 0:1 იგუაინი (20), 0:2 ბანეგა (49), 1:2 ინსინიე (76)

**იტალია** (4-3-2-1): ბუფონი (54. მარკეტი) – მაჯო (71. ჩერჩი), დე როსი, კიელინი, ანტონელი – მონტოლივო (46. ინსინიე), ვერატი, მარკიზიო (46. ფლორენცი) – კანდრევა (46. აკვილანი), ჯაკერინი (54. დიამანტი) - ოსვალდო

**არგენტინა** (4-3-3): ანდუხარი – კამპანიარო, ფ. ფერნანდესი, გარაი (71. კოლოჩინი), ბასანტა – დი მარია (81. რ. ალვარესი), მასკერანო (76. მ. როდრიგესი), ბილია – ლამელა (46. ბანეგა), იგუაინი (61. ლავეცი), პალასიო (88. ა. ფერნანდესი)

**პოლონეთი-დანია 3:2**

**გოლები:** 1:0 კლიხი (4), 1:1 ერიკსენი (18), 1:2 ბრაიტვაიტე (45), 2:2 სობოტა (59), 3:2 ზელინსკი (61)

**შვეიცარია-ბრაზილია 1:0**

**გოლი:** 1:0 დ. ალვეში (48-ს.კ-ში)

**ბრაზილია** (4-3-3): ჟეფერსონი – დ. ალვეში (69. ჟეანი), დანტე, ტ. სილვა, მარსელო (56. მაქსველი) – ლ. გუსტავო (56. ფერნანდო), პაულინიო, ოსკარი (59. ერნანესი) – ჰალკი (62. ლუკასი), ნეიმარი, ფრედი (56. ჟო)

**უელსი-ირლანდია 0:0**

**ბელგია-საფრანგეთი 0:0**

**ბელგია** (4-3-2-1): კურტუა – ალდერვეირელდი, კომპანი, ვან ბუიტენი (77. ლომბერტსი), პოკონიოლი (80. ვან დამი) – ვიტსელი, შადლი (71. მირალიაში), ფელაინი – აზარი (74. დ. მერტენსი), დე ბრუინი (85. დემბელე) – ლუკაკუ (60. ბენტეკე)

**საფრანგეთი** (4-2-3-1): ლორისი – კლიში, აბიდალი, კოშელნი, სანია – კონდოგბია (73. კაპუ), გულავოგი – პაიე (63. ნასრი), ვალბუენა (74. გრენიე), რიბერი – ბენზემა (74. ჟირუ)

**ინგლისი-შოტლანდია 3:2**

**გოლები:** 0:1 მორისონი (11), 1:1 უოლკოტი (29), 1:2 მილერი (49), 2:2 უელბეკი (53), 3:2 ლამბერტი (70)

**ინგლისი** (4-3-3): ჰარტი – უოლკერი, კეჰილი, იაგიელკა (84. ჯონსი), ბეინსი – უილშირი (46. ლამპარდი), ჯერარდი (62. ოქსლეიდ-ჩემბერლენი), კლევერლი (68. მილნერი) – უელბეკი, რუნი (68. ლამბერტი), უოლკოტი (75. ზაჰა)

**შოტლანდია** (4-4-1-1): მაკგრეგორი – ჰატონი, რ. მარტინი, ჰენლი, უაიტეკერი – მორისონი (82. როუდსი), ბრაუნი, სნოდგრასი (68. კონვეი), ფორესტი (67. მალგრიუ) – მელონი (86. ნეისმიტი) - მილერი (73. გრიფიტსი)

**პორტუგალია-ჰოლანდია 1:1**

**გოლები:** 0:1 სტროოტმანი (17), 1:1 რონალდო (87)

**პორტუგალია** (4-3-3): ბეტუ – კოენტრაუ, პეპე, ნეტო (82. ბ. ალვეში), ჟ. პერეირა – ველოზო, ამორიმი (74. ა. მარტინში), რ. მიკაელი (46. მაშადო) – დანი (64. პიცი), პოშტიგა (64. ნ. ოლივეირა), რონალდო

**ჰოლანდია** (4-2-3-1): ვორმი – ვერჰაეგი (47. ვან რაინი), ინდი, დე ვრაი, ბლინდი – ვაინალდუმი, სტროოტმანი – ლენსი (82. სხაკენი), ვან დერ ვაარტი (46. ვან გინკელი), რობენი – ვან პერსი (58. ჰუნტელაარი)

**ისლანდია-ფარერები 1:0**

**გოლი:** 1:0 ბიარნასონი (65)

**ეკვადორი-ესპანეთი 0:2**

**გოლები:** 0:1 ნეგრედო (25), 0:2 კასორლა (63)

ესპანეთი (4-4-2): კასილიასი (50. ვ. ვალდესი) – არბელოა, ს. რამოსი (70. ი. მარტინესი), ალბიოლი, ალბა – ხ. მარტინესი, კასორლა (78. კოკე), ინიესტა (46. ტ. ალკანტარა), დ. სილვა (46. ხ. ნავასი), – ტელიო, ნეგრედო (46. ლორენტე)

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს პირველობა ახალგაზრდებში

# გუნდს დადევნებული მედალოსანი

## ბოლო ვაგონს შემხტარმა ბოლქვაძემ სირცხვილისგან გვიხსნა

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე დღე შედარებით წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი „ბერძენ-რომაელებისთვის“. „შედარებით“ იმიტომ, რომ პირველი დღისგან განსხვავებით, მთლად უმედლოდ არ დარჩნენ - ერთი ვერცხლი მოიპოვეს, თუმცა ამ გუნდს, ვფიქრობთ, ბევრად მეტი შეუძლია. საინტერესოა, რომ ეს მედალი **შმაგი ბოლქვაძის** (66) დამსახურებაა, რომელიც **ფირუზ წულუკიძის** ნაცვლად ჩართეს ნაკრებში, ვისაც ზემდგომებმა ქვეყნის დატოვების ნება არ დართეს. უფრო სწორად, ბოლქვაძე გზაში დააწიეს გუნდს, რადგან ჩანაცვლების ამბავი გვიან გაირკვა, ნაკრების გაფრენის შემდეგ. ამ ექსტრემალურ სიტუაციაში, ბილეთისა თუ სხვა საჭირო საბუთების მოსაგვარებლად, ბევრი ირბინა მისმა პირადმა მწვრთნელმა **ვაჟა კრავეიშვილმა,** რომელმაც ამის გამო ბორჯომში ჭაბუკთა ნაკრების შეკრება მიატოვა და სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში. თურმე, როცა ეს გადარბენები უკან დარჩა, ბილეთიც აიღო და რეგისტრაციაც გაიარა, კიბეზე ამავალი სპორტსმენი მწვრთნელს შეჰპირებია - ამაგს მედლით გადაგიხდიო...

ბოლქვაძემ სიტყვა კი შეასრულა, მაგრამ საკითხავია, რა გახდა მთლიანად გუნდის ასეთი სუსტი გამოსვლის მიზეზი. გასაგებია, რომ მსოფლიოს პირველობა ევროპისაზე ბევრად ძლიერი ტურნირია, თუმცა კონტინენტის ჩემპიონატში **ზაზა სილაგაძის** ნაკრები დამაჯერებლად გამოვიდა - თითო ოქრო-ვერცხლი და 3 ბრინჯაო მოიპოვა, მეექვსე წევრმა კი მესამე ადგილისთვის პაექრობა დათმო;

ისიც გასაგებია, რომ გუნდს აკლდა გამოკვეთილი ლიდერი, ევროპის პირველობის ტრიუმფატორი **იაკობ ქაჯაია** (120), ვისაც წინ ვერ უდგება ვერავინ და ვერაფერი, მაგრამ ნაევროპალი გუნდისგან ასეთი შედეგი არ იყო მოსალოდნელი. უმედლობა ერთია და უფრო დასანანი ისაა, რომ უმეტესობა სანუგეშო წრეშიც ვერ გადავიდა, ასეთთა შორის კი ტიტულოვანი ფალავნებიც ბლომად იყვნენ. მართალია, გუშინ ბრინჯაოსთვის ჩვენმა კიდევ ერთმა ფალავანმა **ნიკა ცეცხლაძემაც** (55) იჭიდავა, მაგრამ წააგო, ისტორიას კი მედალოსნები წერენ, ანუ მეხუთე ადგილი ხვალ აღარავის გაახსენდება...

საერთოდ, ევროპის პირველობაზე ნაჭიდავებთაგან უმეტესობამ ეს ტურნირი ჩააგდო, რაც მრავლის მთქმელი ფაქტია. თუმცა ევროპის პირველობიდან მსოფლიომდე ადრინდელზე ბევრად მეტი დრო ჰქონდათ.

შმაგი ბოლქვაძე ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი და ბრინჯაოს მედალოსანია, ახლა კი თამასა ბევრად მაღლა ასწია - ერთი საფეხურით უფროს ასაკში მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი გახდა. საამისოდ მას ოთხი მოგება ეყო, მეხუთე, ფინალური შეხვედრა კი დათმო რუს **აბუაზიდ მანციგოვთან**. ჩვენებურს პირველივე წრეში საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადახდა პოლონელ **მიშალ კოსლასთან** - პირველი პერიოდი 3:3 დასრულდა და ბოლქვაძემ მხოლოდ მეორეში იმარჯვა მინიმალური ანგარიშით, 1:0. პირველი პერიოდი ამერიკელ **საჰიდ კარგბოსთანაც** ფრედ დაასრულა - 2:2 და მისი წინააღმდეგობაც მეორეში გატეხა - 4:1 მოუგო. სომეხ **ტიგრან აბრაჰამიანთან** შეხვედრა არანაკლებ დაძაბული და სულაც სისხლიანი გამოდგა - მეტოქე 4:0 იგებდა, თუმცა ბოლქვაძეს წარბი მაინც გაუხეთქა, ოღონდ, საბოლოოდ წმინდად დამარცხდა.

ბოლქვაძე ნახევარფინალშიც შეუვალი იყო ირანელ **რამინ ტაჰერისარტანგთან** - 5:4, რომელიც ამ ასაკში მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია, ოღონდ - 60 კილოგრამში. სამაგიეროდ, ჩვენებური ფინალში ვერაფერს გახდა მანციგოვთან და წმინდად წააგო - 0:7. ამის მიუხედავად, ბოლქვაძემ ახალგაზრდულ ნაკრებში მაინც წარმატებული დებიუტი მოიწყო.

ცეცხლაძე 20-წლამდელებში ევროპის ვიცე-ჩემპიონია, ახლა კი მორიგ მედლამდე ერთი მოგება დააკლდა. მან პირველი ორი შეხვედრა დამაჯერებლად, სუფთად მოიგო - ყირგიზ **ოსკონბაი აბდუპატაევს** 6:0 სძლია, ხოლო გერმანელ **პეტერ ჰაასს** - 7:0. ამერიკელ **ლუის ისაია ვარონასაც** იმავე ანგარიშით მოუგო, ოღონდ საამისოდ, ორი პერიოდი დასჭირდა. სამწუხაროდ, ეს ცეცხლაძის ბოლო წარმატება აღმოჩნდა ამ ჩემპიონატში - ჯერ ნახევარფინალი დათმო რუსეთის წარმომადგენელ **რუბენ მინასიანთან** (ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი) - 2:6; 2:3, მერე კი ბრინჯაოსთვის პაექრობაშიც დამარცხდა ყაზახ **აკან ბაიმაგანბეტოვთან,** თუმცა მინიმალური სხვაობით - 1:1; 0:1.

დასანანია **რობერტ კობლიაშვილის** (84) უმედლოდ დარჩენა, როგორც ძლიერი მოჭიდავისა - ის უფროსებშიც და ახალგაზრდებშიც საქართველოს მოქმედი ჩემპიონია, ახალგაზრდებში კი ევროპის წლევანდელ პირველობაზე, პრაქტიკულად, ცალფეხამ ბრინჯაო მოიპოვა. კობლიაშვილმა შვედ **კარლ იონას პლატოს** იოლად მოუთავა ხელი - 6:3 საერთო ანგარიშით, კორეელ **იუნჰიეონ ჩოსთანაც** ყოჩაღად დაიწყო - პირველი პერიოდი 2:0 მოუგო, მაგრამ მეორე 2:6 დათმო. სამწუხაროდ, კორეელიც მალევე დამარცხდა და ჩვენებური სანუგეშოში ვერ გადავიდა. იქამდე მისვლა არც **ზურაბ გედეხაურს** (120) დასცალდა - გერმანელ ევროპის ჩემპიონ **კრისტიან ჯონს** წმინდად კი მოუგო, მაგრამ მოულოდნელად დამარცხდა ლიტველ **მანტას კნისტაუტასთან** - 1:2. არადა, თავიდან მასთანაც დაწინაურდა - 1:0.

■ ■ ■

დღეს მსოფლიოს ჩემპიონატში გოგონები ჩაებმებიან, რომლებიც ხვალ დაასრულებენ ასპარეზობას, 17 აგვისტოდან კი „არმიელთა არენა“ თავისუფალი სტილით მოჭიდავე ბიჭებს დაეთმობათ. ჩვენი ნაკრები ამ დილით გაფრინდა ბულგარეთში. **გიორგი გოგშელიძემ** ევროპის პირველობაზე ნაჭიდავებ გუნდში ერთადერთი ცვლილება შეიტანა - **როლანდ ანდრიაძის** ნაცვლად **გიორგი კაკაურიძე** წაიყვანა. ევროპირველობის მსგავსად, სხვა წონებში ამჯერადაც **ნიკა ტატუაშვილი** (50), **ბექა ბუჯიაშვილი** (55), **შოთა ფარტენაძე** (60), **დავით ბუზიაშვილი** (66), **ლაშა გიგაშვილი** (74), **ლევან გოგრიჭიანი** (84) და **გენო პეტრიაშვილი** (120) იჭიდავებენ. ამათგან, პეტრიაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა, გიგაშვილი და ბუზიაშვილი კი მესამეზე გავიდნენ.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

**55 კგ.** 1. **კილიც სერიფი** (თურქეთი); 2. **რუბენ მინასიანი** (რუსეთი); 3. **ანდრეი სტარიუკი** (ისრაელი), **აკან ბაიმაგანბეტოვი** (ყაზახეთი); **5. ნიკა ცეცხლაძე** (საქართველო).

66 კგ. 1. **აბუაზიდ მანციგოვი** (რუსეთი); **2. შმაგი ბოლქვაძე** (საქართველო); 3. **რამინ ტაჰერისარტანგი** (ირანი), **შოჰეი იაბიკუ** (იაპონია).

**84 კგ.** 1. **სოსრუკო კოძოკოვი** (რუსეთი); 2. **აჰმად იოუსეფ გადერიანი** (ირანი); 3. **შიბლ ტარეკ მოჰამედ აბდ ელსალამი** (ეგვიპტე), **ორხან ნურიევი** (აზერბაიჯანი).

**120 კგ.** 1. **სერგეი სემენოვი** (რუსეთი); 2. **აბას აბდულაევი** (აზერბაიჯანი); 3. **პოლ სამუელ სტოლი** (აშშ), **მინ-სეოკ კიმი** (სამხრეთ კორეა).

● ჭადრაკი



ბაადურ ჯობავა

# ჯობავამ პირველი პარტია დათმო

ნორვეგიულ ტრომსოში გუშინ მოჭადრაკეთა მსოფლიოს თასის გათამაშებაზე (საპრიზო ფონდი 1.600.000 დოლარი, საიდანაც გამარჯვებული 120.000 დოლარით დაჯილდოვდება, პირველ წრეში დამარცხებულნი კი 6000-6000 დოლარს მიიღებენ) მეორე რაუნდის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. **ბაადურ ჯობავა** შავი ფიგურებით უკრაინელ ანტონ კორობოვს შეხვდა, რომელსაც რეიტინგში მხოლოდ 27 პუნქტით ჩამორჩება. დებიუტიდანვე უპირატესობას თეთრები დაეუფლნენ და 41-ე სვლაზე გამარჯვებამდე მიიყვანეს იგი. დღეს განმეორებით კლასიკურ პარტიაში თეთრებით ჯობავა ითამაშებს და, ცხადია, რევანშისთვის იბრძოლებს.

გუშინვე პირველი პარტიები მოიგეს ჰიკარუ ნაკამურამ (აშშ), ანიშ გირიმ (ჰოლანდია), ლენიერ პერეს დომინგესმა (კუბა), ალექსანდრ გრიშჩუკმა (რუსეთი), რომლებმაც, შესაბამისად, ელთაჯ საფარლი (აზერბაიჯანი), ლი ჩაო (ჩინეთი), ალექსანდრ ონიშჩუკი (აშშ) და დარიუშ სვირჟი (პოლონეთი) დაამარცხეს. 17 პარტია ყაიმით დასრულდა. დღეს განმეორებითი შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

● კრივი

# ბიჭების ქვეყანას ექვსი ქართველი შემორჩა

როტერდამში (ჰოლანდია) დაიწყო 1995-1996 წლებში დაბადებულ მოკრივეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის - **კუკური შავგულიძის** ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის 9 წარმომადგენელი ასპარეზობს: **დავით ნანავა** (ფოთი, 49 კგ), **ზაურ ხურციძე** (ქუთაისი, 56), **ალეკო ლურსმანაშვილი** (გორი, 60), **ჯემალ შალამბერიძე** (ქუთაისი, 64), **კონსტანტინე ხვისტანი** (ქუთაისი, 69), **ირაკლი ქათამაძე** (ქუთაისი, 75), **გიორგი გიორგაძე** (ქუთაისი, 81), **გიორგი ურჯუმელაშვილი** (გორი, 91), **დემურ მაჭარაშვილი** (რუსთავი, +91).

ასპარეზობის პირველ დღეს შეჯიბრებას გამოეთიშა გიორგი გიორგაძე (81) — ქუთაისელი მოკრივე აზერბაიჯანელ რაჰილ მამადლისთან დამარცხდა.

ზაურ ხურციძემ (56), რომელიც სტარტზე თავისუფალი იყო, გუშინ მე-2 წრის შეხვედრა კიობანუ ნიკუსორ ფრედისთან (რუმინეთი) დათმო.

60 კილოში ალეკო ლურსმანაშვილი თავისუფალი იყო, გუშინ კი თურქ ვოლქან გოკჩეკთან დამარცხდა შეჯიბრებას გამოეთიშა.

პირველ წრეში თავისუფალი იყო ჯემალ შალამბერიძეც (64). მეორეში ბერნარდ ბარშონს (უნგრეთი) აჯობა და მეოთხედფინალში დღეს ალიაქსანდრ ვაშილკას (ბელარუსი) გაუწევს მეტოქეობას.

დღესვე გავა რინგზე დათო ნანავა (49 კგ), რომელიც მუნასიბ მამადოვს (აზერბაიჯანი) დაუპირისპირდება.

69 კილოში კონსტანტინე ხვისტანმა ჩემიონატის სტარტზე გიდიათ მუსაევს (აზერბაიჯანი) მოუგო, მეორეში მის გზას გაუყენა ჰუგო სილვა (პორტუგალია) და დღეს მეოთხედფინალში ილიას აძინაიეუსთან (ბელარუსი) გაარკვევს ურთიერთობას.

პირველ წრეში, ასევე, წარმატებით იასპარეზა ირაკლი ქათამაძემაც. ხორვატიელ ლუკა პლანტიჩთან პაექრობისას პირველსავე რაუნდში მიაღწია აშკარა უპირატესობას, რის გამოც არბიტრებმა ორთაბრძოლა შეწყვიტეს და ქართველ სპორტსმენიც მეორე წრეში გავიდა, სადაც ჩვენებურმა არტურას ფილიპოვიჩი (ლიტვა) დაჯაბნა და დღეს კრისტიან მბილი ასომოს (საფრანგეთი) გაუწევს მეტოქეობას.

გიორგი ურჯუმელაშვილმა (91) გუშინ ელვირ სენდრო (ბოსნია) დაამარცხა და მეოთხედფინალში ელბონ პერვიზაჯი (გერმანია) ელოდება.

მძიმე წონაში სულ 14 მოკრივე ჩაება მედლებისთვის ბრძოლაში, უფრო სწორად, პირველი წრის შემდეგ ჯილდოებისთვის მებრძოლთა რიგებს მხოლოდ 8 ათლეტი შემორჩა, მათ შორის - დემურ მაჭარაშვილი, რომელიც დღეს ბელარუს ვიტალი ჰორინასთან გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**



● ჩოგბურთი

# მხოლოდ ვაჟების იმედად

ერევანში გრძელდება 18-წლამდელ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი პრეზიდენტის თასზე, რომელსაც 2 წრის შემდეგ 5 ქართველი იყო შემორჩენილი. წინა კვირას სომხეთის დედაქალაქში შესანიშნავად ითამაშა **შოთა მეფარიძემ,** რომელმაც ექვსი მეტოქე დაჯაბნა და პირველი ადგილი დაიკავა.

„პრეზიდენტის თასის“ რეიტინგფავორიტი ახლაც შეუპოვრად მიიწევს კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ. როგორც გაუწყეთ, პირველ წრეში მეფარიძე თავისუფალი იყო, მეორეში ფრანგ მეტიუ რაჯაონაჰს აჯობა (6:2, 6:1), გუშინ მესამე წრეში კი მასპინძელი მიხაილ ხაჩატრიანი დაამარცხა - 6:4, 6:0.




ასევე, წარმატებით თამაშობს **გიორგი დათაშვილი** - მან უკვე სამი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან. ჯერ საველი ვარლამოვი (რუსეთი, 6:0, 7:6) და როი ბარანი (ისრაელი, 6:4, 6:2), გუშინ კი მე-5 ნომრად განთესილ ალექსანდრ იარკოვს (რუსეთი) დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:3, 6:1.

მეოთხედფინალში მეფარიძე მე-10 ნომერ მიხაილ ვოვკანეტთან (რუსეთი) გაარკვევს ურთიერთობას, დათაშვილი - მასპინძელ სურენ ბალდასარიანთან. წარმატების შემთხვევაში ქართული ნახევარფინალი გვექნება.

გოგონებში ორი წრის შემდეგ სამი წარმომადგენელი გვყავდა. სამწუხაროდ, მეოთხედფინალში მათგან ვერავინ გააღწია: **მარიამ მითაიშვილი** ელინა ვიხრიანოვასთან (რუსეთი) დამარცხდა 1:6, 2:6, მე-6 ნომრად განთესილმა **თამარ კუტუბიძემ** უკრაინის სახელით მოასპარეზე ირინა ვარდანიანთან წააგო - 4:6, 1:6, **ირინე ყარანგოზიშვილს** კი ანა მახორკინამ (რუსეთი) აჯობა - 6:1, 4:6, 6:4. გოგონათა შეჯიბრებას მეოთხედფინალში ექვსი რუსი და ორი უკრაინელი შემორჩა.

**ვაჟა დანელია**

ლელოზე

**ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მოფარიკავე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

**რევაზ მაჭარაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**პანაშვიდი:** 15.08; გამოსვენება 16.08; 11 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას III კვ., III კორ. II სად.

**დაკრძალვა:** 18.08; 15 საათზე, საჩხერის რაიონი სიფელი კორბოული.

● შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** ვიცი, რომ არის ხალხური თამაში ოთურმა. ძალიან მაინტერესებს თამაშის წესები, ვისაც ვკითხე ვერ მიპასუხეს.

**გიო ხეცურიანი**
ქუთაისი

**პასუხი:** ოთურმა აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ხალხური თამაშია. ოთურმა ორგვარია: 1. მიწაზე გაავლებენ ხაზს და კენჭს ყრიან, რომელსაც კენჭი შეხვდება, ის მოთამაშე ხაზზე დადგება, ფეხებს განზე გასწევს, წელში მოიხრება და ხელებით მუხლებს დაებჯინება. დანარჩენები მას ზემოდან ასეთი წესით ახტებიან: გამოიქცევიან, მიწაზე ფეხებს ტყუპად დაჰკრავენ, ხელებით წაკუზული მოთამაშის ზურგს დაეყრდნობიან, ფეხებს გაშლიან და ზედ გადაევლებიან. როცა ყველა გადაახტება, ხაზიდან ხუთ ტერფს გადაზომავენ და მოთამაშე ახლა იქ წაიკუზება. დანარჩენები ვალდებულნი არიან, გადახტომისას ხაზს არ გადასცდნენ. თუ ისევ ყველა გა-



დაახტა, მოთამაშე იმ ადგილიდან ახლა სამი ტერფის მანძილზე გადაიწევს, მერე და მერე კი თითო ტერფს უმატებს. თუ რომელიმე ვერ გადახტა და ჩაიჭრა, ახლა ის დგება ხაზზე და ყველაფერი თავიდან იწყება. 2. მოთამაშენი ერთმანეთის გასწვრივ, 10-12 ნაბიჯის დაშორებით წაიკუზებიან. ბოლო მოთამაშე გამოიქცევა, ყველას სათითაოდ გადაახტება და, როცა მწკრივის ბოლოში გავა, ზუსტად იმავე მანძილზე წაკუზული გაჩერდება. ახლა თავში მდგომი მეორე მოთამაშე გადაახტება ამხანაგებს და ა.შ. როცა ერთი მხარეს სათამაშო ადგილი გათავდება, მიმართულებას შეიცვლიან და თამაშს იმავე წესით განაგრძობენ („სპორტის ენციკლოპედია").

● დებიუტანტი



# ვიტალი სირაძე

ძალოსნობა

**დაიბადა** ქ. საჩხერეში, 2000 წ. 30. 06
**წონა** - 45 კგ.
**სიმაღლე** - 155 სმ.
**სწავლობს** საჩხერის პირველი საჯარო სკოლის VIII კლასში
**სპორტში ვარჯიშობს** 2010 წლიდან საჩხერის სასპორტო სკოლაში
**პირველი და ამჟამინდელი მწვრთნელი** - გიორგი გაბრიჭიძე
**მიღწევები:** საქართველოს 2012 და 2013 წლების ჩემპიონი
**ოცნება:** ოლიმპიური ჩემპიონობა
**მისაბაძი სპორტსმენი:** გიორგი ასანიძე
**სხვა გატაცება:** კომპიუტერი.

**თამაზ ლაშხი**

● კალათბურთი. U 16



# შანსი თეორიულის პრაქტიკულის

სარაევოში (ბოსნია) 16-წლამდელ კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში გუშინ მე-2 ეტაპის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ნაკრებისთვის მასპინძლებთან პაექრობას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა A დივიზიონის საგზურისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად.

**ბოსნია-საქართველო 75:63**

**22:19, 11:12, 25:20, 17:12**

**საქართველო:** ალიევი (6), კერესელიძე (5), ქვარაია (არ უთამაშია), გოგალაძე (13), ცქიფურიშვილი, აფხაზავა, ლომიძე (16), თვალაბეიშვილი (4), ცირეკიძე (9), გოგობერიშვილი, ისიანი (9), გიორგაძე (4).

**ბოსნია:** დედოვიჩი (29), ნაზიჩი (12), ალექსიჩი (12), აჰმედიჩი (9), მემიჩი (7), სიერჩიჩი (2), დურაქი (2), გალიჩი (2).

მატჩი გია კაზანჯიანის შეგირდების იერიშებით დაიწყო და სამწუთ-ნახევარში ქართველები 7:0 (თვალაბეიშვილი - 4, გოგალაძე - 3) დაწინაურდნენ. მასპინძლებმა მხოლოდ მე-8 წუთზე შეძლეს წონასწორობის აღდგენა - 15:15. პირველი პერიოდის მიწურულს აჰმედიჩის ორქულიანის შემდეგ ბოსნიელები 3 ქულით დაწინაურდნენ.

მეორე ათწუთიანი მონაკვეთიც დაძაბულ პაექრობაში მიილია. თავიდან ქართველებმა იყოჩაღეს - ისიანის და გოგალაძის ზუსტი ტყორცნების შემდეგ ისევ ჩვენებურები დაწინაურდნენ - 23:22, მაგრამ დედოვიჩმა მე-4 წუთზე თავისი გუნდი წინ გაიყვანა. მე-5 წუთის მიწურულისთვის ანგარიში თანაბარი იყო - 27:27. საბოლოოდ პერიოდი ჩვენებმა ქულით მოიგეს, მაგრამ მასპინძლებმა შესვენებამდე ორქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს.

მესამე პერიოდის დასაწყისში ბოსნიელებმა ხუთ ქულამდე გაზარდეს სხვაობა (38:33), მაგრამ ქართველებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. მთელ მოედანზე ნაცად პრესინგს მიმართეს და შეტევებსაც შედეგიანად აგვირგვინებდნენ. მესამე პერიოდის დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე ისევ ქულით დაწინაურდნენ. როგორც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვებგვერდიდან შევიტყვეთ, ამ მომენტიდან, მსაჯებმა თურმე შეცდომებს მოუხშირეს მასპინძელთა სასარგებლოდ, რასაც ქართველთა სამართლიანი უკმაყოფილება და არბიტრების უსამართლო ტექნიკური ჯარიმები მოჰყვა. ამას დაემატა ისიც, რომ გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა გოგალაძემ, რომელსაც 13 ქულა ჰქონდა მოგროვებული, მეხუთე პერსონალურის გამო მოედანი დატოვა. საქართველოს ნაკრებმა მე-4 პერიოდის ბოლო ოთხი წუთის განმავლობაში, ფაქტობრივად, ბრძოლა შეწყვიტა - მეტოქე შეხვედრას 13 ქულით იგებდა. ამ დროის განმავლობაში ჩვენი გუნდიდან მხოლოდ ლომიძემ გამოიჩინა თავი ბოლო წამებზე ზუსტი სამქულიანით და შეხვედრაც დასრულდა ბოსნიელთა გამარჯვებით - 75:63. ამ ნაგების მიუხედავად, საქართველოს ნაკრებმა საგზურისთვის ბრძოლის შანსი მაინც შეინარჩუნა, თუკი დღეს დანიას დიდი ანგარიშით მოუგებს.

გუშინდელი დანარჩენი მატჩების შედეგები:

**E ჯგუფი.** ფინეთი - ინგლისი 70:60, მაკედონია - სლოვენია 64:76, **F ჯგუფი.** დანია - ჩეხეთი 69:54.

**დღეს ითამაშებენ**

**F ჯგუფი.** ჩეხეთი - ბოსნია (20.30), საქართველო - დანია 22.45). **E ჯგუფი.** სლოვენია - ფინეთი, ინგლისი - მაკედონია.

**IX-XVI ადგილებისთვის**

ესტონეთი - რუმინეთი 65:71. პორტუგალია - შვეიცარია 55:73. ისრაელი-ავსტრია 93:42, ჰოლანდია-უნგრეთი 69:61.

**XVII-XXII ადგილებისთვის**

ნორვეგია - ირლანდია 54:58, სლოვაკეთი - ბელარუსი 70:77.

გუშინ სარაევოში დამთავრებული ორთაბრძოლის შემდეგ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა გია კაზანჯიანის ინტერვიუ, რომელშიც 16-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი მასპინძლებთან მარცხის მიზეზებსა და უმაღლესი ეშელონის საგზურისთვის ბრძოლის შანსებს შეეხო:

- არ მინდა, მხოლოდ არბიტრებს დავაბრალო წაგება, ჩვენც ვერ ვიყავით მოწოდების სიმაღლეზე, თუმცა სამართლიანი მსაჯობა რომ ყოფილიყო, მოგების რეალური შანსი გვექნებოდა.

**- კონკრეტულად რაში დაეხმარნენ მსაჯები მასპინძლებს?**

- ყველაზე აშკარა მიკერძოება მესამე მეოთხედის ბოლოს იყო, როცა დრო დამთავრებულზე ბოსნიელებმა სამქულიანი ჩააგდეს და მსაჯებმა ჩათვალეს: ბურთი სირენის შემდეგ ესროლა ბოსნიელმა... როცა მსაჯების უსამართლობაზე რეაქციას გამოვხატავდით, ტექნიკურ ჯარიმებს გვაძლევდნენ. მთლიანობაში, მეორე ტაიმში 3 ტექნიკური მივიღეთ.

**- ერთი ტექნიკური ლევან გოგალაძეს მისცეს...**

- გოგალაძემ ბურთი ჩააგდო და სანამ ის კალათიდან იატაკზე დაეცემოდა, ხელით გააჩერა და ამის გამო ტექნიკური მისცეს. ეს მისი მე-4 ჯარიმა იყო. მე-4 პერიოდის დასაწყისში გოგალაძეს მორიგი ჯარიმა მოუგონეს და მოედნიდან გააძევეს. იყო კიდევ არაერთი მომენტი, სადაც მსაჯებმა მასპინძლების მხარე დაიჭირეს.

**- 15 აგვისტოს დანიას ხვდებით. ნახევარფინალში გასვლის შანსი თუ გაქვთ?**

- დანიამ ჩეხეთი 15 ქულით დაამარცხა, რაც ჩვენ ხელს გვაძლევდა. თუკი ჩეხეთს ბოსნიაც მოუგებს, ჩვენ დანიის დამარცხებით ნახევარფინალში გასვლა შეგვიძლია. ცუდი ისაა, რომ დანიამ დიდი ანგარიშით აჯობა ჩეხეთს და ჩვენ დანიას სულ მცირე 15 ქულით მაინც უნდა მოვუგოთ... არ ვიცი, ვნახოთ, არაფერს დავიშურებთ, რომ სასურველ გამარჯვებას მივაღწიოთ.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ფედერაციები

# ...და არა ხელების გადაგრეხვის პრინციპით

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ახალ წესდებაზე მუშაობს. იგი 10 აგვისტოს ყრილობაზე უნდა განხილულიყო, მაგრამ რაც მოხდა მაშინ, ორშაბათის ნომერში დაწვრილებით დავწერეთ. გუშინ შეიკრიბა გამგეობის სხდომა და გადაწყვიტა:

„ფედერაციის წესდების ახალი რედაქციით მიღება აუცილებელია მისი პროექტის განხილვაში საზოგადოების ფართო ფენებისა და საკალათბურთო სამყაროს ჩართვის გზით. უნდა მოხდეს წესდების პროექტის შეჯერება კალათბურთით დაინტერესებულ ნებისმიერ პიროვნებასთან ან პიროვნებათა ჯგუფთან.

ამისთვის მოვუწოდებთ ყველას:

შექმნილ გაუგებრობას ნუ მივცემთ დაპირისპირების და კონფლიქტის სახეს. მით უმეტეს ახლა, როცა მოგველის უმძიმესი და პასუხისმგებლობით ალსავსე ევროპის ჩემპიონატი.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გამგეობა გამოაცხადებს საკალათბურთო სამყაროს სხვადასხვა წარმომადგენელთან და საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან შეხვედრების განრიგს, სადაც მაქსიმალურად შეჯერდება ახალი წესდების რედაქცია.

მხოლოდ ამის მერე დაინიშნება ფედერაციის ყრილობა წესდების ახალი რედაქციის მისაღებად.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება მხოლოდ წესდების შეჯერებული ვარიანტის საფუძველზე და არა „ხელების გადაგრეხვის" პრინციპით."

● კალათბურთი. ტრანსფერი

# ჯეიკობ ბარსელონელი

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** წლეულს გაფართოებულ შემადგენლობაში **ჯეიკობ პულენიც** შეიყვანა, რომელიც ჩვენს გუნდს 2012 წელს დაეხმარა (საშუალოდ 16.4 ქულა). თუმცა, მას მერე, რაც **რიკი ჰიკმანმა** საქართველოს ნაკრების მაისურის მორგებაზე თანხმობა განაცხადა, პულენის ადგილას განაცხადში რიკი მოხვდა.

ჰიკმანის ევროპაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და გასულ სეზონში ევროლიგაზეც ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელი იყო. ამ ეტაპზე სანაკრებოდ პულენსა და **მარკიზ ჰაინსზე** უკეთესი ვარიანტი სწორედ ჰიკმანის დამატება გახლდათ.

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ამ ზაფხულს: 2011 წელს ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების მაისურით ნათამაშებმა მარკიზ ჰეინსმა იტალიის „მილანთან" გააფორმა ხელშეკრულება, ხოლო გუშინ ჯეიკობ პულენის დაწინაურების ამბავი შევიტყვეთ - ესპანურმა გრანდმა „ბარსელონამ" გადაიბირა და ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ასე რომ, ჰეინსსაც და პულენსაც ერთდროულად ექნებათ დებიუტი ევროლიგაზე.

თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ ჰიკმანი იმდენად კარგად მოერგება საქართველოს ნაკრებს, რომ პულენსა და ჰაინსს აღარ გაგვახსენებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



პულენი რუმინეთთან მატჩისას
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრები

# ბოსნიური დღის ქართული დასასრული

## გათანაბრდა - 3:3




### ამხანაგური მატჩი

**იესნიცე, სლოვენია**

| ბოსნია-საქართველო | 78:81 |
|---|---|

26:18, 15:26, 19:15, 18:22

**საქართველო:** ცინცაძე (6ქ, 4მ), ჰიკმანი (10ქ), ფაცაცია (2ქ, 5მ), სანიკიძე (19ქ, 8მ), შერმადინი (9ქ, 7მ), ლეჟავა (9ქ), ფხაკაძე (10ქ), სანაძე (7ქ), მეტრეველი (4ქ), ცქიტიშვილი (5ქ), ბოისა.

გუშინ საქართველოს ეროვნულმა და 16-წლამდელთა ნაკრებებმა ბოსნიელების წინააღმდეგ ითამაშეს. **იგორ კოკოშკოვს** უყვარს გამოთქმა - ამხანაგურ მატჩს ოფიციალურ მოგებაში გავცვლიდიო. ჰოდა, თუ გვაქვს ამის უფლება, ეროვნული ნაკრების მოგებას 16-წლამდელთა გამარჯვებაში გავცვლიდით...

მაგრამ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვსურს: კადეტთა ნაკრებმა ბოსნიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მასპინძლებთან დათმო და ნახევარფინალისკენ სავალი გზა გაიმრუდა. ამაზე სხვა სტატიაში წაიკითხავთ, რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, მან ღირებული რევანში აიღო ბოსნიასთან 13 აგვისტოს წაგების გამო. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში ჩვენმა გუნდმა ბოლო წამებზე 63:68 დათმო, განმეორებითში კი ბალკანელები 81:78 დაამარცხა. ამ გამარჯვებას ღირებულებას ერთი გარემოება ჰმატებს - წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს სათადარიგოებმა, რომლებსაც წინა მოგებულ მატჩში (ისრაელთან) მთავარი მწვრთნელი თითქმის არ ენდო.

13 აგვისტოს ფეხი იტკინა **მანუჩარ მარკოიშვილმა** და ექიმების გადაწყვეტილებით ბოსნიასთან განმეორებით თამაშში მონაწილეობა აღარ მიუღია. როგორც ამბობენ, ტრავმა სერიოზული არ არის და მანუ მალე დაუბრუნდება მოედანს. გუშინდელ შეხვედრაში დაშავდა **რიკი ჰიკმანი**, რომელსაც ფეხი გადაუბრუნდა და 13 წუთში 10 ქულის ჩაგდება მოასწრო. რიკის მონაგარი წინა შეხვედრაშიც 10 ქულა იყო.

უკანახაზელი ლიდერების არყოფნაში სნაიპერობა **ვიქტორ სანიკიძემ** ითავა. მას ორმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა - 19 ქულა, 8 მოხსნა. აღსანიშნავია ახალგაზრდების, **ოთარ ფხაკაძისა** და **დუდა სანაძის** 17 ქულა (ჯამში). **ბესიკ ლეჟავამ** 9 ქულას მოუყარა თავი. ეს იყო გუნდის მეორე მოგება მეხუთე ამხანაგურ თამაშში. რაც შეეხება ბოსნიელებთან დაპირისპირებებს, გუშინდელ შეხვედრამდე 2:3-ს ვაგებდით. იესნიცეში კი ანგარიში გათანაბრდა - 3:3.

როცა ერთი გუნდი 3 ქულის სხვაობით იგებს, ცხადია, ყველაფერი ბოლო წამებზე წყდება. დუდა სანაძემ, რომელმაც მხოლოდ მეორე ტაიმში ითამაშა, ასეთი კომენტარი გააკეთა:




- მოედანზე 10-12 წუთი გავატარე. სანახაობრივი თამაში გამოვიდა და ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. გიორგი შერმადინის შეჩერება ბოსნიელებმა ვერ მოახერხეს. ისინი ჩვენს ცენტრს წესების დარღვევით აბრკოლებდნენ...

შერმადინმა განაგრძო:

- საინტერესო თამაში გამოვიდა. გადამწყვეტ მომენტში ჯარიმები ზუსტად ვისროლე, ასევე კარგად სტყორცნა საჯარიმოს ხაზიდან ბესიკ ლეჟავამ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

ახლა მეორე მწვრთნელ დავით უსტიაშვილს მოვუსმინოთ, რომლის ინტერვიუც საქართველოს კალათბურთის საიტზე გამოქვეყნდა:

**- რამდენად სერიოზულია რიკი ჰიკმანის ტრავმა?**

- ჰიკმანს მეორე მეოთხედში ფეხი გადაუბრუნდა. ის სასწრაფოდ შევცვალეთ და საქმეში ექიმები ჩაერთვნენ. წინასწარი დათვალიერებით სერიოზული ტრავმა არ ჩანს, რეალური სურათი კი ხვალ გამოჩნდება. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება და ჰიკმანი ჩვენს ნაკრებს დაეხმარება.

**- რას იტყვით მის და ზოგადად საქართველოს ნაკრების თამაშზე?**

- ჰიკმანმა მცირე დროში 10 ქულა მოაგროვა და ალბათ, გაცილებით მეტ სარგებელს მოგვიტანდა, ტრავმა რომ არ მიელო. ის კარგი მოთამაშეა და თუ მწყობრში იქნება, დიდ დახმარებას გაგვიწევს. რაც შეეხება დანარჩენ მოთამაშეებს, ყველას გარჯით კმაყოფილები ვართ, განსაკუთრებით ახალგაზრდების - ოთარ ფხაკაძის, დუდა სანაძის. კარგად ითამაშა ბესიკ ლეჟავამაც. ამ 3 კალათბურთელის ანგარიშზე ჯამში 26 ქულაა.

**- მატჩის გადამწყვეტი წუთები როგორ წარიმართა?**

- ბოლო წუთზე 1 ქულით ვაგებდით, როცა შეტევა გავაცუდეთ, თუმცა ვიქტორ სანიკიძემ დაამატა და ქულით დაგვაწინაურა. შემდეგ დაცვაში ბურთი ავიღეთ და ბოსნიელები ლეჟავაზე დაჯარიმდნენ, რომელმაც მტკიცე ნებისყოფა გამოავლინა და ორივე საჯარიმო ჩააგდო. ამის შემდეგ, დარჩენილ წამებში ანგარიში აღარ შეცვლილა და საბოლოოდ 3 ქულით გავიმარჯვეთ. ხვალ საფრანგეთში მივემგზავრებით, სადაც ორი ძალიან ძლიერი მეტოქე გველოდება - სერბეთი და საფრანგეთი.

საქართველოს ნაკრების მეტოქეები




# ნაგებებით, გამარჯვებებით, ოღონდ არაოფიციალურად

| საბერძნეთი-ხორვატია | 87:85 |
|---|---|

17:16, 26:26, 27:18, 17:25

**ხორვატია:** ტომიჩი (18წთ. 6ქ), ბოგდანოვიჩი (32წთ. 25ქ. 3მ. 3პ.), ტომასი (24 წთ. 15ქ), უკიჩი (26წთ. 14ქ. 4პ. 3ჩ), მარკოტა (27წთ. 4ქ. 8მ. 4პ), ანდრიჩი (9წთ. 2ქ), დრეპერი (13წთ. 6ქ), რუდეზი (9წთ), სიმონი (15წთ. 9ქ. 5პ), დელასი (13წთ. 2ქ), ზორიჩი (12წ. 2ქ).

| საფრანგეთი-ხორვატია | 92:60 |
|---|---|

28:14, 23:8, 21:22, 20:16

**ხორვატია:** ტომიჩი (21წთ. 6ქ. 4მ.), ბოგდანოვიჩი (28წთ. 13ქ), უკიჩი (25წთ. 18ქ), სიმონი (24წთ. 2ქ. 8მ), მარკოტა (18წთ. 4ქ), ანდრიჩი (3წთ), დრეპერი (14წთ. 4ქ), რუდეზი (22წთ. 7ქ. 3მ), ა. დელასი (5წთ. 2ქ), ზორიჩი (18წთ. 4ქ), პლანინიჩი (8წ), მ. დელასი (13წთ).

| გერმანია-ხორვატია | 73:63 |
|---|---|

20:18, 31:13, 12:14, 10:18

**ხორვატია:** ტომიჩი (5წთ. 3ქ), დრეპერი (8წთ), ბოგდანოვიჩი (32წთ. 14ქ. 3პ), სიმონი (25წთ. 9ქ. 3პ. 3ჩ), მ. დელასი (21წთ. 9ქ. 4მ), ანდრიჩი (23წთ. 5ქ.), რუდეზი (21წთ. 9ქ), უკიჩი (18წთ. 8ქ. 4პ), მარკოტა (12წთ. 2ქ. 3მ), პლანინიჩი (12წთ. 2ქ), ა. დელასი (25წთ. 2ქ. 3მ).

| სლოვენია-თურქეთი | 55:54 |
|---|---|

15:19, 13:10, 12:15, 15:10

**სლოვენია:** ლაკოვიჩი (17წთ. 3მ. 3პ), მურიჩი (8წთ. 3ქ), ბლაჟიჩი (19წთ. 4ქ. 7მ), ბეგიჩი (17წთ. 6ქ. 5მ), ბალაჟიჩი (23წთ. 7ქ. 5მ), იოკსიმოვიჩი (13წთ), ნახბარი (17წთ. 2ქ. 3მ), გ. დრაგიჩი (24წთ. 16ქ. 3პ), ლორბეკი (15წთ. 4ქ), ვიდმარი (22წთ. 6ქ. 9მ), პრეპელიჩი (6წთ), ზ. დრაგიჩი (19წთ. 5ქ).

| სერბეთი-სლოვენია | 91:66 |
|---|---|

20:16, 28:20, 21:15, 22:15

**ხორვატია:** მურიჩი (19თწ. 5ქ. 3მ), ბლაჟიჩი (16წთ. 2ქ), ნახბარი (23წთ. 20ქ. 4მ), გ. დრაგიჩი (15წთ. 9ქ), ბეგიჩი (11წთ. 4ქ), სლოკარი (8წთ. 2ქ), იოკსიმოვიჩი (18წთ. 4ქ), ლორბეკი (20წთ. 7ქ), ვიდმარი (21წთ. 7ქ. 8მ. 3დ), პრეპელიჩი (12წთ. 1ქ. 3პ), ბალაჟიჩი (17წთ. 3მ), ზ. დრაგიჩი (21წთ. 5ქ).

| ესპანეთი-პოლონეთი | 70:66 |
|---|---|

21:13, 10:22, 14:14, 25:17

**ესპანეთი:** ფერნანდესი (21წთ. 11ქ), კალდერონი (21წთ. 16ქ), რუბიო (16წთ. 7პ), კლავერი (17წთ. 2ქ), მ. გასოლი (28წთ. 14ქ. 6მ), აგილარი (17წთ. 5ქ. 3მ), როდრიგესი (22წთ. 11ქ. 3მ. 4პ), რეი (11წთ. 2ქ. 5მ), სან ემეტერიო (6წ. 2ქ), ლული (21წ. 4ქ), გაბრიელი (4წ), მუმბრუ (11წთ. 3ქ. 7მ), კორბაჩო (1წთ), მარტინი (3წთ), რაბასედა (2წთ).

**პოლონეთი:** ლამპე (30წთ. 13ქ. 8მ. 4პ), ზამოისკი (17წთ. 5ქ), კოშარეკი (23წთ. 2ქ. 3პ), იგნერსკი (25წთ. 12ქ. 5მ), კელატი (25წთ. 8ქ. 7პ), ჩილინსკი (12წთ. 6ქ), შუბარგა (15წთ. 4ქ. 4პ), პონიტკა (15წთ. 4ქ. 3მ), კულიგი (7წთ. 3ქ), ვაჩინსკი (13წთ. 3ქ), ჰრიჩანიუკი (6წთ), კარნოვსკი (11წთ. 6ქ. 5მ).

მხოლოდ სტატისტიკას რომ გადახედოთ, ზოგადი შთაბეჭდილება შეგექმნებათ საქართველოს ნაკრების მეტოქეთა მზადების შესახებ. შეგახსენებთ, რომ ევრობასკეტზე ჩვენი ნაკრების მოწინააღმდეგეები არიან პოლონეთი, ხორვატია, სლოვენია, ჩეხეთი და ესპანეთი.

ამხანაგურად ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშეს პოლონეთმა და ესპანეთმა და ევროპის მოქმედ ჩემპიონ, ესპანელებს სლავების დამარცხება მეტად გაუჭირდათ. მით უმეტეს, რომ პოლონელთა რიგებში არ თამაშობდა „ფინიქსის“ ცენტრი **მარცინ გორტატი**, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის სლოვენიაში ჩასვლას აპირებს.

სერბეთში ოთხგუნდიანი ტურნირი მეორე ადგილზე დაასრულა სლოვენიამ. ევრობასკეტის მასპინძელმა ნახევარფინალში თურქეთს მინიმალური სხვაობით სძლია, ხოლო ფინალში **დუშან ივკოვიჩის** განწრთნილ სერბეთთან დიდი სხვაობით დამარცხდა. არადა, ერთი კვირის წინათ სლოვენიელებმა თურქეთის პარალელურად სერბეთსაც სძლიეს. თან, მაშინ გამოცდილი **იაკა ლაკოვიჩი** ვერ ეხმარებოდათ.

სამი მატჩი წააგო ხორვატიამ, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ძნელად პროგნოზირებადი გუნდი იქნება და ამხანაგური შეხვედრების შედეგებიდან შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა არ ეგების.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხი ერი

# ბოკეს რიგებში ოთხი ცვლილებაა

**სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰეინკე მეიერმა გუნდის საბრძოლო რაზმი დაასახელა, რომელიც ოთხი ერის გათამაშების პირველ მატჩში არგენტინის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.**

„ბოკეს" თავკაცმა არგენტინელებთან სასპარეზოდ ოთხი ისეთი მორაგბე მიიწვია, რომლებსაც ივნისის ტესტებზე სამოასთან მოგებულ მატჩში არ უთამაშიათ. ტრავმის მოშუშების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა მესამეხაზელი **დუეინ ვერმულენი.** სამოელებთან ამ პოზიციაზე მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მესამეხაზელმა **პიერ სპისმა** ისპარეზა, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია.

მეორე ხაზში **ფლიპ ფან დერ მერვეს** შეცვლის **ივანდერ კრუხერი,** რომელიც წლეულს შესანიშნავ ფორმაშია. ის მეორე ხაზში **ებენ ესტებეს** შეუწყვილდება. ფან დერ მერვე კი სათადარიგოთა შორის დაიკავებს ადგილს.

**ჰეინკე მეიერმა** ნაკრებში დააბრუნა გამოცდილი მორაგბეები, ცხრა ნომერი **ფური დუ პრი** და შერკინების ბურჯი **ხუთრო სტენკამპი.** ორივე მათგანი „ბოკეს" თადარიგში იქნება.

*„სტაბილური შემადგენლობის შენარჩუნება ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი მიზანი იყო. ამიტომ არგენტინასთან მატჩში ბევრი მოთამაშე არ შეგვიცვლია. შესანიშნავია, რომ ვერმულენმა ტრავმა მოირჩინა და ძირითად შემადგენლობაშია. ივანდერ კრუხერმა კი წლეულს უდიდესი სამუშაო გასწია და ძირითადში თამაში ნამდვილად დაიმსახურა. როგორი საქმეა, სკამზე დასვა ისეთი დონის მოთამაშე, ფლიპ ფან დერ მერვე რომ არის. სასიხარულოა ასევე გამოცდილი მოთამაშეების ფური დუ პრისა და ხუთრო სტენკამპის დაბრუნება. ჩვენ მათი დიდი იმედი გვაქვს.*

*არგენტინის ნაკრებთან შარშან მიღებული გაკვეთილი გვასწავლის, რომ ამ გუნდს მთელი სერიოზულობით უნდა მოვეპყრათ. ისინი დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ერთად, კარგად მოემზადნენ და მათი დამარცხება ძალიან ძნელი იქნება.*

*ჩვენ არანაკლებ ბეჯითად ვიმუშავეთ. ახლა ყოველივე პრაქტიკულად უნდა განვახორციელოთ. ვფიქრობ, გუნდი უკეთ შეძლებს თამაშს, ვიდრე ეს ივნისში, სამოას ნაკრებთან მოახერხა"* - თქვა სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჰეინკე მეიერმა.**

ამასობაში სამხრეთაფრიკულ რაგბიში აპარტეიდი გრძელდება. ოღონდ, ამჯერად პირიქით, თეთრკანიან მოთამაშეებს ავიწროებენ. სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა ოფიციალურად დაავალა გუნდებს „ვოდაკომის თასისა" და „ზე რაგბის" გათამაშებაში განაცხადში სულ ცოტა შვიდი შავკანიანი მორაგბე იყოლიონ. აქედან აუცილებელია, რომ ძირითად შემადგენლობაში მინიმუმ ხუთმა ითამაშოს.

*„ვგრძნობთ, რომ ამ საკითხში ხელოვნურად უნდა ჩავერიოთ. ჩვენი მოსაზრებები პროვინციების ფედერაციებსაც გავაცანით და დაგვეთანხმდნენ. ამ გადაწყვეტილების მიზანი ის არის, რომ „ვოდაკომის თასსა" და „ზე რაგბის" გათამაშებაში შავკანიან მოთამაშეებს თავის გამოჩენის მეტი შანსი მივცეთ. ეს ზოგადად რაგბის განვითარებას ქვეყანაში დიდ სტიმულს მისცემს. იმედი გვაქვს, „ბოკეს" თავკაცსაც არჩევანის გაკეთების მეტი შესაძლებლობა ექნება"* - თქვა სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ორეგონ ჰოსკინსმა.**

საოცარია, მაგრამ რა დააშავა იმ თეთრკანიანმა მოთამაშემ, რომელიც მავან შავკანიანს სჯობია, მაგრამ, ამ ეგრეთ წოდებული კვოტის შემოღების გამო ძირითადში თამაშის საშუალება არ მიეცემა.



დუეინ ვერმულენი (მარცხნივ)

### სამხრეთ აფრიკა

**15. ვილი ლე რუ, 14. ბიორნ ბესონი, 13. ჯეი ჯეი ენგელბერხტი, 12. იან დე ფილიერსი, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. რუან პინარი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ადრაინ სტრაუსი, 3. იანი დუ პლესი, 4. ებენ ესტებესი, 5. ივანდერ კრუხერი, 6. ფანსუა ლოუ, 7. ვილემ ალბერტსი, 8. დუეინ ვერმულენი.**

**16. ბისმარკ დუ პლესი, 17. ხუთრო სტენკამპი, 18. კოენ ოოსტჰუიზენი, 19. ფლიპ ფან დერ მერვე, 20. სიია კოლიზი, 21. ფური დუ პრი, 22. პატრიკ ლამბიე, 23. იან სერფონტეინი.**

# პუმებს გამოცდილი კონტეპომი უთავკაცებს

**საბრძოლო რაზმი დაასახელა არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სანტიაგო ფელანმაც. „პუმები" ამ ტურნირში მეორედ ისპარეზებენ და ეცდებიან, შარშანდელზე უკეთესი შედეგი აჩვენონ.**

არგენტინელებს სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მატჩში გამოცდილი შუამარბი **ფელიპე კონტეპომი** უკაპიტნებს. „პუმების" რეალური კაპიტანი **მარტინ ფერნანდეს ლობე** ტრავმირებულია და, სავარაუდოდ, ის ოთხი ერის გათამაშებაში გუნდს ვერ დაეხმარება.

**სანტიაგო ფელანმა** გუნდის ძირითად შემადგენლობაში ორი ახალგაზრდა მორაგბე შეიყვანა. პირველხაზელი **მატიას დიასი** და მესამეხაზელი **პაბლო მატერა** ოთხი ერის გათამაშების დებიუტანტები არიან. მათ არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში, წლეულს, ივნისში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ისპარეზეს.

საინტერესოა, რომ მგეზავი **ხუან მარტინ ერნანდესი** ფელანმა ფულბეკის პოზიციაზე გაამწესა. მგეზავად კი **ნიკოლას სანჩესი** ითამაშებს, რომელიც არგენტინელთა ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა.

შარშანდელ გათამაშებაში „პუმებმა" სტუმრად „ბოკესთან" 6:27 წააგეს. საპასუხო მატჩში კი, არგენტინელებმა მენდოსაში ფრეს მიაღწიეს - 16:16.

### არგენტინა

**15. ხუან მარტინ ერნანდესი, 14. გონსალო კამაჩო, 13. მარსელო ბოსხი, 12. ფელიპე კონტეპომი, 11. ხუან იმჰოფი, 10. ნიკოლას სანჩესი, 9. მარტინ ლანდახო. 1. ხუან ფიგალო, 2. ეუსებიო გუინასუ, 3. მატიას დიასი, 4. მანუელ კარისა. 5. პატრისიო ალბასეტე, 6. პაბლო მატერა, 7. ხუან მანუელ ლეგუსამონი, 8. ლეონარდო სენატორე.**

**16. ავგუსტინ კრევი, 17. ნაუელ ლობო, 18. ხუან პაბლო ორლანდი, 19. მარიანო გალარსა, 20. ხულიო ფარიას კაბეჯო, 21. ტომას კუბელი, 22. სანტიაგო ფერნანდესი, 23. ჰორასიო აგუჯა.**



არგენტინის ნაკრები

ავტობიოგრაფია



ჯონა ლომუ

# ჯონა: ჩემი ისტორია

**მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მორაგბემ, ლეგენდარულმა ახალზელანდიელმა გარემარბმა ჯონა ლომუმ ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა, სათაურით: „ჯონა - ჩემი ისტორია".**

ამ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში ირკვევა, რომ 2011 წელს ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გახსნის ცერემონიალის დღეს, **ჯონა ლომუ** კინაღამ მოკვდა. ცნობილია, რომ მორაგბე, რომელიც ოდესღაც უძლიერესი გუნდების დაცვას შიშის ზარს სცემდა, თირკმელმა სერიოზულად შეაწუხა. მან 2004 წელს ამ ორგანოს გადანერგვის ოპერაცია გაიკეთა. თუმცა, ბოლო წლებში მისი მდგომარეობა გაუარესდა.

*„ის დღე შესანიშნავად დაიწყო. გახსნის ცერემონიალზე თავს ბედნიერად ვგრძნობდი, მაგრამ როცა დაღამდა ცუდად გავხდი. როდესაც სტადიონიდან შინ დავბრუნდი, საშინელ მდგომარეობაში ვიყავი. საავადმყოფოში ექიმები უარესის მოლოდინში იყვნენ. გამორიცხული არ იყო, თირკმელს მუშაობა შეეწყვიტა, რაც ჩემს გარდაცვალებას გამოიწვევდა. საბედნიეროდ, მაშინ გადავრჩი"* - იხსენებს წიგნში ჯონა ლომუ.

დღესდღეობით 38 წლის ლეგენდარული მორაგბე რეგულარულად იკეთებს დიალიზს და კიდევ ერთი ოპერაციისთვის ემზადება. შეგახსენებთ, რომ მას დღემდე ეკუთვნის მსოფლიოს რეკორდი. ლომუმ მსოფლიოს თასის გათამაშებებში 15 ლელო გაიტანა. სულ კი ახალი ზელანდიის ნაკრებში 63 მატჩი გამართა და 37 ლელო მიითვალა.

ლეგიონერები

# კაკოვინი დაბრუნდა, ბეზიე იგებს

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში გათამაშება მომავალ უქმეებზე დაიწყება. აქ ქართველი მორაგბეები მრავლად არიან. მათი გუნდების უმრავლესობა ამ ქვეყანაში ლიდერები არიან და ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ.

აღსანიშნავია, რომ საკონტროლო მატჩებში ჩვენებურთა გუნდებმა დაამტკიცეს, რომ საკმაოდ საფუძვლიანი ამბიციები აქვთ. მათ შორისაა ფრანგული რაგბის გრანდი „ტულუზი", რომლის შემადგენლობაშიც ორიდან, მხოლოდ ერთმა ქართველმა, **ჯაბა ბრეგვაძემ** ითამაშა. ახლახან კი, ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა" ქართველი ქომაგებისთვის სასიხარულო ინფორმაცია გაავრცელა. ტრავმა მოიშუშა და ჩემპიონატის პირველ ტურში ითამაშებს საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი **ვასილ კაკოვინი.**

ამასობაში, საკონტროლო მატჩების გამართვას განაგრძობენ მეორე დივიზიონის გუნდები, რომელთა შეჯიბრებაც 31 აგვისტოს იწყება. ქართველი პირველხაზელის **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიემ" შინ, ლანგედოკურ დერბიში „ნარბონი" დაამარცხა - 35:19. შეყლაშვილმა მეორე ტაიმში ითამაშა.

ზერაგბი

# სანზარი მარშალს მიესალმება

**რაგბი ლიგის 28 წლის ვარსკვლავმა ბენჯი მარშალმა ახლახან რაგბის კლუბ ოქლენდის „ბლუზთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სანზარის (ზე რაგბის გთამაშების ორგანიზატორი) ხელმძღვანელი გრეგ პიტერსი იმედოვნებს, რომ მის მაგალითს სონი ბილ ვილიამსიც მიბაძავს.**

ახალზელანდიური რაგბი ლიგის ვარსკვლავი **ბენჯამინ მარშალი** ათი წელიწადია უმაღლეს დონეზე ასპარეზობს და რაგბიში გადაბარგება ახლახან გადაწყვიტა. გამორიცხული არ არის, ბენჯიმ თავი „ოლ ბლექსშიც" ამოყოს.

28 წლის მორაგბის ამბიციები ეჭვის ქვეშ დააყენა რამდენიმე სპეციალისტმა. თუმცა პიტერსს მიაჩნია, რომ მას ყველაფერი აქვს საიმისოდ, რათა რაგბიში წარმატებას მიაღწიოს.

*„წინასწარ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ. ჯერ ვნახოთ, როგორ შეძლებს მარშალი რაგბიში ადაპტაციას. ის იყო უდიდესი მოთამაშე რაგბი ლიგაში, რომელსაც ბევრი ბაძავდა."* - თქვა მან.

მარშალი ჯერჯერობით ბოლოა **ბრედ თორნისა** და **სონი ბილ ვილიამსის** შემდეგ, რომელიც რაგბი ლიგიდან რაგბიში გადაბარგდა და „ოლ ბლექსში" თამაში შეძლო. ახლახან ახალი ზელანდიის მეზობელ ავსტრალიაშიც მოხდა მსგავსი ფაქტი. **იზრაელ ფალაუმ** ძალიან სწრაფად შეძლო „ვოლაბებს" შორის ადგილის დამკვიდრება.

*„ძალიან მინდა, მარშალს სონი ბილიმაც მიბაძოს და რაგბიში დაბრუნდეს. დეტალები ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ის ამას აპირებს. დარწმუნებული ვარ, სონი ბილიც და ახალი ზელანდიის ნაკრებიც, ამით დიდ სარგებელს ნახავენ"* - დასძინა გრეგ პიტერსმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# როჯერმა პირველი წრე გაიარა


დავიდ ფერერი

ცინცინატის მასტერსზე მეორე რაუნდის დრო დადგა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპიდან ბრძოლაში ებმებიან განთესილი ჩოგბურთელები. გუშინ, ორი მათგანი ვიხილეთ კორტზე და ერთ-ერთი **როჯერ ფედერერი** იყო, რომელმაც ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა მონრეალის მასტერსი. ლეგენდარული შვეიცარიელი ცინცინატის მოქმედი ჩემპიონია, ჯამში კი ხუთჯერ გაუმარჯვია ამ ტურნირზე.

როჯერის პირველი მეტოქე გახდა გერმანელი **ფილიპ კოლშრაიბერი.** ფედერერმა პირველი სეტი 32 წუთში მოიგო, მეორეში კი სერიოზული პრობლემები შეექმნა. მისმა ორმაგმა შეცდომამ კოლშრაიბერს ბრეიკი მოუტანა და გერმანელი 4:2 დაწინაურდა, თუმცა როჯერმა მომდევნო გეიმში დაიბრუნა დაკარგული მოწოდება. შემდეგ იყო ტაი-ბრეიკი, რომელშიც ფედერერს ერთი სეტბოლის მოგერიებამ მოუწია და საბოლოოდ, 9:7 მოიგო საჩოგბურთო ლატარია. აღსანიშნავია, რომ ფედერერი ურთიერთშეხვედრებში 7:0-ს უგებს კოლშრაიბერს. როჯერის შემდეგი მეტოქე **ტომი ჰაასისა და მარსელ გრანოლერსის** შეხვედრაში გაირკვევა.

მეორე განთესილი, რომელსაც ამ დღეს კორტზე გასვლამ მოუწია, ესპანელი **დავიდ ფერერი** იყო. შეგახსენებთ, რომ მან ჩააგდო გასულ კვირას მონრეალის მასტერსი, როცა პირველივე მატჩი წააგო (დამარცხდა **ალექს ბოგომოლოვთან**). ფერერს ამჯერადაც გაუჭირდა, თუმცა ორ საათსა და 42 წუთში დაძლია სამხრეთაფრიკელი **რაიან ჰარისონის** ბარიერი - 7:6(5), 3:6, 6:4. ბოლო სეტში ესპანელმა პირველივე გეიმი წააგო თავის მოწოდებაზე, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და აღარ გასჭირვებია მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა. აღსანიშნავია, რომ ჰარისონმა 19-დან 16 ბრეიკ-პოინტი მოიგერია, ფერერმა - 10-დან შვიდი.

კანადელმა **მილოშ რაონიჩმა** TOP10-ის მოთამაშის რანგში პირველი მატჩი ჩაატარა. მონრეალის მასტერსის ფინალისტს გაუჭირდა 20 წლის ამერიკელი **ჯეკ სოკის** დამარცხება. პირველი სეტის წაგების შემდეგ, მომდევნო ორ პარტიაში რაონიჩმა ორი ბრეიკი გამოიყენა და საათსა და 54 წუთში გაიფორმა მეორე წრის საგზური - 3:6, 6:4, 6:3. მისი შემდეგი მეტოქე სერბი **იანკო ტიპსარევიჩი** იქნება.

ადგილობრივი პუბლიკის გასახარად, მოიგო პირველი წრის მატჩი ამერიკელმა **ჯონ ისნერმა.** ბოლო ერთი თვის განმავლობაში, მან ატლანტას ტურნირში გაიმარჯვა, ვაშინგტონში ფინალამდე გააღწია, მაგრამ გასულ კვირას, მოულოდნელად წააგო მონრეალის მასტერსის პირველი წრე **ვაშეკ პოსპიშილთან.** ამჯერად, ისნერმა კარგად გამოიყენა თავისი საფირმო იარაღი - მოწოდება. ამერიკელმა 17 ეისი ჩააწოდა გერმანელი **ფლორიან მაიერის** წინააღმდეგ, საკუთარ გეიმებში მხოლოდ 10 ქულა წააგო და 6:3, 6:4 გაიმარჯვა.

**ტომი ჰაასმა** თითო სეტში თითო ბრეიკი გააკეთა და 6:4, 6:4 მოუგო **კევინ ანდერსონს.** ეს 35 წლის გერმანელის 38-ე გამარჯვებაა სეზონში. ბოლოს, მან სეზონი 40 ან მეტი მოგებით 2006 წელს მოიგო, როცა 49 მოგება და 21 წაგება დააფიქსირა.

**Western & Southern Open**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: $3720000**

**I წრე**

**მილოშ რაონიჩი (კან, 12)**-ჯეკ სოკი (აშშ) 3:6, 6:4, 6:3; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 9)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:3, 6:4; **ტომი ჰაასი (გერ, 11)**-კევინ ანდერსონი (აშშ) 6:4, 6:4; **ტომი რობრედო (ესპ)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა) 6:7(6), 7:6(7), 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს)**-ბენუა პერი (საფ) 7:6(8), 6:3; **ჯონ ისნერი (აშშ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-კეი ნიშიკორი (იაპ, 10) 6:4, 7:6(4); **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:1, 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 7:5, 6:3; **ვაშეკ პოსპიშილი (კან)**-ჟილ სიმონი (საფ, 15) 6:3, 1:1 უარი; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 6:3, 6:4.

**II წრე**

**გრიგორ დიმიტროვი (ბულ)**-ბრაიან ბეიკერი (აშშ) 6:3, 6:2; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:2, 5:7, 7:6(4); **როჯერ ფედერერი (შვეიც, 5)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:3, 7:6(7); **დავიდ ფერერი (ესპ, 3)**-რაიან ჰარისონი (ს. აფრ) 7:6(5), 3:6, 6:4.

# შარაპოვა+კონორსი: პირველი წაგება

ასევე მეორე წრის მატჩები დაიწყო ქალებს შორის და პირველი სენსაციაც მოხდა. თვენახევრიანი პაუზის შემდეგ, კორტზე დაბრუნდა რუსი **მარია შარაპოვა** და ის პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებდა ახალი მწვრთნელის **ჯიმი კონორსის** ხელმძღვანელობით. მათი თანამშრომლობის სტარტი წარუმატებელი გამოვიდა. რუსმა წააგო სასტარტო შეხვედრა ამერიკელ **სლოუნ სტივენსთან,** არადა, მარიასთვის ყველაფერი კარგად მიდიოდა. ის 6:2, 2:0 გავიდა წინ და არაფერი მოასწავებდა კატასტროფას. მაგრამ, აქედან მოყოლებული, შარაპოვამ უამრავი შეცდომის დაშვება დაიწყო. მის პრობლემებზე კარგად მეტყველებს მატჩის შემდეგ დაფიქსირებული სტატისტიკა - 16 „ვინერსი“ და 62 (!) უნებლიე შეცდომა. ამ მხრივ, ოდნავ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა სტივენსს, რომლის ანგარიშზე 20 „ვინერსი“ და 51 უნებლიე შეცდომა იყო. ამერიკელმა მეორე სეტში ტაი-ბრეიკზე გაიმარჯვა და მესამეში კი უკვე იოლად მიიყვანა საქმე მოგებამდე - 2:6, 7:6(5), 6:3. ეს არის სტივენსის კარიერაში მეორე მოგება TOP3-ის წევრთან. შეგახსენებთ, რომ მან წელს, ავსტრალიის ღიაზე **სერენა უილიამსი** ჩამოიცილა გზიდან.

ჩვენ გუშინ შემოგთავაზეთ მარია შარაპოვას მინი-ინტერვიუ, რომელშიც მან თავისი თაყვანისმცემლები გააფრთხილა იმის შესახებ, რომ ხანგრძლივი პაუზის გამო, ცინცინატიში ბევრი შეცდომა ექნებოდა. ასეც მოხდა, თუმცა მატჩის შემდეგ მარიამ ისიც თქვა, რომ შეცდომების გამო მისი წაგების გამართლება არ შეიძლება.

გუშინ, კიდევ ერთმა ფავორიტმა ითამაშა პირველი წრე. ისევე როგორც შარაპოვამ, **ვიქტორია აზარენკამაც** გამოტოვა გასულ კვირას ტორონტოს უმაღლესი კატეგორიის ტურნირი, ამიტომაც, ასევე არაფერი იყო ცნობილი ბელარუსის სათამაშო ფორმის შესახებ.

აზარენკასაც ამერიკელი მეტოქე ჰყავდა **ვანია კინგის** სახით. პირველ სეტში ვიქტორიამ 28 წუთში „გადაუარა“ მასპინძელს (6:1), მაგრამ მეორე პარტია 73 წუთი გაგრძელდა. ამ სეტში კინგი 3:0 გავიდა წინ და მეოთხე გეიმში ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. აზარენკა კარგად გამოვიდა ამ რთული სიტუაციიდან და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ იქ ხელმეორედ მოუწია სეტის გადარჩენაზე ზრუნვამ, რადგან 0:3 ჩამორჩა, 5:6-ზე კი სეტბოლის მოგერიება დასჭირდა. მაგრამ აზარენკამ აქაც დაამტკიცა თავისი კლასი, ზედიზედ სამი ქულა აიღო და ტაი-ბრეიკი 8:6 მოიგო.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია **საბინე ლისიცკის** მარცხი **ელენა იანკოვიჩთან** - 6:7(5), 7:5, 2:6. ეს იყო ლისიცკის პირველი შეხვედრა უიმბლდონის ფინალის შემდეგ. არ გაუმართლა მეორე სერბს **ანა ივანოვიჩს,** ის ასევე სამ სეტში დამარცხდა ფრანგ **ალიზ კორნესთან,** არადა, თითქოს გარანტირებული ჰქონდა მოგება, რადგან 6:2, 5:2 იყო დაწინაურებული, აგრეთვე ხუთი მატჩბოლი მიიღო, მაგრამ კორნემ სასწაულის წყალობით მოიგო ეს დრამატული შეხვედრა - 2:6, 7:6(8), 6:4. როგორც ჩანს, კორნე იბრუნებს იმ ფორმას, რომელიც დაახლოებით ორი წლის წინ ჰქონდა. ფრანგმა კოშმარული პერიოდი გადაიტანა - 2011 წლის იანვრიდან 2013 წლის ივლისისამდე 26-დან 26 მატჩი წააგო TOP30-ის წევრებთან! გარდატეხა ამ ზაფხულს, ჰარდის სეზონის დაწყების შემდეგ მოხდა და ახლა, კორნეს 4 მოგება და ერთი წაგება აქვს TOP30-ის ჩოგბურთელებთან: მოუგო **სორანა კირსტეას** (28-ე ნომერი), **ელენა ვესნინას** (22), **მარია კირილენკოსა** (16) და ახლა, ანა ივანოვიჩს (14).

**Western & Southern Open**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი: $2210000**

**I წრე**

**ელენა ვესნინა (რუს)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 3:6, 6:1, 6:3; **მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)**-იულია გორგესი (გერ) 6:2, 4:6, 6:4; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:1, 6:1; **ალიზ კორნე (საფ)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 15) 2:6, 7:6(8), 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 14)**-საბინე ლისიცკი (გერ) 7:6(5), 5:7, 6:2; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ანიკა ბეკი (გერ) 6:3, 6:2; **ვარვარა ლეპჩენკო (აშშ)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:2, 2:6, 6:2; **მონა ბარტელი (გერ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:3, 6:4; **მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:1, 6:2; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 2:6, 6:4, 6:1; **ჯეიმი ჰემპტონი (აშშ)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 7:5, 4:6, 6:3; **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:2, 6:4.

**II წრე**

**სლოუნ სტივენსი (აშშ)**-მარია შარაპოვა (რუს, 3) 2:6, 7:6(5), 6:3; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-ვანია კინგი (აშშ) 6:1, 7:6 (6).


სლოუნ სტივენსი

კრივი


ვიტალი კლიჩკო

# ვიტალი კლიჩკო უკრაინის პრეზიდენტად

## WBC-ის ჩემპიონმა 2013 წელს რინგზე გასვლა გამორიცხა

გუშინ ორი საინტერესო ამბავი გავრცელდა WBC-ის ვერსიით სუპერმძიმეწონაში მსოფლიოს ჩემპიონის, უკრაინელი **ვიტალი კლიჩკოს** შესახებ.

როგორც ირკვევა, უფროსი კლიჩკო თავისი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებში, რომელიც 2015 წელს გაიმართება. ამის შესახებ პირადად გამოაცხადა WBC-ის პრეზიდენტმა **ხოსე სულეიმანმა.** მისი თქმით, ვიტალი მას ამ დღეებში შეხვდა და საუბრისას ეს ამბავი გაანდო.

მეორე ახალი ამბავი ვიტალი კლიჩკოს შესახებ კი ნაკლებად მოეწონებათ მის გულშემატკივრებს. იმავე სულეიმანთან შეხვედრისას, უკრაინელმა ითხოვა თავისი მორიგი ბრძოლის თარილის გაურკვეველი ვადით გადაწევა, რისი მიზეზიც მარჯვენა მაჯის ტრავმა გახლავთ. ვიტალიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2013 წელს ვერ შეძლებს რინგზე გასვლას.

საბოლოოდ, WBC დათანხმდა ბრძოლის თარილის 2014 წელს გადატანას და თან ტიტულიც შეუნარჩუნა უკრაინელს. თუ ვიტალი კლიჩკო 2014 წელსაც არ გავა რინგზე, მაშინ განიხილავენ მისთვის ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევის საკითხს.

უფროს კლიჩკოს წელს, WBC-ის საჩემპიონო ქამრის დაცვა უწევდა კანადელ **ბერმეინ სტივერნთან.** როცა ამ უკანასკნელმა შეიტყო, რომ უკრაინელს ბრძოლის თარილის გადაწევის უფლება მისცეს, WBC ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში დაადანაშაულა. კანადელმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია - რატომ შეუნარჩუნეს კლიჩკოს ტიტული, იმ დროს, როცა ანალოგიურ სიტუაციაში სხვა მოკრივეებს ჩამოართვეს საჩემპიონო ქამარი. სტივერნმა მაგალითად მოიყვანა ამერიკელი **ტიმოტი ბრედლი,** რომელიც დიდი ხანი არ იცავდა ტიტულს და 2011 წელს ჩამოართვეს ჩემპიონობა.

ბოლოს ვიტალი კლიჩკო რინგზე 2012 წლის სექტემბერში გავიდა. მან მოსკოვში იჩხუბა გერმანელი **მანუელ ჩარის** წინააღმდეგ და ნოკაუტით დაამარცხა ის. სულ უფროს კლიჩკოს კარიერაში 47 ბრძოლა აქვს ჩატარებული. აქედან მან მოიგო 45 შეხვედრა (41 - ნოკაუტით) და ორჯერ დამარცხდა.

უკრაინელი WBC-ის ტიტულს 2008 წლის ოქტომბრიდან ფლობს, როცა ნიგერიელი **სამუელ პიტერი** დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# გუშინ უინტერესო დღე იყო


რობერტ ჰეფერნანი

გუშინ, მოსკოვში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე თითქმის დასვენების დღე იყო, რადგან მედლების მხოლოდ ერთი კომპლექტი გათამაშდა - მამაკაცებს შორის 50 მეტრზე სპორტულ სიარულში. მძლეოსნობის ამ სახეობაში რუსები დომინირებენ, მაგრამ გუშინ მასპინძელთა ნაკრების შანსები შემცირდა, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სტარტზე ვერ გავიდა მსოფლიოსა და ოლიმპიადის მოქმედი ჩემპიონი **სერგეი კირდიაპკინი**.

თუმცა ნაკრების ლიდერის არყოფნაში, თავის გამოჩენის საშუალება მიეცათ რუსეთის ნაკრების ახალგაზრდა წევრებს - **ნოსკოვსა** და **რიჟოვს**. 10-კილომეტრიან ნიშნულზე სწორედ ისინი ლიდერობდნენ, შემდეგ კი მათ ავსტრალიელი **ჯარედ ტალენტი** შეუერთდა.

კიდევ ათი კილომეტრის შემდეგ, რუსებმა ტალენტი მოიშორეს, თუმცა 25-ე კილომეტრზე ტემპს უკლეს და ლიდერთა დუეტი ხუთკაციან ჯგუფად გადაკეთდა. აშკარად ჩანდა, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა და მართლაც, ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე, ლიდერებში მხოლოდ ირლანდიელი **რობერტ ჰეფერნანი** და რიჟოვი დარჩნენ. ისინი კონკურენტებს 50 წამს უგებდნენ. დაწინაურებულთა ბრძოლაში ახალგაზრდა რუსმა ვერ გაძლო და ოქრო 35 წლის ირლანდიელს გადაულოცა. რუსებმა მეორე ლოკალური დუელიც წააგეს - ბრინჯაოსთვის პაექრობაში ტალენტმა ნოსკოვს გაუსწრო.

ჰეფერნანი 1983 წლის შემდეგ პირველი ირლანდიელია, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა. 30 წლის წინ, ჰელსინკიში 5000 მეტრზე გარბენი მოიგო **იმონ კოგლენმა**.

| 50 კმ. სიარული | |
|---|---|
| 1. რობერტ ჰეფერნანი (ირლ) | 3:37.56 |
| 2. მიხაილ რიჟოვი (რუს) | 3:38.58 |
| 3. ჯარედ ტალენტი (ავსტრა) | 3:40.30 |

# მედალი წესის დარღვევით?

მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ბადროს ტყორცნაში, ესტონელმა **გერდ კანტერმა** განაცხადა, რომ მეორე ადგილზე გასულმა პოლონელმა **პეტრ მალახოვსკიმ** ის არც თუ ისე პატიოსანი ხერხები გამოიყენა მის დასამარცხებლად.

*„სექტორიდან გამოსვლის შემდეგ, თავისი სროლების ანალიზისთვის მან პლანშეტური კომპიუტერი გამოიყენა, რაც წესებით აკრძალულია, - განაცხადა კანტერმა. - მეც მინდოდა საკუთარი გამოსვლის ვიდეოჩანაწერის ნახვა და გარკვეული კორექტივების შეტანა, მაგრამ სტადიონზე დამონტაჟებულ ტაბლოზე ჩემი გამოსვლები არ უჩვენებიათ“.*

თუმცა ესტონელმა აღიარა მეტოქეთა შესაძლებლობები და უარი თქვა შედეგების გაპროტესტებაზე.

*„პროტესტის შეტანას არანაირი აზრი არ აქვს. ორივე მოწინააღმდეგე თითქოს სხვა ლიგიდან იყო“*, - ამბობს ესტონელი მძლეოსანი.

დავამატებთ, რომ 34 წლის კანტერმა ზედიზედ მეხუთე ჩემპიონატზე მოიპოვა მედალი. ის 2008 წლის ოლიმპიადის ჩემპიონია.



გერდ კანტერი


უსაინ ბოლტი

# სანაძლეო ბოლტთან მილიონ დოლარზე

სიგრძეზე ხტომაში საბჭოთა რეკორდსმენმა **იგორ ტერ-ოვანესიანმა** მილიონიანი სანაძლეო შესთავაზა ექვსგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, იამაიკელ სპრინტერს **უსაინ ბოლტს**.

ტერ-ოვანესიანი ამბობს, რომ მზად არის სიგრძეზე ხტომაში ბოლტის მწვრთნელი გახდეს და მათი თანამშრომლობიდან რამდენიმე თვის თავზე, იამაიკელი შეძლებს სიგრძეზე ხტომაში ამჟამინდელი რეკორდის - 8,95 მეტრის გაუმჯობესებას. და თუ ეს არ მოხდება, ტერ-ოვანესიანი ბოლტს მილიონ დოლარს გადაუხდის. *„მაგრამ მე, როგორც მწვრთნელს, გაწეული შრომისთვის მესამედი თანხა მეკუთვნის - ჰონორარის სახით. შესაბამისად, 300 ათასი“*, - დაამატა ოლიმპიადების ბრინჯაოს პრიზიორმა.

იმისთვის, რომ სანაძლეო შესრულდეს, ტერ-ოვანესიანმა მოსკოვში საკუთარი ბინის გაყიდვაზე მზადყოფნა გამოაცხადა.

სიგრძეზე ხტომაში რეკორდი ამერიკელ **მაიკ პაუელს** ეკუთვნის და ის 1991 წელს არის დამყარებული. თავად ტერ-ოვანესიანმა ბოლოს მსოფლიოს რეკორდი 1964 წელს გააუმჯობესა. მაშინ საბჭოთა მძლეოსანი 8,35 მეტრზე გადახტა.

ტერ-ოვანესიანი ხუთ ოლიმპიადაში იღებდა მონაწილეობას და 1960 და 1964 წლებში, ბრინჯაოს მედლები მოიგო. ის ასევე სამჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი. ამჟამად, ტერ-ოვანესიანი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს წევრია.

# პისტორიუსი სასამართლოში დაიბარეს

სამხრეთ აფრიკის ქალაქ პრეტორიას პოლიციამ ყველა საჭირო მასალა შეაგროვა მორბენალი-ამპუტანტის **ოსკარ პისტროიუსის** საქმეზე, რომელიც შეყვარებული **რივა სტინკამპის** მკვლელობაში ეჭვმიტანილია.

შეგახსენებთ, რომ პისტორიუსი ივნისის დასაწყისში თავდებით გაათავისუფლეს. მაშინ მოსმენა გაურკვეველი ვადით საჭირო მასალების არარსებობის გამო გადადეს.

მაგრამ გუშინ, პრეტორიას პოლიციის დეპარტამენტის პრესსამსახურმა გამოაცხადა, რომ პისტორიუსის საქმეზე სამხილების და სხვადასხვა მასალის შეგროვება დასრულებულია. მძლეოსანი 19 აგვისტოს არის დაბარებული სასამართლოში. სწორედ ამ დღეს დაიწყება მოსმენა.

სამხრეთაფრიკული პრესა წერს, რომ პისტორიუსს განზრახ მკვლელობაში წაუყენებენ ბრალს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ოსკარ პისტორიუსი

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მუნდიალი 2014** | |
| **შესარჩევი** | |
| ჩრ. ირლანდია-რუსეთი | 1:0 |
| **ევრო 2005** | |
| **UNDER21** | |
| უელსი-ფინეთი | 1:5 |
| სან მარინო-ლიტვა | 0:1 |
| სლოვენია-ესტონეთი | 0:1 |
| ალბანეთი-ავსტრია | 0:1 |
| ფარერები-ირლანდია | 1:4 |
| ისლანდია-ბელარუსი | 4:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| იაპონია-ურუგვაი | 2:4 |
| ს. კორეა-პერუ | 0:0 |
| ტაჯიკეთი-ინდოეთი | 3:0 |
| რუანდა-მალავი | 0:1 |
| ინდონეზია-ფილიპინები | 2:0 |
| ეგვიპტე-უგანდა | 3:0 |
| ბელარუსი-ჩერნოგორია | 1:1 |
| აზერბაიჯანი-მალტა | 3:0 |
| ეტონეთი-ლატვია | 1:1 |
| ფინეთი-სლოვენია | 2:0 |
| ჩილე-ერაყი | 6:0 |
| მოლდოვა-ანდორა | 1:1 |
| ლუქსემბურგი-ლიტვა | 2:1 |
| ზამბია-სენეგალი | 1:1 |
| კოლუმბია-სერბეთი | 1:0 |
| ლიბია-ს. აფრიკა | 0:0 |
| რუმინეთი-სლოვაკეთი | 1:1 |
| შვედეთი-ნორვეგია | 4:2 |
| თურქეთი-განა | 2:2 |
| უკრაინა-ისრაელი | 2:0 |
| ლიხტენშტაინი-ხორვატია | 2:3 |
| ს. აფრიკა-ნიგერია | 0:2 |
| ავსტრია-საბერძნეთი | 0:2 |
| ბოსნია-აშშ | 3:4 |
| უნგრეთი-ჩეხეთი | 1:1 |
| ალბანეთი-სომხეთი | 2:0 |
| გერმანია-პარაგვაი | 3:3 |
| იტალია-არგენტინა | 1:2 |
| მაკედონია-ბულგარეთი | 2:0 |
| პოლონეთი-დანია | 3:2 |
| შვეიცარია-ბრაზილია | 1:0 |
| უელსი-ირლანდია | 0:0 |
| ბელგია-საფრანგეთი | 0:0 |
| ინგლისი-შოტლანდია | 3:2 |
| გაბონი-კაბო ვერდე | 1:1 |
| ტუნისი-კონგო | 3:0 |
| ალჟირი-გვინეა | 2:2 |
| პორტუგალია-ჰოლანდია | 1:1 |
| ისლანდია-ფარერები | 1:0 |
| ეკვადორი-ესპანეთი | 0:2 |
| მაროკო-ბურკინა ფასო | 1:2 |
| **ინგლისი** | |
| **ნასიონალი** | |
| უელინგი-კემბრიჯი | 2:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| მიუნხენი II-აუგსბურგი II | 0:3 |
| ნიურნბერგი II-ილერტისენი | 1:1 |
| ვიურცბურგერი-როზენჰაიმი | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ფეირენსე-კოვილია | 4:1 |
| ოლივეირენსე-ჩავესი | 0:2 |
| **შვეიცარიის თასი** | |
| ფულენბახი-ბადენი | 0:6 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ცინცინატი** | |
| გოფენი-**პოსპიშილი** | 7:5, 1:6, 7:6 |
| გრანოლერსი-**ჰაასი** | 4:6, 1:6 |
| იუჟნი-**მარეი** | 2:6, 3:6 |
| დავიდენკო-**დელ პოტრო** | 5:7, 5:7 |
| **ისნერი**-გასკე | 7:6, 6:2 |
| **ტურსუნოვი**-ბლეიკი | 6:4, 6:4 |
| **ჯოკოვიჩი**-მონაკო | 7:5, 6:2 |
| **რაონიჩი**-ტიპსარევიჩი | 6:4, 7:6 |
| **WTA. ცინცინატი** | |
| პეტკოვიჩი-**ვინჩი** | 4:6, 7:6, 3:6 |
| **სტოსური**-ჰემპტონი | 6:3, 7:6 |
| **ერანი**-ჰერცოგი | 6:4, 5:7, 6:4 |
| **ბარტელი**-კირილენკო | 6:4, 6:4 |
| **კვიტოვა**-ერაკოვიჩი | 6:4, 6:7, 6:3 |
| **კერბერი**-კლეიბანოვა | 7:6, 6:2 |
| **ს. უილიამსი**-ბუშარი | 4:6, 6:2, 6:2 |
| ნიკულესკუ-**ვოზნიაცკი** | 4:6, 3:6 |
| ვ. უილიამსი-**ვესნინა** | 2:6, 7:5, 2:6 |
| **იანკოვიჩი**-მაკაროვა | 2:6, 6:3, 6:3 |
| კორნე-**რიბარიკოვა** | 6:3, 5:7, 5:7 |

## TV პროგრამა

**15 აგვისტო. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ზენიტი-მალაგა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. ბაიერნი-ბორუსია (მ).
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. შალკე-ჰამბურგი.
**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. ბოკა ხუნიორსი-ატლეტიკო რაფაელა.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. შალკე-ოლიმპიაკოსი.
**21:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. ეინდჰოვენი-ნიიმეგენი.
**00:00** ჩემპიონთა ლიგა. ანდერლეხტი-მილანი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჩელსი-შახტარი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ფილადელფია.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. კარდიფი-მონპელიე.
**19:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**23:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. 1981-82 წლები. II ნაწილი.
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ფილადელფია.
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**14:00** სპორტ-NEWS.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ. მიმოხილვა.
**18:30** სპორტ-NEWS.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 19 | 31 | (მზე) |
| ქუთაისი | 23 | 34 | (მზე) |
| ბათუმი | 21 | 23 | (მზე) |
| ქობულეთი | 21 | 31 | (მზე) |
| ფოთი | 22 | 32 | (მზე) |
| ზუგდიდი | 22 | 32 | (მზე) |
| გორი | 19 | 33 | (მზე) |
| თელავი | 18 | 31 | (მზე) |
| სიღნაღი | 18 | 29 | (მზე) |
| ბაკურიანი | 12 | 25 | (მზე) |
| ბორჯომი | 15 | 30 | (მზე) |
| მესტია | 12 | 26 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2050 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6644 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5772 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0196 |

## ამბები

**ავტოსპორტი**

### მონტოია უმუშევარი დარჩა

NASCAR-ის სერიის გუნდის - Earnhardt Ganassi Racing-ის ხელმძღვანელობამ თავის კოლუმბიელ პილოტს **ხუან-პაბლო მონტოიას** აცნობა იმის შესახებ, რომ აღარ აპირებს მასთან 2014 წლის სეზონისთვის კონტრაქტის გაგრძელებას. გუნდის თანამფლობელის **ფელიქს საბატესის** განცხადებით, გარდაქმნების დრო მოვიდა და საჭიროა ახალი პილოტის წინსვლა ესაჭიროება.

მონტოია **ჩიპ განასის** გუნდში 2007 წლიდან გამოდიოდა და ამ დროს განმავლობაში მხოლოდ ორი ეტაპი მოიგო. NASCAR-ის მიმდინარე სეზონში კოლუმბიელი ერთხელ ავიდა პოდიუმზე და ახლა, 22-ე ადგილს იკავებს პირად ჩათვლაში.

**ჩოგბურთი**

### ამერიკამ მოწვევები დაარიგა

ამერიკის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს ჩოგბურთელთა სია, რომლებიც მამაკაცთა ძირითად ბადეში უაილდ-ქარდის მეშვეობით მოხვდებიან.

ტურნირზე მიწვევა მიიღეს: **რაიან ჰარისონმა, ბრაიან ბეიკერმა, ჯეიმს დაკვორტმა, გიიომ რუფენმა, რინ უილიამსმა, ბრედლი კლანმა, რაჯივ რამმა** და **კოლინ ალტამირანომ**. აღვნიშნავთ, რომ ამ სიაში მხოლოდ დაკვორტი და რუფენი არ არიან ამერიკელები: პირველი ავსტრალიას წარმოადგენს, მეორე - საფრანგეთს.

● კალათბურთი



კობი ბრაიანტი

# კობის მსოფლიოზე ვერ ვნახავთ

ამერიკისნაკრების შემადგენლობაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **კობი ბრაიანტმა** განაცხადა, რომ არ აპირებს 2014 წელს, ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს.

*„მიყვარს შეჯიბრება და კონკურენცია, მაგრამ მინდა ახალგაზრდა კალათბურთელებს მივცე თამაშისა და ქვეყნის ღირსების დაცვის საშუალება. მათ ხშირად უნდა ითამაშონ ერთად. აქ ლაპარაკი არ არის ინდივიდუალურ ოსტატობაზე, მნიშვნელოვანია, როგორ ერწყმის ერთმანეთს თითოეულის თვისებები. მხოლოდ ასე ყალიბდება გუნდი“*, - ამბობს ბრაიანტი Business Mirror-თან კომენტარში.

აღსანიშნავია, რომ კობი ბრაიანტს თავის კარიერაში არასოდეს უთამაშია მსოფლიოს ჩემპიონატზე, რისი მიზეზიც იყო სხვადასხვა ტრავმა თუ სეზონებს შორის წარმოქმნილი გარემოებები.

■ ■ ■

„ნიუ იორკ ნიქსის“ მცველმა **იმან შამპერტმა** სიმღერა ჩაწერა რეპ-ალბომისთვის, რომელიც აშშ-ის პირველი ლედის **მიშელ ობამას** პატრონაჟით გამოვა. კომპოზიციის სახელწოდებაა - Pass the Rock.

ალბომი, რომელიც სამი წლის წინ შექმნილი პროგრამის - Let's Move-ის ეგიდით გამოდის, 30 სექტემბერს იხილავს დღის სინათლეს. Let's Move-ის კამპანიის მიზანია - ბავშვთა სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლა.

■ ■ ■

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ პრეზიდენტმა **კრის მაკგოუენმა** განაცხადა, რომ კლუბის საშინაო არენას სახელი შეეცვლება. ძველი სახელწოდება - Rose Garden Moda Center-ის შეიცვლება.

არენის სახელწოდების ცვლილება უკავშირდება „პორტლენდის“ თანამშრომლობას კომპანია Moda Health-თან. არენა Rose Garden 1995 წელს გაიხსნა და სახელი მიიღო პორტლენდის გავრცელებული მეტსახელისგან - „ვარდების ქალაქისგან“.

*„ეს მსხვილმასშტაბიანი თანამშრომლობა ჩვენს კლუბს ახალ დონეზე აიყვანს*, - ამბობს მაკგოუენი NBA.com-თან კომენტარში. - *ეს გარიგება საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ ჩვენი მენეჯმენტი იმ დონემდე, რომ ფანებმა ნებისმიერ ასპექტში კომფორტულად იგრძნონ თავი. ეს ეხება იმ მოვლენებსაც კი, რომელიც უშუალოდ მოედანზე ხდება“*.

# დერონი MVP გახდება

**„ბრუკლინ ნეტსის“ ვეტერანი ახალწვეული პოლ პირსი ლაპარაკობს „ნიუ იორკთან“ ურთიერთობაზე, „ბოსტონში“ სიტუაციაზე, საყვარელ ფილმებზე, დერონ უილიამსსა და თავის ახალ კლუბზე...**

**- გასაოცარია, რომ თქვენ მხოლოდ ახლა შეიცვალეთ კარიერაში პირველად გუნდი?**

- მართლაც, ჩემთვის ყველაფერი ახალია. ამიტომაც ხშირად ჩამოვდივარ ნიუ იორკში. ამ ზაფხულს უკვე მესამედ ვარ აქ.

**- რამდენად ხშირად გაქვთ კონტაქტი ჯეისონ კიდთან**

- რამდენიმე კვირაა არ გვილაპარაკია - ჩვენი საპრეზენტაციო პრესკონფერენციის შემდეგ. თუმცა მანამდე ხშირი კონტაქტი გვქონდა. ვაპირებ საბოლოოდ გადავიდე ნიუ იორკში, ეს სექტემბერის დასაწყისში მოხდება. მინდა საწვრთნელ ბანაკამდე დავუახლოვდე მომავალ თანაგუნდელებს.

**- როგორ ფიქრობთ, რა დრო დაგჭირდებათ იმისთვის, რომ საბოლოოდ შეთამაშდეთ ახალ პარტნიორებთან?**

- კონკრეტული ვადის განსაზღვრა რთულია. ჯერ ის უნდა გავიგო, როგორი ატმოსფეროა გუნდში. მაგალითად, თავის დროზე, მე, გარნეტი და ალენი „ბოსტონში“ ძალიან მალე შევთამაშდით. ვისურვებდი იგივე სიტუაციის გამეორებას, მაგრამ, ახლა, შეიძლება ყველაფერი სხვანაირად მოხდეს. ურთიერთგაგება ის მცნებაა, რაც თავისთავად მოდის, გარეშე ჩარევის გარეშე.

**- ბოლო წლებში, დერონ უილიამსი სამართლიანად მიიჩნევა NBA-ის ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებლად. თუმცა მას დღემდე არ ჰყოფნის სტაბილურობა. მიგაჩნიათ, რომ თქვენ და გარნეტი ხელს შეუწყობთ მის პროგრესს, როგორც ეს რაჟონ რონდოს შემთხვევაში მოხდა?**

- დიახ, ეჭვგარეშეა. დერონი – გუნდის საუკეთესო მოთამაშეა. ვფიქრობ, ახალ სეზონში ის MVP-ის ტიტულისთვის იბრძოლებს. შევეცდებით ხელი შევუწყოთ მას იმაში, რომ გახდეს NBA-ის საუკეთესო გამთამაშებელი. ჩემმა და გარნეტის მონდომებამ მისი თამაში ახალ დონეზე უნდა აიყვანოს.

**- საინტერესოა, როგორ აპირებთ ამის გაკეთებას?**

- ის უბრალოდ უფრო ხშირად უნდა იყოს ჩვენს გვერდით. გაეცნოს ჩვენს ჩვევებს, რისი წყალობითაც მივაღწიეთ საჩემპიონო ბეჭდებამდე. უნდა ვანახოთ მას, როგორ მოემზადოს ყოველი მატჩისთვის. და, რა თქმა უნდა, არ დავივიწყოთ ის სარგებლობა, რომელიც შეგვიძლია მოვიტანოთ მოედანზე. იმისთვის, რომ გუნდს დავეხმაროთ, ჩვენთვის აუცილებელი არ არის ბურთის ფლობა.

**- გქონდათ ურთიერთობა მიხაილ პროხოროვთან?**

- დიახ, მოგვეცა საშუალება მას პრესკონფერენციაზე შევხვედროდით. “მაგარი ბიჭის” შთაბეჭდილებას ტოვებს. მას მოსწონს გუნდი და აპირებს საჩემპიონო ბეჭდებამდე მისვლას. ამისთვის არის შექმნილი ეს გუნდი. შეიძლება თქვენ თქვათ, რომ “ნეტსს” კიდევ 20 წელი დასჭირდება, რათა “ბულზთან”, “ლეიკერსთან”, “სელტიქსთან”, “ნიქსთან” და სხვებთან ერთ დონეზე დადგეს. ვგულისხმობ არა სათამაშო ასპექტს, არამედ, ავტორიტეტს, ალიარებას. მიმაჩნია, რომ “ბრუკლინს” ამისთვის 10 წელიც ეყოფა.

**- სასიამოვნოა, რომ საკუთარ თავს ასეთ მიზნებს უსახავთ.**

- სხვანაირად არ იქნება. როგორც კი საჩემპიონო ბეჭდებს მოიპოვებ, უკვე სხვა ამოცანას საკუთარ თავს აღარ დაუსახავ. ამასთან, ჩვენ გვინდა არა მხოლოდ ამ კონკრეტულ მომენტში წარმატების მიღწევა, არამედ მომავალი გამარჯვებებისთვის საფუძვლის მომზადება.

**- ჯეისონ კიდი ამბობს, რომ დამატებითი მოტივაციისთვის თავის შეგირდებს ფილმებს ჩაურთავს.**

- დიახ, ბევრი მწვრთნელი იქცევა ასე.

**- თქვენ რომ იყოთ მწვრთნელი და მოთამაშეების მოტივირება დაგჭირდეთ, რა ფილმს ჩაურთავდით?**

- ეს იქნებოდა კლასიკა. მიყვარს ძველი ფილმების ყურება. პირველ რიგში, ალბათ, “როკი”. ეს არის ყველა დროის ფილმი. ხანდახან ვუსმენ სიმღერას - Eye of the Tiger-ს უშუალოდ მატჩის წინ. შემდეგ, ალბათ, ჩავურთავდი ფილმს - “გუნდი ინდიანას შტატიდან”. ეს არის ორი სურათი, რომელზეც მე ვიზრდებოდი.

**- ყოველთვის მაინტერესებდა, რას უსმენენ NBA-ის მოთამაშეები მატჩის წინ.**

- განსაკუთრებულს არაფერს. დამოკიდებულია განწყობაზე. თუ მე არ მომწონს ის გუნდი, რომლის წინააღმდეგაც უნდა ვითამაშო, რაიმე აგრესიულს ვრთავ.

**- გამოდის, რომ “მედისონ სკვერ გარდენის” გვირაბში...**

- ... ასევე ჩავრთავ აგრესიულ მუსიკას.

**- თქვენი უარყოფითი დამოკიდებულება “ნიქსის” მიმართ ყოველთვის თვალში საცემი იყო.**

- დიახ, ეს ასეა. “ბოსტონისა” და “ნიუ იორკის” დაპირისპირება ერთგვარი დერბი იყო. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ახლა, ჩვენ ერთ ქალაქში უნდა ვითამაშოთ. ადრე, “კლიპერსისა” და “ლეიკერსის” დაპირისპირებას პრინციპული არ ეთქმოდა, მაგრამ ამჟამად, “კლიპერსი” თანდათან იხვეჭს პატივისცემას. ასევეა “ნეტსის” შემთხვევაში. ის თანდათან ახალ დონეზე გადის, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ინტერესს “ნიქსის” და „ბრუკლინის“ თამაშების მიმართ.

**- სულ ახლახანს გამოქვეყნდა კალენდარი ახალი სეზონისთვის. უკვე შემოხაზეთ წითელი ფანქრით რომელიმე თარიღი?**

- სიმართლე გითხრათ, ჯერ კალენდარს კარგად არ გავცნობივარ.

**- ალბათ, რეგულარულ ჩემპიონატში ბოსტონში დაბრუნება ძალიან ემოციური იქნება.**

- რა თქმა უნდა. ჩემი ცხოვრების ნახევარი ამ ქალაქში გავატარე. მეგობრებიც იქნებიან ტრიბუნებზე. ასევე სეზონური აბონემენტების მფლობელები. მე ბევრ მათგანს ვიცნობ.

**- ზოგიერთი ჟურნალისტი წერს იმის შესახებ, რომ დოკ რივერსმა უბრალოდ მიაგდო “სელტიქსი”. თქვენ რა აზრი გაქვთ ამაზე?**

- მე ვიცნობ სიტუაციას. ბევრი რამ ჟურნალისტების მიერ არის გაბუქებული, მაგრამ, საერთო ჯამში, დოკი ამბობდა, რომ არ სურდა გუნდის გარდაქმნის ნაწილი გამხდარიყო. სეზონის დასრულების შემდეგ, “ბოსტონის” ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სხვა მიმართულებით განვითარება. გვერდიდან შეიძლება ისე ჩანდა, თითქოს რივერსმა ყველაფერი მიატოვა და გუნდი მიაგდო, მაგრამ სინამდვილეში, ეს ორმხრივი პროცესი იყო. იგივე ითქმის ჩემი და გარნეტის სიტუაციაზე. არც ერთს არ გვინდოდა “სელტიქსის” გარდაქმნაში მონაწილეობის მიღება. ჩვენ იმდენი გავაკეთეთ გუნდისთვის, რომ საბოლოოდ, “სელტიქსმა” ჩვენი დახმარება გადაწყვიტა. დოკი ლოს ანჯელესში წავიდა, ჩვენ კი “ბრუკლინში” ჩემპიონობის იმედად გადავედით.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



პოლ პირსი (მარცხნივ) ბრუკლინის მაისურით

● რალი

# ჩემპიონს გერმანიაში გავიგებთ?

მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტი გუნდის - „ფოლკსვაგენის“ პილოტი **სებასტიან ოჟიე**, შესაძლოა, უახლოეს უქმეებზე - გერმანიის გრანპრიზე გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი.

ამ მომენტისთვის, ოჟიეს ანგარიშზე 181 ქულაა და ის უახლოეს კონკურენტებს - ფინელ **იარი-მატი ლატვალასა** და ბელგიელ **ტიერი ნოივილს** 90 ქულით უსწრებს. თუ გერმანიაში ფრანგი თავის უპირატესობას კიდევ 22 ქულით გაზრდის, სხვაობა 112 ქულა გახდება და ეს გარანტირებულ ტიტულს ნიშნავს.

თავად ოჟიეს არ აქვს იმის ილუზია, რომ მისი ჩემპიონობა სწორედ გერმანიაში შედგება.

*„ვიცი, რომ გერმანიაში ტიტულის მოგების პირველი შანსი მექნება, არადა, ეს მხოლოდ თეორიული შესაძლებლობაა. ყველაზე მნიშვნელოვანია - ტიტული მოვიპოვოთ და არ აქვს მნიშვნელობა სად მოხდება ეს - ავსტრალიაში, საფრანგეთში თუ რომელიმე სხვა დარჩენილ ეტაპზე. მე ძალიან მოხარული ვიქნები“*, - ამბობს ოჟიე მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურ ვებგვერდზე.

აღვნიშნავთ, რომ თუ ოჟიე გერმანიაში გაინაღდებს ტიტულს, ეს მოხდება უფრო ადრე, ვიდრე ლეგენდარული **სებასტიან ლოები** ახერხებდა თავის ცხრავე ტიტულის მოგებას. ლოების საუკეთესო შედეგია ჩემპიონატის ფინიშამდე სამი ეტაპით ადრე გაჩემპიონება.

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**